ლიტერატურული გაზეთი

№20 (372) 25 ოქტომბერი - 7 ნოემბერი 2024 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ვახტანგ ჯავახაძე

ვემალები

დავაწყვილე პრიმიტივი: ჯერ გული და მერე ფული,
მე ბებერი აღარა ვარ, მე ვარ გადაბერებული.
შევარიგე ერთმანეთთან ნეტარი და ნეტარება,
მე საზღვარი დავარღვიე და საბაჟო მედავება.
ახლა ხშირად მერითმება მარტოობის აპათია,
ბოლოს ჩემმა სიყმაწვილემ ჩემს სიბერეს აპატია,
ანუ დაგვიანებული ცრემლი ვეღარ ამატირებს,
რაკი კლასიკოსობანას კლასობანა ამარტივებს.
ზუმერს ველი და სიხშირე ჯერ არ გამიუარესდა
არც ტარიელ მეორესთან და არც ბესიკ მეორესთან.
ტელე ვეღარ მაბრიყვებს და თავი ამის გამო მიყვარს,
ისევ წიგნის სასახლიდან ვეღარავინ გამომიყვანს.
არ სჭირდება ამას რომი, პარიზი და მაიამი,
ოღონდ კარგად მყავდნენ ჩემი ირინე და მარიამი.
არასოდეს მიმღერია ოდელა და ოდელია,
ბედისწერამ დამინდო და მეც მყავს ჩემი კორდელია.
კოდი მაინტერესებს და არა სჯა და არა ქება,
დაშიფრული დღიურიდან ანა მელაპარაკება.
გამახსენდა გოტიე და გამახსენა ემალები,
მრავალსართულიანებში ელეგიას ვემალები.

II-III

ლელა სამნიაშვილი

* * *

ისევ ჩამწარდა ეს ზაფხული, ისევ ამეტებს
სიცხეს, ოფლს, მწერებს, წებოვანი სიტკბოს ულუფებს,
აი, ზამთრიდან გამოვძვერით, აი, ავენთეთ,
მაგრამ ასანთის ღერი აბა ვის არ უმუხთლებს,
ჩაინაცრება, დაგუბდება დამწვრის სურნელი,
ქალაქი ფერფლს და დარდს ვერსაით გაანიავებს,
ისევ სიცოცხლე და სიკვდილი — ერთად ურევენ
უგრძელეს დღეებს და ღამეებს, გვანან სიამის
ტყუპებს, რომლებიც დაათრევენ მუდამ ერთმანეთს
და ერთმანეთი სძულთ და უყვართ, რადგან ტვირთია
ხორცი და ძვალი — საკუთარი, სხვისი, ღმერთების,
სხეულის ჯვრებზე გაკრულ ნეკნებს ზედ რომ ითვლიან.

IV

ნინო გუგეშაშვილი

უკანონო კანფეტები

რანაირად ათეთრებენ მილიონებს, ნეტა გამაგებინა!

ერთხელ მოვიპარე სამმანეთიანი სახლიდან, უღრან ბავშვობაში — ვაიმე, ძლივს დავხარჯე!

ხან გამყიდველმა მკითხა:

— ფული ვინ მოგცა?

ხან კლასელებმა მკითხეს:

— ნუგა და ვაფლები საიდან?

ახალი ნუგა მიყვარდა, რბილი, ირისიც რბილი მიყვარდა და „ბატის თათიც“ — შოკოლადი არ მიყვარდა და არც მაგარი ნუგები და ირისები.

დამლაგებელსაც ვაჭამე, იმანაც მკითხა — საიდან გაქვსო.

ჭამე რა, ადამიანო, შეირგე, რას იძიებ — საიდან, როგორ.

ხან კანფეტის ქაღალდები აღმომიჩინეს მერხში და მასწავლებლებს მიუტანეს, ხან ჩანთა გამიჩხრიკეს, ხან დამრიგებელთან დამაბეზღეს, ჭამდნენ ამ ჩემს კანფეტებს და მერე მაბეზღებდნენ — ეს რა ჰობია, ჯერ ჭამა და მერე დაბეზღება? ან ნუ შეჭამ, ან ნუ დამაბეზღებ!

მოკლედ, მთელი სისტემა ამუშავდა ჩემ წინააღმდეგ. ინტერპოლი და ჰააგა არ იყო მაჟიეთში, თორემ ნაღდად გადამცემდნენ.

ისე გავწამდი, ვიფიქრე, ნეტა ახლა გადავრჩე და სამუდამოდ უარს ვიტყვი მოპარვაზე-მეთქი. ვეღარც უკან დავდე ეს ფული — ხურდას ხომ არ დავაბრუნებდი, ვეღარც გადავყარე და ასე სინდისის ქენჯნაში და შიშში ვჭამე ნუგები ორი-სამი დღე.

ახი იყო ჩემზე — ნუგა მაკლდა? ოღონდ რამე მეჭამა და ბაღდადიდან მოიტანდნენ ჩვენები, მაგრამ, აი, მოპარვა მინდოდა და მოვიპარე, არის მოპარვაში რაღაც სათავგადასავლო.

ჰოდა, იმდენი იტიტინეს, სანამ არ გადამცეს მსოფლიოში უმკაცრეს ტრიბუნალს, დედაჩემს. დაირაზმა ოჯახი, სკოლა, საზოგადოება და დამაყენეს სწორ გზაზე.

მაგრად დამტანჯა მოპარულმა სამმანეთიანმა, არადა მშვენიერი კარგი ამტანი ვარ. მეტჯერ მაინც აღარ მომიპარავს.

ესენი როგორ ათეთრებენ მილიონებს?! როგორ უძლებენ?!

ორი ვარიანტია:

ან ჩემზე უკეთესი ამტანები არიან, ან ჩემზე უფრო რომანტიკულები — ფული კი არ უყვართ, თავგადასავალზე გიჟდებიან.

VI-VII

ნინო სადღობელაშვილი

აპრილი. თოვლი

მეუფე ისაიას —
მამას და მასწავლებელს

— რაღაცას გეტყვი და არ გამცე, — მეგზურს მიუბრუნდა მამა შიო, — აქ მინდოდა მე დაბრუნება, თუნდაც ძველი წისქვილის ეზოში შევკრავდი პატარა სალოცავს. მე შენ გეტყვი ფიცარი მექნებოდა საშოვნი ან საკურთხევლის ქვა — ორივეა მაგ დალოცვილში, ვინ იყენებს, თორე... მაგრამ არ ქნა დეკანოზმა, ჯერ აქ უნდა მყავდე, შორიახლო, ვიდრე კარგ მღვდლად ჩამოყალიბდები და მრევლის გაძღოლას შეძლებო...

ვარსკვლავები ჩუტყვავილა ბატონებივით შეუფაკლდა ბავშვის კანზე უფრო ჩვილ და სლიკინა ზეცას და რაღაცნაირი მოვარდისფრო ნისლი ჩამოაფრქვია. ეს ნისლი თუ შეისუნთქა და თავბრუ დაეხვა მამა შიოს, ვერ შენიშნა, პირდაღებული რომ უსმენდა ამ უცნაურ მოგზაურობაში მძღოლად წამოყვანილი ძველი ნაცნობი, ვერ შენიშნა, თორემ კი მიხვდებოდა, რამაც გააკვირვა ბალთაზარ ძიძავა, შინაურობაში ბათად ჩამოსახელებული, მთელი ცხოვრება იმისკენ რომ ისწრაფოდა, რაც უკეთესი და უპირატესია ადამიანის წარმატებისთვის და, ცოტა არ იყოს, ეცინებოდა ზედმეტ სენტიმენტებზე, სადაც ეს უკანასკნელი ამ სწრაფვას რამენაირად აფერხებდა. მაგრამ ახლა მამა შიოზე გაცინებას ბოლომდე მაინც ვერ ბედავდა — მის უკან ცათა სასუფეველი ეგულებოდა და ვერაფრით აწყენინებდა.

მღვდელმა თავის მხარეს მანქანის ფანჯარა ჩაწია და თქვა:

— გესმის?

არ ისმოდა არაფერი. უფრო ზუსტად, არავითარი ხმა არ იყო. ჩქამიც არა, ვინმეს სმენას რო მისწვდენოდა.

— ღორი თუ იყო, ის ღრიტნის ეტყობა რაღაცას, — უჩქამობა არ შეიმჩნია ბათამ.

— თოვს, ბიჭო! — თავგადაწეულმა შესძახა მამა შიომ, მხრები საავარძელს მიაკრა და ბათას მიერ ორ მესამედზე შევსებული სივრცე რომ არა, ეგებ მკლავებიც გაეშალა ჩიტივით ამჩატებულს.

— სად, კაცო? — ბარემ კი ცხვირ-პირი ეყინებოდა, მაინც გაყო თავი ბათამ და ბადრიჯნისფერ ცას გახედა. ვარსკვლავთა ხომლებს უკვე წაფარებოდა თხელი ღრუბელი — რა დროს თოვლია ამ აპრილში.

IX



ვახტანგ ჯავახაძე

ჩიტები

ამ ლექსში დაზღვეულია მარტივი ორთოგრაფია,
პუნქტუაციაც და მსგავსი სტრიქონის ავლა-დიდება,
ეს ჩვენი მობილურიკო იაფი ფოტოგრაფია,
თუმცაღა, ჩემო სულიკო, ჩიტი არ გამოფრინდება.

წავიდეთ, სიყვარულიკო, სხვაგან გავმართოთ დებატი,
იქ შებინდებას პოეტმა დაარქვა შებუნდბინდება,
იქ არის ციხე, რომელშიც ჩიტი ვერ ჩაფრინდება და
თუკი ჩაფრინდა, სულიკო, უკან ვერ გადმოფრინდება.

ნუ ჩავიხედავთ სარკეში, ნუ გავიხედავთ სარკისკენ,
მარია მარიამია, ნუგეში ნუგეშინია,
ჩვენი ცა ჩიტს და ჩიორას არასდროს მოისაკლისებს
და, ჩემო ყველაფერიკო, ნურაფრის ნუ გეშინია.

ხ ა მ ს!

საჭიროა, დროა, ჯერარს, ხამს —
არასოდეს მოეჭიდო ხავსს,
არ ჩახედო უფსკრულსა და ხრამს,
გაერიდე ხარახურა ხლამს,
მოერიდე სამსალას და შხამს,
გაუბრაზდი ხეპრესა და ხამს.
რქაწითელი ისევ მოისხამს,
მერიქიფე ისევ დაგისხამს,
წიწამური არა, არა ხამს,
წინანდალი ხამს და ხამს და ხამს,
ხოლო ყოველდროს და ყოველხანს
რუსთაველი ხამდა, ხამდა, ხამს.

ჩამავალი

რითმამ დილა თბილისისა დააწყვილა ათენთან
და თანდათან, ნელა-ნელა, როგორც იქნა, გათენდა.
მიბრძანდება სპრინტერი და მისეირნობს კროსი და
ორჯერ ხუთი იგვიანებს ათი ლირიკოსიდან.
ეს არ გახლავთ თავქეიფა კაცის აკვიატება,
უსათუოდ ჩამორჩება, ვისაც აგვიანდება.
ტემპერამენტიანებს კი აყოვნებს და აცოფებს:
ანათემას გადასცემენ მიტინგებს და საცობებს.
რუსთაველზე გაფიცული ჩინარების მარაო
„მერსედესებს“ უსიგნალებს: ჩქარა-ჩქარა-ჩქარაო!
ამნაირი მეტისმეტი არვის შეეხარბება:
ჩაანაცვლეს სიჩქარეთა გადა-გადმოჭარბება.
ჩაითრია წითელი და ყვითელი და შავი და
ჩამავალიც, როგორც იქნა, როგორც იქნა, ჩავიდა.

მე მიყვარს დანტე

არის კანტი, არის ანტიკანტი,
არის ნაღდი, არის ვარიანტი,
არის ქვა და არის ბრილიანტი,
ყველას უყვარს სანდო სეკუნდანტი,
მე კი მიყვარს — არც პედანტი და არც მოპედანტე —
სამოთხის და ჯოჯოხეთის კომენდანტი — დანტე,
მაგრამ ვერვინ დამიზუსტებს თრობის საათს სუპერს,
ვინაიდან კომენდანტის საუკუნე სუფევს.

ყველაფერი უარესად არის

არ უსმენენ იადონსაც,
გათამამდა ჯადოსანი,
კარგოსანს და ფრიადოსანს
ევაჭრება ათოსანი.
ცა გაივსო კოთხოსავით,
მზე გახურდა უთოსავით,
ისე დადის ოთხოსანი,
თითქოს იყოს ხუთოსანი.
გორის სახლში კეკესია
სამოსი და სამოსავი,
დაიბზარა ეკლესია
ათას-სამას-სამოსანი.
უნდა გავაგორო ზარი,
ბანი მიყვარს ერდოსავით,
მე ვიქნები ოროსანი,
შენ კი — ერთადერთოსანი.

„აქეთიქეთი“

შენ გზას იქით მიყავხარ,
მე კი აქეთ მიყვარხარ.
მიყვარს ჩემი აქეთი
და არ მიყვარს იქითა,
მოდი, გავხსნათ საკეტი,
გავაძევოთ კირკიტა,
ეგეთი და აგეთი —
გამოვიდეთ რიგიდან,
გავაუქმოთ აქეთი,
გავაუქმოთ იქითა,
გავერიდოთ აგარას,
ავირჩიოთ კიკეთი
და დავარქვათ აგარაკს
ჩვენსას „აქეთიქეთი“.
ბრძანებს აქ ეტიკეტი:
აქეთ „აქეთიქეთი!“.

ურანი

შეიკრიბნენ ურიანი,
შეიძინეს ურანი.

თუ არა ხარ შურიანი,
რად გინდოდა ურანი?

მე დავლანდე ორიონი
და გავშიფრე ბურანი.

ზღვა არ მიყვარს ურიონო,
არც „ურა“ და „ურანი“.
მიყვარს მაგიურიანი
„ბიბლია“ და „ყურანი“.

უნდა ვიბაკურიანო,
დავგმო ავანტურანი.

შეკითხვა

თავი ლოდზე მედო,
ვიყავ უიმედო:
მე ვინ გავიმეტო,
რა მოვიმოქმედო,
რას მკარნახობს მეტო-
ქეთა ეტო-მეტო.
უფალს მოუხმეთო!
ცა დაიმოწმეთო!
დააქარაგმეთო!
დაათილისმეთო!
შენ რას შემომთავაზებ,
მეგობარზე მეტო?

ადამის სიმღერა

ღიღინებდა ადამი:
— შენ ხარ ჩემი ბატონი,
ჩვენ გავხლიჩეთ ატამი,
ჩვენ გავხლიჩეთ ატომი!

მაგრამ ულტიმატუმი
ტეხავს, მაშასადამე,
აიკრძალა ატომი,
აღარ მღერის ადამი.

ღმერთო ჩემო, მიშველე,
როგორც მედიატორი,
ყვირის ადამიშვილი:
— შეაერთეთ ატომი!

პელაგია

ირგვლივ ბევრი ვერაგია,
შენ კი, ჩემო პელაგია,
თვალს ვერასდროს მოგარიდებ,
გვერდს ვერასდროს ვერ აგიარ.
უკან ჯაჭვისპერანგიან
წელთა არქიპელაგია,
სადაც ანტი-პელაგიას
ებრძვის არქი-პელაგია.

ნ ა ნ ა ს

სიზმრების ოკეანეთა
ტალღებში მოჩანს რიონი
და ჩვენი წილი პლანეტა
ოროთახნახევრიანი.

მიყვარს წყნარი ალაზანი,
თერგი ხმაურიანი,
მაგრამ ყველას მირჩევნია
ჩემი რიო რიონი.

მარიამის რაფო

ჩემო მარიამო, დაგიბერდა რაფო,
უნდა გაამხნევო, უნდა გაასწრაფო.
ჩემო საყვარელო, ჩემო თვალისჩინო,
ძაღლი გვიან-გვიან უნდა გაიჩინო,
რომ ცხოვრების ჭაპანს საზიაროდ სწევდეთ
და ერთმანეთს ტკბილზე ტკბილად შეაბერდეთ.

სანუგეშო

ემზარ კვიტაიშვილს
თემურ დოიაშვილს

ჩემო ემზარ, ჩემო თემო, მოდი, გავისარჯოთ,
შევქმნათ ქვრივთა მამაკაცთა სანუგეშო საბჭო.
გარეთ ხშირად გავაბიჯოთ, ცოტაც წავიბიჭოთ,
მერე უდიასახლისო მაგიდასთან ვიბჭოთ.
ნუნუასაც ღირსეული წილი მივანიჭოთ
და ცოტახანს ისევ ისე ერთად ვიჩალიჩოთ:
სამებაში ავირჩიოთ ხატი ღვთაებრივი,
სამეულში ვანუგეშოთ ერთი ორჯერ ქვრივი.

ბარაქალა!

— ბარაქალა! ბარაქალა!
გალას აქებს არაგალა —
შეტევებით აქა-იქ და
შედევრებით ალაგ-ალაგ.

ტერცინებით აციტატებს
დანტესა და ანტიდანტეს
და შაირით იგერიებს
შედევრობის კანდიდატებს.

ჰარი-ჰარალო

გამიღარიბდა სალარო —
სადოლარო და სალარო
და ახლა მათუსალა რო
ვიყო და არ ვიზარალო,
შანსები გავაბევრო და
დღე დადგეს საშედევრო და
გამომეცხადოს ევრო და
დავფარო სანახევრო და
ჩრდილი მათხოვე, თალარო,
დავჭექოთ ჰარი-ჰარალო.

არგანი

გადამიყვარდა არღანი
და შემიყვარდა არგანი,
კვლავ დამესიზმრა გაგრა და
არკა, არკები, არკანი.
ოთახი გახდა საკანი,
დავკარგე ფიქრის საგანი:
საგა, საგები, საგანი
და ლოცვა უფლისაგანი.
მარკა, მარკები, მარკანი,
რემარკა და რემარკანი,
მე ვარ და ჩემი ნაბადი,
მე ვარ და ჩემი არგანი.

უარის ყოფა

მაგის ტრაპი არა მაქვს და პოეტების ქალაქმა
სტრიქონები დამიშიფრა ანუ დამიქარაგმა:
ექსტრა — არა, ულტრა — კი და
ლიტრა — არა, მიტრა — კი,
პოეზიის პალიტრა კი ვარდია და მიხაკი.
რაკი მიხმობს აგარაკი, რაკი მესმის რაკრაკი,
ურეკზეა ლაპარაკი, ბიჭვინთა და გაგრა კი!
გამახსენდა გაზაფხულის მხიარული კანტატა,
შემოდგომამ დარჩენილი წლები გამიტრაქტატა.
კორექტურა არ გეგონოთ ან ხმა მესაკრავესი,
აღარ მიყვარს ტრანზიტი და ტრაპეზი და ტრავერსი.
სამწუხაროდ, ჩვენ რო ვიცით, მაგის იგიც არ მაქ და
ფათერაკი დამემუქრა ჭაბუკთა და ჭარმაგთა.
ტრაგედიამ შემაყვარა ქვეტექსტების ჭადრაკი,
არ მყავს მაგის ბადრაგი და არ მყავს მაგის ბატრაკი.
არ მყავს მაგის მაგისტრატი, არც პაპა და პაპიდა,
არ მაქვს მაგის მაგისტრალი,
არ მაქვს მაგის ტრაპი და
არც მაგიის ფრაკი მაქვს და აღარც შანსი მიზერი,
არც ის, რასაც აწონიდა ვიიონის კისერი.

ფრაგმენტები
მომავალი ლექსებიდან

მონატრება-მოლანდება

თბილისს უყვარს მოვლენათა
სიზმარივით მოვლენა და
მე ცარიელ პედესტალთან
თამარ მეფე მომელანდა.

მეთერთმეტე საუკუნის საქართველო

არკი აკლდა ალილო და ამინი და ოსანა,
მაინც გაუცინარ იყო — „უვეფხისტყაოსანო“.

რ ა ტ ო მ?

დღევანდელ ეკლესიებში გალობენ ოფელიანი,
ავანსცენაზე გამოდის კლასიკა ავანგარდული,
მალტაზე გაოცებული სწუხს საბა ორბელიანი:
— ის გამიკვირდა,
აფხაზმა რატომ იცოდა ქართული.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო

ერთადერთი სადღეგრძელო დამრჩა დაულეველი:
ახ ნეტავი ერთად იყოს მთაწმინდა და ლევილი.

ისევ გალაკტიონის მოტივი

საქართველოში ვიღაცა კვნესის,
ჩაქრა იმედი ტალის და კვესის,
დაისმა მთები დააირისა,
კახელი დგას და რაჭველი ქვე ზის.

გალაკტიონის ციტატა

მკვლელები აქაც არიან,
თავს აფარებენ კულისებს:
„ყველაზე საზიზღარია,
რომელიც დიდხანს უმიზნებს“.

აღიარებული პლაგიატი

ტაეპები წვიმას ჩამოვაჭერი,
ვიარყე და დღეს ვერ ვიტან უარყოს:
„გამოვიდეს რომელიმე
ვაჭარი
და ამ წვიმის პოეზია
უარყოს“.

მურმანი

თვალმა ჩემმა ჩათვლიმა,
შემომესმა:
— ნათლიმამ! —
შემახსენა მირონის
და მადლობის მადლი მან.

ფარდა და ფარდა

პრემიერას მოელიან
ძენი წინაპართა:
რკინის ფარდას მოერია
ქობულაძის ფარდა.

ამნაირი ამნაირებს

ამნაირი ათეისტი არ აქებდა სტალინსაც კი,
ამნაირებს არ აკოცა ბევრმა ვიგინდარამ ჯერაც,
კაცი მთვარეს ეწვია და
ჯორზე შეჯდა სტანისლავსკი:
— არა მჯერა! არა მჯერა! არა მჯერა! არა მჯერა!

რომაელთადმი

რომაელნო, მომწონს თქვენი სანიმუშო მაგალითი,
ვიცი, ბევრჯერ გაიტანა თქვენმა მეომარმა ლელო,
ოქრო ვიცი, ვერცხლი ვიცი,
მარჯანიც და მარგალიტიც, —
ვინ რომელმა მოგაქვავათ ეგოდენი მარმარილო?

რომი რომ...

ახლა ხშირად მეცინება,
ხშირად ვწრუპავ რომს,
პარიზს თუ არ ეწყინება,
ვადღეგრძელებ რომს.

ეიფელი და ეიფელი

არც მეტი და არც ნაკლები შედარება შევიფერე,
ამ სიზმარს და ამ ოცნებას ისევ მოვეფერები:
მინდა ვიყო ეიფელი, მინდა ვიყო ეიფელი,
ყველა ფანჯარაში ჩანდეს ჩემი ეიფელები.

გ ა გ რ ა

შეგვაჩვია გაგრამ ლოდინს! —
მაგრამ როდის? მაგრამ როდის?
მაგრამ როდის? მაგრამ როდის?

ანაკლია

ვისაც არ მოსწონს მშობლიური ანაკლია,
როდესაც ზღვაში ვარსკვლავების ანარეკლია,
იმ ანაკლიელს ან აკლია
ან არ აკლია.

გურიაში მივდივარ

სცენა გუნიასი კმარა,
კერძი გულიაში კმარა,
„მივალ გურიაში, მარა
სულმა წინ-წინ გეიპარა“.

ისევ გურიაში მივდივარ

არ მაქვს ვალი ურიასი
და არც ბაღათურიასი,
თვალს დავხუჭავ, დავიძინებ
და — მივდივარ გურიაში.

სოფლის გახსენება

ბოგირს ისე არ აქებენ,
თუ არ ახლავს ჩერო ჩელტის,
უყვართ საბას არაკები
და ზღაპარი — „შენ რო ჩემთვის?“...

ხარი და ხარხარი

გავიგონე ხარის ხმა
და სიცილ-ხარხარის ხმა,
გამაოცა ხალისმა,
ხარისხმა და ხარიზმამ.

სიგერის ვარიანტი

ავხირდი, ავიჩემე:
არ მინდა, არ მეკადრება,
სხვებმა იხილონ ჩემი
შენელებული კადრები.

ამაყი მაჯამა

დამაფასე და პატივი მეც და მეც,
რადგან არ ვარ მექალთანე-მედამე,
ვინაიდან არ მსურს ვიყო მეც და მეც,
ვინაიდან მინდა ვიყო მე და მე.

ხუმრობასავით

ვაბარებ ყველა გასაღებს,
ველარ წავიღებ წასაღებს,
მე ბანკის ვალი არა მაქვს,
წიგნებმა გამომასახლეს.

ესეც ასე

ნიჭიერმა შემაქო და გახდა უნიჭიერესი:
ავამაღლე, დავასახლე ცათა სიმშვენიერეში.
ახლა უნიჭიერესთა ატესტატებს ვარიგებ და
არაფერი მესაქმება ნიჭიერთა ბარიგებთან.

წვეროსანი რითმა

— In Vino Veritas!
— ინ ვინო ვერიტას! —
იმდენჯერ იხმარეს,
მამაკაცს ვერ იტანს.

კ ი კ ა

დრო იყო და პლეხანოვი
თავს რუსთაველს აწონებდა,
ხოლო აღმაშენებელმა გვიან გამოიამინდა,
ავტობუსში ოცნებობდა
დანიშნული საცოლე და
უცებ კიკა ამოვიდა და იყვირა:
— ცოლი მინდა!

„როლს როისი“

შეასრულებს როლს რეისი
და — სიმბოლო ძველი დროის —
ლონდონიდან როის-როის
ჩამოაღწევს „როლს როისი“.

შედარება

შედარება არასოდეს დამიგვიანდება,
მაგრამ ეს შედარება
მაინც სხვა სპექტაკლია:
თუმცა ბევრზე ბევრებია ნობელიანტები,
მაინც ნობელიანტებს ბევრიოდე აკლია.

გერმანელი

გერმანელმა აუზთან
ვერ შენიშნა ქაფი,
ჯერ დაწერა „ფაუსტი“,
მერე „მაინ კამფი“.

მარტივი არითმეტიკა

იყოს სამადსამი დღე,
იყოს სამადსამი ტყე,
ერთადერთი ჯოჯოხეთი
და სამ-ოთხი სამოთხე.



ლელა სამნიაშვილი

* * *

ქვეყანას ძილი მოერია
ძილის სამშობლო რომელია —
გონების ფსკერი თუ ედემის ბაღები?

ძილშიც პატარა ომებია —
ურჩხულებიან და გნომებიან
ქალაქებს ადევთ ურდულები. აღებენ

კარისკაცები ღამ-ღამობით
და არც საბუთებს ამოწმებენ
და არც ტესტია ალკოჰოლზე. გიშვებენ

და ხსნიან სიზმრის მაღაროებს,
ვიდრე ბოლომდე ამოიღებს
სიზმრის შახტებში შეპარული შიშების

მადანს — თვალები დახუჭული.
სად არ გივლია, გიძებნია —
პასუხს კვლავ სიფხიზლე აფუჭებს.

რაც კი მსოფლიოში მიწებია —
რაც ზედ კაცის ტერფი მიეწება —
საზღვრის ხაზი არსად არ უჩანს.

რასაც თაობები შეეწირა,
ფრთები შეისხა და შეიკვეცა,
დროს რაც მაინც გადარჩენია —

სანამ ცოცხალი ხარ, მთელი მიწა,
სანამ ცოცხალი ხარ, მთელი ეს ცა,
მთელი არსებობა შენია.

ბუშტი

მზე იმდენ რამეს გვაკეთებინებს
და იმდენ რამეს გვაფუჭებინებს,
რომ სულ წყალს მიაქვს გაკვეთილები

მთელი თავისი სარკეებით და
მთელი თავისი ვაუჩერებით,
მთელი თავისი გზატკეცილებით

და ფრენებით და გაუჩერებლად
გზების ძიებით, სხვების ძიებით,
როცა თავებსაც ხელიდან ვუშვებთ

და ვერაფერში გვშველის რჩევები,
თანაგრძნობები, ოვაციები,
როდესაც კისრებს ყულფისკენ ვუშვერთ

ახალ დღეებს და მოვალეობებს,
თითქოს მართლა ვართ მოვალეები,
თითქოს მზეებმაც აგვკიდეს ვალი —

ხურდას ითვლიან მოლარეები
და ხვალ — მთავარი მომავალია
და ზურგს გვიმაგრებს მაკიაველი —

რაღაც გზებით და რაღაც მიზნებით
ხლართავს ჩვენთვის და ხლართავს ყველასთვის
და საკუთარი თავისთვის ხლართავს

და გაზრდილია გაბარიტები
ცათამბჯენების, თუმცა პლანეტა
ჩაჩურთულია ძველებურ დახლთან

და, რა თქმა უნდა, არ უნდა ბევრი
ვაი-ვიში და დავიდარაბა —
ჩვენამდეც უკვე მრავალჯერ უთქვამთ —

დაჩუტულ ბუშტს გავს, რომ ვბერეთ, ვბერეთ,
ოცნების ძაფიც რომ გამოვაბით,
მაგრამ არ გვეყო ბოლომდე სუნთქვა.

* * *

მსოფლიომ ლომის მადა ინება
და უსასრულოდ იფქვება ხორცი,
მაგრამ მწიფობენ მანდარინები
და სათითაო ლებნად ამოცლილ
ნამს სურნელი აქვს უხსოვარ ზამთრის
და ნაფცქვენების ალით ინთება
ხელისგულები — თუ გაიზარდე —
არც კი იციან მანდარინებმა.

ოპენჰაიმერი

თითქმის ფაქტია — რომ ვინც უკვე წავიდა — უფრო
აქ არის — საზღვრებჩამოცლილი და უკეთ ისმენს,
თუ რამე არის მოსასმენი და რომ საუბრობს
თვითონაც, თუმცა რაღა დარჩა სათქმელი — ისევ
ერთს და იმავეს ტკეპნის ყველა ჯერაც ცოცხალი,
მკვდრებს — მითუმეტეს — ვაპატიოთ, თუ ეზარებათ
ქარს გაატანონ ხმა — არსაით. ღმერთი — მოწყალე
თუ არის — არის. და მიიღებს წილ ზიარებას
ყველა, რადგანაც ზიარია — ჰაერიც, მიწაც,
წყალიც, წყურვილიც, შიმშილიც და
თვითონ სიკვდილიც
და აქანავებს დარიგებულ აირწინაღებს
და ეხეთქება შიშველ ძვლებზე ქარის სიგრილე
სიკვდილს, რომელშიც ვიბადებით,
ვცხოვრობთ, ვბერდებით
და ვემუქრებით ატომური აფეთქებებით.

ნიშნები

უნდა დავტოვო რაღაც ნიშნები,
რომ მომავლიდან ვინმე გამომყვეს
ამ დროში, ვიდრე მეც წავიშლები
და გავიყოლებ ყველა სამოთხეს,
ყველა ჯოჯოხეთს — სადმე არყოფნის
გრძედში, განედში, მერიდიანში
და მოვიკითხავ ყველა ახლობელს
და არ იქნება მერე გვიანი,
დავსვა შეკითხვა სამართლიანი —
რომელიც ალბათ სიგიჟედ ჟღერდა —
თუ ყველაფერი არის გვიანი —
შენ რა ჯანდაბას აკეთებ ჩემთან?

სალომე კაკაბაძე

* * *

ასეა ეს და...
ასეა ყველა შეყვარებული.
მე ჩემს ცოდვებთან მართალი ვარ, მოწმეა ზეცა.
და მაინც ახლა ფიქრებად რომ ამეკვიატე,
მაინტერესებს, ის თუ გახსოვს, იმ დღეს რა მეცვა...
(როცა პირველად გამიძარცვე სხეულზე ფარჩა
და დამრჩა მხოლოდ სიყვარულით გამთბარი მხრები).
შენ მე მეხები,
მე ვიბნევი, გებნევი ყელზე
და ჩემს წინაშე ამღვრეული ვნებებით დგები.
მე ისე ვდნები, როგორც ყინული მცხუნვარე მზეში...
და მაინც ვრისკავ, ყოველ ჯერზე გადაგემალო, რომ
მერე ისევ მიპოვო და გამალღო პეშვში,
პეშვებიდან კი მთელ სხეულზე გადაგეღვარო.

* * *

როცა ჩვენს ტუჩებს ერთმანეთს გავურითმავთ
და თუ სხეულებსაც ალი მოედოთ...
რატომ კლავთ ლექსებში ლამაზ ქალებს,
ქალებს რად არ ინდობთ, პოეტო? —
გკითხავ და შიში აიტანს სხეულს, რომ
მეც ქალი ვარ და ლექსებს მიწერ.
ვაჯვარედინებ ზურგს უკან ხელებს და
შენც თავიდან გადამიწერ.
აქამდე ასეთი არ გენახე
და როცა ტუჩებს ერთმანეთს გავურითმავთ,
მე გკითხავ — პოეტო, რას ერჩით ლამაზ ქალებს,
და შენც მიპასუხებ — ლამაზი ხარ.

* * *

ნაბიჯი 67-ე
134-იან კიბეზე.
ამითაც უნდა შეშინდე,
გაიკრა ხელი ჯიბეზე,
იპოვო ქაღალდის ნაკუჭი,
გამოძვრე საკუთარ ბუდიდან,
ველარ გაგიძლებს ნაჭუჭი,
ინგრევი გარედან, შიგნიდან.
დაეცი ბოლომდე, თუ გინდა,
რომ მერე ფენიქსად შეიქმნა.
გამოდი საკუთარ ბუდიდან — სანამდე ფრთები შეგიხმა.
ნაბიჯი 67-ე
134 კიბიდან.
აიღე ქაღალდის ნაკუჭი
მაგ დასაწვავი ჯიბიდან.
ამოიკითხე ეს ლექსი,
გატეხე გარსი და ნაჭუჭი,
სახურავს მოშორდი, მე აქ ვარ!
მობრუნდი, ან უფრო დაბრუნდი.

ასოცდათოთხმეტ საფეხურს
სამოცდაშვიდი ნაბიჯით თუ ვინმე ამოვა შენამდე,
მობრუნდი,
ან
უფრო —
დაბრუნდი!

* * *

მწურავს ღმერთის მიერ ეშმაკისთვის დათმობილი
ჩემი სიზმრები.
მბორგავს და მითრევს.
მითევს ღამეებს ქუჩის კატა, უფრო კი
ქუჩაა ამ კატისა, მე ასე ვფიქრობ.
მითმობს მთვარეულს ქუჩის მაწანწალა
ადგილს დასაწოლად. უფრო კი
ქუჩაა მაწანწალასი, ასე მგონია.
ის ქუჩის ქალი იხდის ქურთუკს, რომ
მიმაფაროს სითბოახდილს ნამუსახდილმა.
უფრო კი ქუჩა ამ ქალისაა, მე ასე მესმის...
არა ქუჩისა არავინაა, ქუჩაა მათი...
მითია ესეც... ესეც ბოდვაა და არ მეღვიძება...

* * *

ნუ გამოულევ, უფალო, ლიმონს,
იმ კაცს გაწურულს ოფლში ლიმონივით.
კაცი თმანისლია,
ხელებმუხიანი,
ტანჯვის სამხრეებით...
მიათრევს ლეშივით
დაღლილ კიდურებს და მაინც ეღიმება.
ეღიმება, რადგან იცის, ხვალ რა ელის,
ხვალაც იგივეა.
მხრებში, რომ შეეძლოს, გასწორდებოდა და
მერე როგორ...
ბიჭი ჰყოლია და ომში დაღუპვია იმ უბედურს.
მაშინ ვინატრეო, გამჩენოდა ნეტავ გოგო,
არადა გავარდა თოფი, ვინ მოითვლის რამდენიო...
რომ დაიბადა, ცაში ვისროლეო, უფალსაც ვამცნე,
ბიჭი მეყოლაო.
სიკვდილის დროსაც თოფი გავარდა, მე არ მისვრია,
არც ცაში უსვრიათო,
ჩემს შვილს ესროლესო იმ უღმერთოებმა.
ხელი ჩაიქნია...
„ჯანდაბას ჩემი თავი,
ნეტავ ხვალ ლიმონი რა ეღირება“.
ნეტავი სულაც არ გადავყროდი
ამ კაცს თმანისლიანს,
თვეებს გააჩნია...
ხან ლიმონებს ყიდის, ხანაც — ყოჩივარდებს.
და მაინც ეღიმება...

* * *

რას ხმაურობენ ნაძვები,
ნეტავი ვისა გლოვობენ,
სიკვდილო, საით დაძვრები,
ვის უთენდები, ბოლო დღევ!

საწუთისოფლო დღეები
მიდიან ჭენებ-ჭენებით,
შემოქმედს წერა ენება —
დასტოვა სამოთხეები...

ისე ვით ალიგიერი
მოინახულებს იმ შრეებს,
ეს სივრცე — ალერგიული,
აუტანელი სიმშრალე.

ოჰ, სულო, საით ლივლივებ,
შემოგახვიო ფარაჯა,
სად გესმა მთვარის კივილი, —
მდუმარებს ღამის დარაჯად.

* * *

მთები გაბუტულან, როგორც ქალწულები,
სხივი მიიმალა — მათი შმაგი მეხრე,
თუ ამ პოეზიის არ ხარ დამწუნები —
ჩემი სულისაკენ საშვი გაგიხერხე.

ასე წარმოდგენით ვდგავარ სენასთან და
ზე ვარ ხელოვანი ფიქრით დადაისტურ,
სულში ყრუ ყვირილი გულის სმენას ნთქავდა
და რომ ვერ მოვედი, ასე დადასტურდა.

ბნელში გამოგეშვა ალბათ სიზმრის ზარი,
მე ვერ მოვასწარი მეთქვა ალო!.. გისმენ!..
სანამ ტირეზია, ბოროტი მისანი
გამოაცხადებდეს თავის ალოგიზმებს...

მთვარის ანარეკლი ტანზე შეიხსენი,
მოდი, დაგანახო სევდა — მოლოგინე,
ქარის არპეჯიო იქნებ შეიხსენო...
უხმოდ გააცხადე შენი მოლოდინი.

* * *

მოირღვა ყველა ის ლაბირინთი
შემოქსოვილი ფიქრის ობობით,
და მშრალი განცდა, ვით ძველი ნივთი —
შემოსაზღვრული არის ობებით.

ვინ შეუსრულოს მზეებს მანტრები,
როცა ჩარაზულ კართან ზის სული,
ლექსის ლექსიდან მომენატრები,
განცდა მეწვევა კათარსისული.

უტყვ თევზებს რა აქვთ ან სადილემო,
სად გზა ხსნილია და სად ბადეა.
ბნელში შთანთქმული ის საიდუმლო
სინათლეს ითხოვს დასაბადებლად.

შევყურებ ღრუბელს — მოჩანს არწივად,
მტირალა ზეცის ნამდვილ იმედებს, —
არც თოვად მოდი და აღარც წვიმად —
არც მზის სხივები გამოიმეტე.

დროს შევრჩი ასე ფოთოლცვენებად,
ტანგაძარცვული სუსტი ხესავით,
არ ვიცით, სად კლავს ბედნიერებას —
იღბალი ზოგჯერ დანის მლესავი.

* * *

მოგვებმა მოგვითხრეს — მისნობად ეთვლებათ,
ადგილი იციან ზეცაზე მათ რუკის,
რომელი ვარსკვლავი სად იქცა ფერფლებად,
სხეულში მიხრჩოლავს დარდების პატრუქი.

ის ფიქრი, ის დარდი ფიფქებად ელვარე —
მწვერვალებს თოვლივით ახლა რომ უდნებათ,
ადგება კალაპოტს დატოვებს მღელვარე
რუ, — განა ყოველთვის ადვილად დუმდება.

...და მთვარემ ვარსკვლავთა განწირულ ტარიგებს,
ლამაზი, ლამაზი სიზმრები უსურვა.
მზე სხივებს ამრიგად რადგანაც არიგებს,
პატარა ჩიტები შეექცნენ უსურვაზს.

ამ სხივთა სინათლეს ადვილად მივწვდები,
კლდის შიგნით მდინარე ჩუმი და ცივია,
ერთგული ძაღლივით ამ გულთან იწვები,
დიადი რაცაა, სულ დასაცავია.

* * *

გულს დაეტყობა ზედაპირზე ახმიანება,
ვით მონეს ბაღში მოტივტივე მწვანე დუმფარას,
მოგონებები შეფერილი ვით ხმიადები
ამ აუტანელ, გაუსაძლის დუმილს იფარავს.



მარი ჩაკვეტაძე

და შორეული, გამიზნული მზერით გამთბარი
მზემ შეაშველოს უხილავი ბალახს ხელები,
რომ ამ სიყვარულს გადაიწერს ვინმე მხატვარი
სულში ჩაღვრილი უსასრულო ცისარტყელებით.

ავედევნები ალბათ უგზოდ მოარულ ქარებს,
ქანცგაწყვეტილი დასასრულის პრე ლოდინია,
ჟივერნის ბაღში დაინახავ მდუმარ დუმფარებს,
ზღვას ააღელვებს ჩამავალი მზის პრელუდია.

* * *

თუ ჩემი მზერა გადმოიხატე,
მაგ სიზმრებიდან გადმოეხეტე
და ვით კლდეს ტალღა
განწირულ ბედით,
შენც ამ სიცხადეს
შემოემსხვრიე.

სხეულს ვნებები რომ მოაცილო,
გაგრძელდეს ტანგო და პიაცოლა,
წვიმის სურნელით და ერთი წვეთით
გადამირითმე თვალები მღვრიე.

ნაპირზე ვისმენთ ტალღების კისკისს.
ხმას აყოლებენ სევდიან კრის რის.
ვისმენთ კი არა, ხელის ფათურით
სიზმრიდან მოგწვდი და ავირიე.

თუ ჩემი მზერა გადმოიხატე,
ამ სიცხადეშიც გადმო.

ნერის დროს

ზოგჯერ პოეზია სულ ხელოვნურია,
როცა ხელოვანი „რემინის ცხენზეა“,
თუკი უფალმა სულს ხელი ურია, —
შექმენი ღელვადი რემინისცენცია.

და თუკი იბურავ უცნაურ საბურველს,
ვარსკვლავის შუქით რომ საკუთარ აგებ ცას,
დაწერე, იფრინე, მოიმგლოვიარე, —
ობოლი ფრაზები თუ როგორ გაგექცა.

თუ გადაეყაროთ ხელოვანს ქუჩაში,
თვალებში ღმერთი რომ ასხივებს აპოკრიფს,
მის გრძნეულ სიჩუმეს ხმაურით ნუ წაშლი —
სანამ დაბნეული იმ სიტყვებს ამოკრეფს.

ქვაზე დადე

დილით ავტობუსის სენსორზე ბარათი ორჯერ დავატყეპე — ანგარიში არ გაქვსო, ყვითელჟილეტიანმა მონიტორინგის გოგომ მითხრა.

კარგად არ ვიცნობ თანამედროვე ავტობუსით მგზავრობის წესებს, თორემ ასე მოუმზადებელი არ ავიდოდი.

ჯიბეში ჩავიყავი ხელი — ვახ! სადღაა ის 50-თეთრიანი, რომელიც ნაღდად მეგონა, რომ მქონდა. გამახსენდა, წინა ღამეს პეკინის ქუჩაზე, მაღაზიიდან გამოსულმა, ყინვიან ღამეში მობუზულ, შეფუთნულ შავოსან ქალს მივეცი.

ხუთლარიანი მაქვს-მეთქი, ყვითელჟილეტიან გოგოს ვუთხარი, რა უნდა ვქნა ასეთ შემთხვევაში?

აიჩეჩა მხრები. ჩავიდე-მეთქი? რა ვიცი, თუ ვინმე დაგიხურდავებს, შენ იციო.

— ხუთლარიანის ხურდა გაქვთ ვინმეს? — მთელ ავტობუსს მივმართე, მინიმიტინგი ჩავატარე. ცივად შემომხედეს, არ მომაშავეს პასუხი. ეს მონიტორინგის გოგოც ცივად მიყურებს, ალბათ უნდობლადაც. ხალხი სალაროსთან მიდის, ბილეთებს იღებს — მე ერთი ვგდივარ უღირსი და უბილეთო.

უცებ ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ოცი-ოცდახუთი წლის, მივიდა, აიღო ბილეთი და გამომიწოდა ჩუმად. მივიხედ-მოვიხედე, ნამდვილად მე მაძლევს-მეთქი?

უამრავი მადლობა ვუთხარი, გავბრწყინდი, გავოცდი.

არავითარი შანსი არაა, რომ რამენაირად, თუნდაც მეზობლად ან შორეულ ნაცნობად მიცნო — შარფსა და ქუდს შორის თვალების ჭრილისოდენა ნაპრალი მაქვს ზუსტად დატოვებული, მაგარი შეფუთული ვარ. უბრალოდ აიღო ბილეთი და მომცა.

აბა, ამის მერე გაიხსნა ადამიანთა გულები! უცებ ხუთლარიანის ხურდაც აღმოაჩნდა ვიღაცას, ლარიანიც დამიხურდავეს ორმოცდაათთეთრიანებად, მერე რაო, მეც რამდენჯერ გამიკეთებია ეგრეო, მეც ამიღია უბილეთოსთვის ბილეთიო, ეგეც გაიხსენეს, ალბათ კიდევაც შეშურდათ, სხვამ როგორ დაასწროთ, პატარა ბიჭმა თანაც, სიკეთე როგორ არ არსებობსო, კარგი ახალგაზრდები როგორ არ გვყავსო და მოკლედ, უცბად გახსნა სიცივის დახშული ბოქლომები ამ ერთმა 50-თეთრიანმა ბილეთმა და ყველა გაატარა სიკეთისკენ ურიგოდ და უბილეთოდ. ეს ბიჭი იდგა ჩუმად, ფანჯარაში იხედებოდა თავისთვის, კაპიუშონი ჰქონდა წამოხურული, არ იცოდა, რომ წინა ღამეს რომ ქალს 50 თეთრი მივეცი — ეს მან მისცა, მე კი არა.

როგორც კი დამიხურდავეს, მაშინვე შევთავაზე 50-თეთრიანი — არ გამომართვა. მერე მეჭირა ეს მონეტა, იქნებ ვინმე ჩემნაირი ამოვიდეს, გადავუხდი-მეთქი — არავინ ამოვიდა ჩემნაირი.

მეტროში ქალი მღეროდა — „მთაში სალამურს ვაკვნესებ“ — ამ სიმღერის მოტივზე, ოღონდ რაღაც სხვა ტექსტს მღეროდა, ვერ გავარჩიე სიტყვები. ყავის ფინჯანი ეჭირა ხელში და იმ ფინჯანში ეყარა ხურდები. რომ ჩავუარე, მესამე სტრიქონზე იყო, აი, თეორიულად „დავდივარ, თვალებს ვაცეცებ“ სადაცაა, იქ იყო მიმღერებული და, ის 50-თეთრიანი მონეტა რომ ჩავუგდე ყავის ფინჯანში, სიმღერა არ შეუწყვეტია, ოდნავაც არ შეუფერხებია, ისე წაუმღერა „ღვთის წყალობა და სიკეთეეეე“ — „დავდივარ, თვალებს ვაცეცებ“-ის მოტივზე.

ეს იყო ერთადერთი ფრაზა, რომელიც მისი სიმღერის ტექსტიდან გავიგე.

რაღაც გახარებული დავდიოდი მთელი დღე და აკვიატებული მქონდა სმენაში — „ღვთის წყალობა და სიკეთეეეე“.

უსარკო კნუტი

მაგარ ბარდნია ზამთარში ერთხელ რაღაც კნავილი გავიგეთ.

გავაღეთ კარი და ვხედავთ, პაწაწკინტელა თეთრი თოვლის გუნდა კნავის, ყურები აქვს შავი.

გამოვბუმბლეთ თოვლიდან — უსაყვარლესი შავ-თეთრი კნუტია, გრძელბეწვიანი, გახვეულა ნამქერში, ტყაპატყუპით თოვს, ქარიც ახვევს, თოვლის დიდ-პატარა ბორცვებია კართან. დგას ამ ბორცვებში, სახლისკენ მომავალ ბილიკზე მუჭისოდენა კნუტი, თოვლში გახვეული, და კარებს უჭყივის. შემოვიყვანეთ, გავათბეთ, ვისია, არ ვიცით, პირველად ვხედავთ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენი გახდა. მოკლედ, ეს ის „ჩვენი ნარკომანი კნუტია“ — შემდგომში ჩემი პატარა მოთხრობის ანცი გმირი.

მამაჩემი არ გიჟდებოდა კნუტებზე.

უფრო სწორად, სახლში უჭირდა ცხოველების ატანა. მით უმეტეს, კატა — სულ ფეხებში მებლანდებაო. ჩვენი ხათრით იტანდა. ხან გაიყვანდა გარეთ, ცოტა ხანს დავიცდიდით — შემოვიყვანდით. მერე ის ცოტას შეიცდიდა — გაიყვანდა და ასე გადი-შემოდიოდა კატა, გარეთაც სიხარულით მოგვყვებოდა და შიგნითაც.

ერთხელ სამზარეულოში ვსხედვართ, ვსაუზმობთ. ამოხტა კატა ფანჯრის რაფაზე, გარეთ იყო ამ დროს, კნავის, გვიყურებს გარედან. კნავილი არ ისმის, ისე იჭყანება, აღებს პირს.

მამაჩემმა ფანჯრის მინაზე მიუკაკუნა, ჩადი ძირსო, დაუძახა.

ჩვენ გავაპროტესტეთ:

— ფანჯრის რაფაზე მაინც დაანებე ჯდომა, რას გიშავებს?

დაელამდებაო, მამაჩემმა, ლუკმების ტრაექტორიას თვალს ვერ აშორებსო. დედამ უთხრა:

— ბორია. ეს კნუტი არის პატარა. სარკე მაგას არა აქვს, სხვა კატები მაგას არ უნახავს, მოგვჩერებია და ჩვენ ვგონივართ თავისნაირები. ამიტომ სულ ჩვენთან უნდა.

საყოველთაო სიცილში გავუღეთ კატას კარი.

შემოვიდა მოზეიმე კუდით.

ცისარტყელა

გაზაფხულზე ჩავედი რაჭაში — აღდგომამდე ერთი კვირა რჩებოდა.

ღამით ონში დავრჩი სოფოსთან და დილის ავტობუსს ავყევი მაჟიეთში. ალიონზე ადიოდა ავტობუსი. მიყვარდა დილით ასვლა — ხასხასებდა ყველაფერი, მშობლებს ჯერ ჩაი არ ჰქონდათ დალეული, ზოგჯერ ისე დავადგებოდი, ერთად დავსხდებოდით გაკრიალებულ სამზარეულოში, ვისაუზმებდით, დატრიალდებოდა დედა.

მაგრამ იმ ასვლაზე, რომელზეც ახლა გიყვებით, დედა აღარ იყო. გზად ყველაფერი ისევ ისე ხასხასებდა, სუნთქავდა, ჰაერის სიკამკამით ნესტოებს გიწვავდა, მარტო დედა აღარ იყო...

მივალ, მე და მამაჩემი დავსხდებით, დავლევთ ჩაის ისევ ისე, ვილაპარაკებთ, ვიცინებთ, მომიყვება, მოვუყვები — ვფიქრობ. ყველა ვცდილობდით სახლში, დედას არყოფნა სახლს და განწყობას არ დასტყობოდა. სამზარეულო მთლად ისე ვეღარ იქნება გაკრიალებული, მაგრამ საშუალოდ ხომ იქნება, არა უშავს. აღდგომამდე სამზარეულოსაც და მთელ სახლს დავასუფთავებ.

მივედი, დამხვდა მამაჩემი, კარგადაა, ჯანზეა, გვიხარია. შევედი, მივიხედ-მოვიხედე და რას ვხედავ: მინკრიალებული სამზარეულო ან საშუალოდ მილაგებული კი არა, თუკი რამე ადამიანისთვის ან წვრილფეხობა-მსხვილფეხობისთვის საჭირო ნივთი და პროდუქტია სათავსოებში, ყველაფერი აქ შემოუზიდავს და მოუმარჯვებია ამ ერთ ოთახში, სადაც შეშის ღუმელი დგას. ქატოიანი ტომარა, ფქვილიანი ტომარა, სიმინდის მარცვლიანი კოდი, რაღაც ვედროები, ნაჯახები, ჩაქუჩები, ლურსმნები, ჩექმები, რა ვიცი, ზოგი რამე გოჭებისთვისაა, ზოგი ხბოსთვის, ქათმებისთვის, კატისთვის, თავისთვის — ყველაფერი იქ ყრია. არა, კი არ იყო ისეთი კაცი, ქალებივით რომ აწკრიალებენ, კაცურად იცოდა კეთება, მიყრა-მოყრით, მაგრამ ახლა ნამეტანი ჩაუდენია. ამემღვრა თვალი და ტვინი — გასანძრევი ადგილი აღარაა. დღეს ძალიან კარგად ვხვდები, რატომ და როგორ, მაგრამ მაშინ არც მინდოდა მიხვედრა, აღიარება და შეგუება.

რა არის-მეთქი, მამიკო (ასე ვეძახდით ბავშვობიდან ბოლომდე მე და სოფო), ბეღელი რისთვისაა, მარანი, სათონე, ყველანაირი სათავსოა, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, რა ყველაფერი აქ შემოგიზიდავს-მეთქი, გავღიზიანდი. არც იმან დამითმო, მე ასე მომწონს, ასე ვაკეთებ, შენ როგორც გინდა, ისე გააკეთეო. ავყევ-დავყევით ერთმანეთს, ვიღას ახსოვს ჩაი, ან სად დავლიო ამ არეულობაში, რა მეჩაიება, თუ არ გაწკრიალდა ისევ ისე, ვერ დავჯდები, დედას ასე უყვარდა, ასე დაგვაჩვია. ვზიდავ ამ რაღაცებს თავ-თავის ადგილზე, ვჯიჯღინებ, „ამას აქ რაღა უნდა! ეს მაინც გაგეტანა!“ და ასეთ რამეებს ვიძახი. არც ის მითმობს და მოკლედ, ბოლოს სურათია ასეთი: სახლის ერთ მხარეს ეზოში მე ვმუშაობ, ვაჯახუნებ იარაღებს, ჭურჭლებს, ვალაგებ ადგილებზე, მეორე მხარეს (ყველა მხრიდან ეზო აქვს სახლს) მამაჩემი მუშაობს, რაღაც საგაზაფხულო საქმეს აკეთებს. აღარ ვლაპარაკობთ, გაბუტვა კი არ იცოდა, საერთოდ არა. უბრალოდ, დაშორიშორებულები ვართ, მაგრამ გაბრაზებულები. და ვიცით, რომ უფრო ერთმანეთზე კი არა, იმაზე ვართ გაბრაზებულები, რომ დედა აღარაა, ძალიან ადრე და უსამართლო იყო მისი აღარყოფნა. ვმუშაობთ ასე უხმოდ ის იქით ეზოში, მე — აქეთ.

უცებ, არ მახსოვს, რამ ამახედა მაღლა, რაღაც სიხასხასე ვიგრძენი ზემოდან — დილაა ისევ, სიგრილეა, მზე მოდის ნელნელა, შორიდან ამოიწვერა. ავიხედე და ვხედავ — უზარმაზარი ცისარტყელაა მთელ ცაზე. მაგრამ როგორი ცისარტყელა, იცით? არ ვიცი, ატმოსფერულ-ოპტიკურად ამას რა ჰქვია, ცისარტყელას ხომ შორიახლოს თავისი ორეული ახლავს ხოლმე, თუ დავაკვირდებით, ან ძალიან ფერმკრთალი, ან უფრო მკაფიო მეორე ცისარტყელა არის იქვე სიმეტრიულად გადარკალული. ეს როგორ იყო, იცით? ორი ერთნაირად კაშკაშა ცისარტყელა, ოღონდ ზურგებით მიყრდნობილები ერთმანეთზე, ზურგშექცეულები, გაშლილი ბოლოები კი სადღაც ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ცის დასალიერში ეკარგებოდათ. ასეთი არაფერი მინახავს. სკოლაში რომ ხელნაწერ იქსს ვწერდით, ეგეთი ცისარტყელა იყო მთელ ჩვენს წილ ცაზე. დავაგდე რაღაცა მეჭირა ხელში, წავედი, მამაჩემს დავუძახე, მოდი-მეთქი, რანაირი ცისარტყელაა.

დავდექით სახლის წინ, ვუყურეთ, მოგვეღრიცა კისრები. იმანაც თქვა, რომ არასოდეს უნახავს ასეთი ცისარტყელა.

დიდხანს ვუყურეთ, ვიდექით. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს დედა იყო, მაგრამ არ მითქვამს მამაჩემისთვის. რა თქმა უნდოდა! იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ იმან ჩემზე ადრე იცნო.

რამდენი ხანია, ამ ამბის მოყოლა მინდა, მაგრამ ვერ ვყვები.

ან ახლა როგორ გამომივიდა, არ ვიცი. მოვყევი და...

არზინა

მიდის ქალი ქუჩაში, მისდევს მძიმეჩანთიანი მეორე ქალი და ეძახის:

— ზინა! ზინა! ზინა!

ზინა არ იხედება. არადა, ეს მძიმე ჩანთით მისდევს.

— ზინაა! ზინაააა!

არ იხედება ზინა. ბოლოს დაეწია ჩანთიანი ქალი, გაბრაზებულმა ჩაავლო და შემოატრიალა.

— რო გეძახი, არ გესმის?!

ზინამ მოიხედა და ორივე ქალს დაეხატა სახეზე, რომ ზინა არაა ზინა, სხვაა! მაგრამ მძიმეჩანთიანი უკვე ძალიან გაავებულია და პასუხს ითხოვს არზინასგანაც კი, თუნდაც იმიტომ, რომ ის არ აღმოჩნდა ზინა.

— ქალბატონო, ვიღაცაში გეშლებით, არა ვარ ზინა.

— კაი, არა ხარ, მაგრამ, ხო გესმის, რომ მოგდევ და გეძახი?

— და რა ვიცი, იქნებ სხვას ეძახით?!

— ვის სხვას? აქ არის ვინმე სხვა ზინა? აშკარად შენ მოგდევ და გეძახი, „ზინა, ზინა!“

— მაგრამ, არა ვარ ზინა!

— ნუ ხარ! ხო გესმის, არა? ამსიმძიმე ჩანთით მოგდევ, გავწყდი წელში...

— გადასარევი პირდაპირ!

— რაა გადასარევი?! აუცილებლად ზინა უნდა იყო, რომ მოიხედო?!

ჩავიარე.

ძალიანაც მინდოდა დარჩენა, ბოლომდე მოსმენა, მაგრამ ზრდილობა, ხათრი, რამე...

ვზივარ ახლა და ვწერ. შენ კითხულობ.

ჩანთიანი ქალი ალბათ თავის ოჯახშია და ყვება, როგორ არ მოიხედა უგულო არზინამ.

არზინა ალბათ თავის სახლში ზის და იოცებს, „რამდენი ხისთავიანი დადის ქვეყანაზე!“

შენ შენი ფინალი წარმოიდგინე, ნებას გაძლევ.

დავალება

მე და სოფომ ერთხელ დიდუბის ავტოსადგურის შემნახველი საკნით ვისარგებლეთ — ჩვენთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, შემნახველი საკნით სარგებლობა. უბრალოდ, დიდუბეში პირველად დაგვჭირდა და რატომ დაგვჭირდა, არ მახსოვს, დავიგვიანეთ თუ რა მოხდა, ვერ წავედით იმ დღეს, ალბათ საიდანმე ჩამოვედით. მოკლედ, დავტოვეთ ბარგი და მივედით მეორე დილით.

ძველი სადგური იყო, რაღაც ბულდოზერივით ბოქლომით იკეტებოდა შემნახველი ოთახი. საკნები არ იყო, ერთ საერთო ოთახში იატაკზე ეწყო სამიოდე ჩანთა თუ ჩემოდანი. ცოტა კი დავეჭვდით ბარგის ჩაბარებისას, ასეთი „შემნახველი საკანი“ არასოდეს გვენახა. ვკითხეთ დარაჯს, რამდენად საიმედო იყო აქ ბარგის შენახვა. კიო, ნუ გეშინიათო, მთელი ღამე აქა ვარო, დაგვაიმედა.

მეორე დღეს ეს დარაჯი აღარსად იყო. დაგვხვდა ვიღაც პატარა ქალი, მივედით, ჩვენი ჩანთები მოვთხოვეთ, სიაში ჩაიხედა და, ე, რო გაგვიხსნა ცეცხლი!

თქვენ ღირსი ხართ, ჩანთები მოგცეთო?

აქ როგორ დატოვეთ ჩანთებიო, მეორედ აღარ დატოვოთ, თუ არა აღარ მოგცემთო, გვიყეფს, ისე გვიყეფს, ვერ გავარკვიეთ — რა შევცოდეთ.

აქ ჩანთებს ღამით არ ვიტოვებთ, კარი წესიერად არ იკეტებაო, ვინმემ რომ მოიპაროს, მერე რაღა ვქნაო, აი, აგერ მიწერიაო — თან ფურცელს გვიფრიალებს.

ჩვენ ვცდილობთ, ავუხსნათ, რომ ვიკითხეთ წინასწარ და დაიტოვა იმ კაცმა, ძალა არ დაგვიტანებია, გადავიხადეთ, ყველა წესის დაცვით მოვიქეცით — არაფრის გაგონება არ უნდა ამ მორიგე ქალს, გაანჩხლებულია რაღაც არაბუნებრივად, იმავეს გვიმეორებს, გაბმით წიკწიკებს, აგერ სპისოკში მიწერიაო, ფურცელს გვიფრიალებს, მე თქვენი გულისთვის რატომ უნდა მომხვდესო, ჩვენ ღამით არ ვიტოვებთო და მოკლედ, შეუსვენებლად გვიყვირის, პატარა საყვარელი ლაიკასავით ყეფს, რაღაც ფურცელს გვაჩვენებს. მე და სოფო ისევ ვუხსნით, რომ ძალად არ დაგვიტოვებია და ასე ვტრიალებთ წრეზე — ის ყვირის, არ ჩუმდება. ბოდიშიც ვუთხარით, მადლობაც, პირობაც მივეცით, რომ მეტს აღარ ვიზამთ — არაფერი ჭრის, არ ჩერდება, აი, აგერ სპისოკიო, მე რატომ უნდა მომცეს შენიშვნა უფროსმა თქვენი გულისთვისო და აგრძელებს იმავე ტექსტებს, აფრიალებს ფურცელს, მეორე ხელში ავტოკალამი უჭირავს.

უცებ მივხვდით, რომ რაღაც საიდუმლო იმ ფურცელშია განფენილი და ვკითხეთ:

— გვაჩვენეთ ერთი, რა გიწერიათ მაგ ფურცელზე?

აი, თუ არ გჯერათო და გვაჩვენა, უწერია: „გუგეშაშვილი შეახურე!“ თან ხმამაღლა წაგვიკითხა:

— აი, გუგეშაშვილი შეახურეო, უფროსმა მითხრა, — ავტოკალმის წვერი გააყოლა სტრიქონს.

ჩვენ ამოვისუნთქეთ და გავბრწყინდით — შეახურეო, უფროსმა დაავალა და შეხურებას ასრულებს.

შევასრულებინეთ ბოლომდე ეს შეხურება, რას ვიზამდით, უმუშევარს ხომ არ დავტოვებდით. მერე ვუთხარით:

— ხო შეგვახურეთ, გაგვიშვით ახლა.

უცებ დაწყნარდა, გადახაზა „გუგეშაშვილი შეახურე“ როგორც შესრულებული პუნქტი და კმაყოფილი, ცოტა მადლიერიც კი, დაგვემშვიდობა.

უფროსთან დავაბარეთ გადასაცემად — იმდენად კარგად შეასრულეთ ეგ პუნქტი, რომ აღფრთოვანებული მომხმარებელი დაწინაურებაზე გაძლევთ სიტყვიერ რეკომენდაციას-თქო.

ჩვენ წამოვედით შეხურებულები.

ის წავიდა ვალმოხდილი და კმაყოფილი, აღვსილი ახალი ენერგიით და ენთუზიაზმით — იქ „სპისოკში“ კიდევ უჩანდნენ შესახურებლები.

დროჟი

ARIშა და იულია იყვნენ მეზობლები ჩვენთან, სოფელში.

არიშა — ჯანიანი, „პერშინგივით“ ქალი, კეთილი, მშრომელი, ხმაურიანი.

იულია — ჩუმად მოფუსფუსე, კეთილი მოხუცი, დაბალხმიანი, მშვიდი, თან ყურს აკლდა.

გახსოვთ ალბათ, საბჭოთა „დროჟი“, სარეცხ საპონს ჰგავდა. მივიდოდნენ ქალები საცხობში — მოაჭრევინებდნენ ნაჭერს მანეთისას, ორი მანეთისას.

ჰოდა, დააბარა იულიამ არიშას, მანეთის დროჟი ამომიტანეო — ონში წამსვლელებს რაღაცებს აბარებდნენ ხოლმე ონში არწამსვლელები.

ამოუტანა არიშამ დროჟი. შენთან შემინახე მაცივარშიო, იულიამ სთხოვა, გამიფუჭდებაო, თვითონ არ ჰქონდა მაცივარი. შეუნახა არიშამ. მანეთის დროჟი იყო ხოლმე ორი კაი გამოცხობა ჯალაბისთვის ან სამი — უფრო მომცრო ოჯახისთვის.

ჰოდა, ერთხელ გაუგზავნა ბავშვი იულიამ არიშას, ერთი გამოცხობა დროჟი მომიჭერიო — მოუჭრა. მეორედ გაუგზავნა — მოუჭრა. მერე მესამედ გაუგზავნა და ქე გათავდა ე დროჟი.

მაგრამ იულიამ მეოთხედაც გაუგზავნა ბავშვი.

გათავდა დროჟიო, შემოუთვალა არიშამ.

ეეე, შენ დროჟი დამიხარჯეო?! ასე ჩქარა რანაირად გათავდაო?!

იჩხუბეს მწარედ. თან იულიასთან ჩხუბი ძნელი იყო, მორალურად დამგდები: თვითონ რაღაცას გამანადგურებელს ეტყვის, ააყვირებს ამხელა ქალს, მაგრამ იყვიროს რა, იულიას არაფერი ეყურება და არის უმშვიდესად.

გააფრენინა არიშას. ყოველ დილით, ძროხას გადენიან, ერთი მიდის, მეორე მოდის, გადაეყრებიან ერთმანეთს და ატყდება ჩხუბი ერთხმიანი.

გავიხედავთ — სურათია: დგანან გზაზე ერთმანეთის წინ, იულია ჯოხზე ჩამოყრდნობილი, მშვიდად აღებს პირს და არაფერი ისმის. არიშა კიდევ გადელგებული, ცამდე მართალი, შლის ხელებს, დგანდგარებს:

— მადლობის მაგიერია, კაცო, ამოგიტანე, შეგინახე, არ გაუფუჭდეს-თქვა, სამჯერ გამოგინაწიორე, რა ოხრობათ მინდა შენი დროჟი, ჩემი არა მაქა?!. ვაი, დაიწვა ის დღე, როცა მე შენ დროჟი ამოგიტანე და შეგინახე!..

მერე ერთმანეთს გაშორდებიან და მიდის არიშა განიგზაზე ქაქანით, იმავე ტექსტით, იულია კიდევ მიფაჩუნობს კმაყოფილი.

ერთხანს ასე გაგრძელდა. მერე ერთმანეთს დაემდურნენ და დაისვენა უბანმა, გაუვლ-გამოუვლიან ერთმანეთს უსიტყვოდ. დედაჩემი დარდობდა — ჯობია, იჩხუბონ, ასე პატარა სოფელში უსალმოდ გავლა რავა შეიძლებაო.

ერთი-ორი თვის სიჩუმის შემდეგ უეცრად ატყდა კივილი, აეე, უძლიერესი!

გავიხედეთ (ჩვენი სახლიდან ზემოთ უნდა გაიხედო, რომ სოფლის მთავარი გზა დაინახო), დამდგარა არიშა გზაზე, ცასა და ქვეყანას შუა, როგორც სამყაროს სცენაზე, ღრიალებს, შლის ხელებს, იშვერს ხან ონისკენ, ხან თავისი მაცივარი სადაც ეგულება, იქითკენ, ხან უკვე ჩუმად გაპარული იულიასკენ, ხან ზეცისკენ, ხან მიწისკენ. ისტერიკაშია, სიტყვებს ვეღარ ჭრის. ახლა რაღაზე იჩხუბეს? — ვიმტვრიეთ თავები.

საღამოზე დედამ სოფლისკენ აიარა და მოგვიტანა თავსამტვრევის პასუხი: შეხვდნენ თურმე ეს ორი თვის მომდურავი არიშა და იულია, გაიარეს უსიტყვოდ, ცოტა წასცდნენ ერთმანეთს, მერე იულია მოუბრუნდა და უთხრა:

— არიშა, შე ქალო! კაი, დახარჯე ი დროჟი, დახარჯე, მარა რაღას მემდური?!.

ვიხსენებ ამბებს, სახლებს, ხმებს. უბრალოდ, მომენატრა ამ დილით მაჟიეთი. ახლა იულიას სახლიც ცარიელია და არიშასიც.

ჯადო

მეზობელმა გოგომ მითხრა, შემოდი ჩემთან, ყავა დავლიოთ და ჩემი და გვიმკითხავებსო.

მე ვუთხარი, წამო, ჩემთან დავლიოთ და შენი ფინჯანი მერე წაუღე და ჩაახედე, თუ გინდა-მეთქი.

მოკლედ, ვამზადებ ყავას და ეს გოგო მეკითხება, რატომ არ გინდა მკითხაობაო, ჩემი და მაგრად მკითხაობს, ჯადოსაც აკეთებს, ისეთს, რომ ვერავინ ვეღარ ხსნისო.

ჯადოსაც აკეთებს-მეთქი?! გავიკვირვე. კიო, და მომიყვა. მიყრით მოყოლა იცოდა, არ ჩაისუნთქავდა. ნუ გაიკვირვებთ, რომ მეც ვერ ვასწრებ სასვენი ნიშნების დასმას მის მიყრით ნაამბობში:

— კიი აბა უბედურათა! ჩემ ხაზეიკასა გოგო ჰყვანდა გაუთხოვარი ჩარჩენილი და ჩემ დასა სთხოვა გამიკეთე რამე ეგებ ბედი გამეხსნაასო და ამანაცა კიდენა შავი დედალი მაიყვაო შუაღამეზე კიბის ქვეშ დაგამარხინებო აბა მეტი რა გიყოო მააყვაინა შავი დედალი იმასვე დააკვლეინა განა თვითონ დაჰკლა იდგა მანიკურებითა ბუტბუტებდა დაამარხინა კიბის ქვეშა და უთხრა წადით ახლა მთელი ოჯახი ხმა არ გასცეთ ერთმანეთსა ისე დაიძინეთ სასწრაფოდაო და თვითონ კი ოც წუთშია ამასთხარა ეს დედალი და მოჰხარშა ორ დღეს ჩახოხბილსა სჭამდნენ და ხაზეიკის გოგოსა კი გაეხსნა ბედი ორ კვირაშია და კი გაჰყვა ჩემ ქმარსაა.

აი, ამ ფინალზე ფინჯნებიანად დავეცი, ძალიან მოულოდნელი იყო და იმიტომ.

კილოკავი ალბათ გეცნოთ, ვისაც წაკითხული გაქვთ ისტორია 25-ლარიან თავზე, ეს ის გოგოა.

მერე ის ჩემი დიდი მოთხრობის „ეპოქალურის“ პროტოტიპი გახდა, მაგრამ ეს ისტორია „ეპოქალურში“ ვერ მოხვდა.

როკენროლი დაგღუპავს!

მოგილურის ზარად დაყენებული მაქვს Beatles-ის სიმღერა I Saw Her Standing There. ვისაც არ გახსოვთ, გაგახსენებთ — ესაა გადარეული როკენროლი და, ვიდრე სიმღერა დაიწყება, შესავალში კარგა ომახიანი შეძახილით ითვლის სრულიად ნორჩი და დაუდგრომელი 22 წლის მაკარტნი — „One, Two, Three, Four!“ — და წავიდა!..

ჰოდა, ერთი ნაცნობი მყავს — მობილური კავშირის გარიჟრაჟიდან დღემდე კავშირი ესმის მხოლოდ უკიდურესად ცალმხრივად — ზარის გაშვება და მორჩა!

„ზარის გასაშვები“, „ზარი გავუშვი“, „ზარს გამოგიშვებ“ — ასე ლაპარაკობს დარეკვაზე.

და ამ ზარის გაშვებაშიც ისე დასპეცდა, ყველასგან განსხვავებულ ზარს უშვებს, უცებ ვცნობ მის გამოშვებულ ზარს. ეგ რომ ზარს გამოუშვებს — „ვან!“ — ერთს შეჰყეფს ეს მაკარტნი და დადუმდება. ორამდე არასოდეს მიდის.

რაც თავი მახსოვს, არც „ტარიფი ზერომ“ უშველა, არც არანაირმა რეკლამამ და იაფი ტარიფის სერვისმა. როგორც ჩანს, ერთადერთი რეკლამა აქვს მოსმენილი „დაზოგე სასაუბრო დრო!“ და მას ერთგულებს — ზოგავს, კაპიკს არ ხარჯავს.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ რომ ჩაირიცხა ერთი ლარი, ის ერთი ლარი აქვს დღემდე. ან არც ჩაირიცხა — რამე აქციას მოჰყვა.

ახლა სისწრაფეში ვვარჯიშობ — ერთი უნდა ჩავუსაფრდე, სპორტული ინტერესი მაქვს, „ვან!“ აღარ უნდა ვაცალო, „ვ!“-ზე უნდა ვუპასუხო — დავაწვევინო 5 თეთრი, დავღუპო და დავაქციო მაგის ცხოვრება.

ობობა

მოვგავე სამზარეულო და ამ მტვრის და ნამცეცების მცირე გროვაში ერთი პატარა, შავი ობობა მოჰყვა.

კომპაქტური ობობაა, ჯანიანი.

დავდექი ცოცხით და აქანდაზით, ველოდები — ჩხლართავს ამ ფეხებს, ცდილობს გადმოაბიჯოს ნამცეცებს და ბუნდღებს.

ბოლოს გამოიხლართა როგორც იქნა და გაუდგა თავის გზას.

მე ავიღე ეს უობობოდ შთენილი გროვა და გავიტანე, ჩავყარე სანაგვეში.

უკან რომ შემოვბრუნდი სამზარეულოში, დურთა ამ სიმწრით გამოხლართულმა და ნალოდინევ-ნალოლიავებმა ობობამ თავი უცებ და ზუსტად ნაბიჯის ქვეშ არ შემიძვრა?!

სულ სხვა მიმართულებით მიმავალი დავტოვე, როგორ მოუხვია ასე მკვეთრად? მე გამომტირდა თუ რა ქნა?

ისეთი მოულოდნელად სწრაფი აკრობატული ილეთის და ნახტომის ჩატარება დამჭირდა უცებ, რომ არ დამებიჯებინა, კინაღამ კოჭებში გადავტყდი.

დავდექი ახლა და ვლანძღავ, ვუღერებ ამ ცოცხს და აქანდაზს, ხო ხარ ღირსი, ახლა მოგგავო და მიგაყოლო იმ ნაგავს, ფეხი კინაღამ მოვიტეხე-მეთქი, სულ შტერი და კრეტინი ვეძახე, დაახვიე-მეთქი, გამასწარი ახლა აქედან!

გაიქცა მართლა, კუთხეში დადგა და ისე დაირცხვინა, თავი სად წაიღოს, აღარ იცის.

მეჩაიე სტილისტი

ჩემი პარიკმახერი დეკრეტულში გავიდა და სხვა სტილისტი მიმასწავლეს.

იმ სხვამ ისე შემჭრა, რომ სერიალისთვის თვალი არ მოუშორებია, არც ერთხელ არ შეუქცევია ზურგი ტელევიზორისთვის.

დადგა ჩემგან მარცხნივ და ყველა მხარე ერთი მხრიდან შემჭრა, გადამწია-გადმომწია, ჩამიხუტა გულში, კაი გაწაფული მეჩაიესავით იმუშავა.

ჩემი წინა პარიკმახერიც უყურებდა კლიპებს, მაგრამ ის თვალს მაინც აპარებდა ხოლმე ჩემკენ — ამან საერთოდ არ შემომხედა.

ყველა ეგრე მუშაობდა სალონში: გამალებულები ჭრიდნენ, „ნნ, ნნ, ნნ“, „ვაიმე, სულ დამბურძგლა“ — იძახდნენ და სერიალის იმ ერთ კაცს და ერთ ქალს წყევლიდნენ, ვისი ბრალიც იყო ამათი ნერვების წიწკნა.

მე გულში იმ კაცის და იმ ქალის მხარეს ვიყავი — ამდენი წყევლა რომ მიუვიდეთ, დღესვე ამოწყდებიან. რატომ მიყვარს უმცირესობის მხარეს ყოფნა, ჰა?

მერე თმის გასაშრობი ფენები რომ ჩაქოქეს გოგოებმა და ტელევიზორის ხმა გადაფარეს, წარბების გოგომაც ტელევიზორს აუწია და ფენების ხმა გადაფარა — უსაქმოდ იყო წარბების გოგო და პულტი ეპყრა.

ამათ „ნნ, ნნ, ნნ“-ს და წყევლას აუწიეს — ფენებიც გადაფარეს და ტელევიზორიც.

საკუთარ თავს ვუთხარი: „აი, ნინო, რეალური საგიჟეთი, შენი ხმა აღარ გავიგონო — მეზობლის დრელიო და ბარიდან კარაოკეო!“

მუშაობდნენ გაცოფებულები, კინოშიც რაღაც გამწვავდა ძალიან, რამეს თუ ვერ იგებდნენ, ამ ჩემს სტილისტს ეკითხებოდნენ, ეს ყველაფრის საქმის კურსში კი არა, მგონი სერიალის სცენარისტიც იყო.

სერია ზუსტად იმ დროს დამთავრდა, როცა ჩემს თავზე უკვე პრაქტიკულად აღარაფერი იყო გასაკეთებელი, მაგრამ ამან, ჩემმა სტილისტმა, ალბათ კომპენსაციისთვის, დამხედა როგორც იქნა, შემათვალიერა და გამოყოჩაღდა, დაფაცურდა — რაც ყურადღება დამაკლო, ორ წუთში ამოინაზღაურა — ამიფოფრა კეფა, ამომირკალა „ჩოლკა“ მწარედ, დამიფშიკა ბოლოები.

რომ ჩავიხედე სარკეში და მივხვდი, ცრემლების მიხატვაღა მაკლია, თორემ დანარჩენად სულ იმ სერიალის მთავარი გმირი გოგო ვარ, ოე-მეთქი, მოიცა! არ მინდა საქორწილო ვარცხნილობა! გავასწორებინე „ჩოლკა“, დავამშვიდებინე კეფა.

ისე, კარგად კი შემჭრა, კარგი ოსტატი ყოფილა. წარმოიდგინეთ, საერთოდ დაუხედავად რა ქნა და რომ დაეხედა, რაღას იზამდა? ალბათ კაფელ-მეტლახში ჩამსვამდა. ჰოდა, მოგიყევით: ნერვების გაკაჟება თუ გინდათ, მიგასწავლით. თუ არა და, გაითვალისწინეთ — შეარჩიეთ უტელევიზორო სალონი და უსერიალო დრო, თუღა სადმე არსებობს ეგეთი დრო და ეგეთი სალონი.

უძილობის კაფე

ამ ბოლო დროს გადავწყვიტე, ადრე დავიძინო ხოლმე, რათა სიზმარი და ცხადი ერთმანეთისგან გავარჩიო.

რამდენიმე ღამე შევასრულე და ცოტა კი გამიფართოვდა თვალები.

დღეს ვეღარ გავქაჩე, ყველაფერს საზღვარი აქვს — დავწექი და ვერ დავიძინე. მერე დავფიქრდი, რას ვატრიალებ ამ ბალიშს-მეთქი?

ავდექი, გავედი სამზარეულოში, მივუჯექი მაგიდას და ვთქვი:

— ერთი ყავა, თუ შეიძლება.

— ახლავე.

ავიდუღე ყავა, დავიდგი. მოვიდე გვერდით ანდროიდი.

— Wi-Fi გაქვთ? — ვიკითხე.

— Wi-Fi-ს გარეშე, აბა, რა ლიტკაფეა?

ვზივარ, ვსვამ ყავას, ვათვალიერებ სოციალურ ქსელში მეგობრების პოსტებს. წყნარი კაფეა, საყვარელი. რაც მთავარია, მუსიკა არ გრიალებს, ხალხი არაა და თანამოსაუბრის კარგად გესმის.

— კარგი წიგნიც ხომ არაფერი გაქვთ აქვე ახლოს?

— კი ბატონო. აგერ, მაცივარზე ივლინ ვო დევს, ცოტა ზემოთ თუ აინვდით ხელს, ატმის ყვავილებიანი ქვაბის გვერდით, ფაულზი და კიდევ რაღაც მწვანე წიგნი.

— ეს იყოს, მაღლა ხელის აწევა მეზარება. ისე, მწვანე ნეტავ რა არის?

როგორც რეკლამებშია — მყუდრო გარემო, თავაზიანი მომსახურება და სასიამოვნო დროსტარება.

— რამდენი უნდა გადავიხადო?

— არაფერი, თქვენი გადახდილია.

მადლიერებით და სიამაყით ავიავსე — ამ კაფეში მცნობენ და პატივს მცემენ!

ჩემს სამზარეულოში ნელ-ნელა პოპულარული ვხდები.

→

ილუშა ფოტოგრაფი

ამოვიდოდა ილუშა ფოტოგრაფი ათასში ერთხელ — მოთბო სეზონზე, როცა პალტოებს გავიხდიდით, ან სანამ ჩავიცვამდით.

გაშლიდა თავის სამფეხას, წაიფარებდა შავ ნაჭერს, გადაგვიღებდა სურათებს, შემდეგი ამოსვლის დროს დაგვითქვამდა და წავიდოდა.

დაახლოებით ერთი კვირა სურათებს ველოდით — „ნეტავ როგორ მქონდა თმა? განეწილი ხომ არ ვიყავი? თვალები ხომ არ მქონდა დახუჭული?..“

მერე ამოგვიტანდა, მივესეოდით, ამოიღებდა სურათების შეკვრებს, შლიდა, ზოგჯერ სხვა სკოლის ბავშვების სურათებიც ჰქონდა.

რომელ სურათზეც ბევრნი ვიყავით ერთად, ის სურათი ბევრი ჰქონდა, უამრავი ერთნაირი სურათი.

მივცემდით ფულს, მოგვცემდა სურათს და ამას რატომღაც „სურათის დახსნა“ ერქვა.

— დაიხსენი სურათები?

— არა, ჯერ არ დამიხსნია.

— მოდით, ბავშვებო, სურათები დაიხსენიით!..

ზოგ სურათზე ორნი ვიყავით, ზოგზე ოთხნი, ზოგზე კლასი, ზოგზე მთელი სკოლა.

აი, ასეთი, სადაც მე, სოფო და ხათუნა ვართ, სამი ცალი მოიტანა ალბათ. მე ჩოქმბჯენში, ბებიას მოქსოვილი „ბეზრუკა“ მაცვია — თეთრი ცხვრისგან მომიქსოვა და მწვანედ შემიღება, კანტები შავი ცხვრისგან გაუკეთა — ძალიან მიყვარდა.

მარცხნივ სოფო, ჩემი და, ზოლიან „დვოიკაში“ — შავ-მწვანე თუ შავ-მდოგვისფერი ზოლები ჰქონდა.

მარჯვნივ ხათუნა ხიდეშელი, ჩემი კლასელი.

მოვწიწკნეთ ყვავილები ჩვენი სკოლის ეზოში — გავიპრანჭეთ გოგოები.

მშვიდობიანი, ტკბილი ებრაელი იყო ილუშა, დაბალხმიანი.

დღეობებზეც ამოდიოდა, სალოცავებზე.

არ იღამებდა, შეკეცავდა სამფეხას, გაიდებდა მხარზე, ჩანთას წააკიალებდა და წავიდოდა.

თუ მომხდარა, რომ დააღამდა, ჩვენი მრავლისმომსწრე სახლი ხიდეშლებში ღია იყო მისთვის ისევე, როგორც ყველასთვის.

მერე, როცა ძალიან დიდი დრო გავიდა და ძალიან გავიზარდე, მეგონა, რომ ილუშას დავავიწყდი. შემხვდებოდა ონში, შენ ის არა ხარო? არც ნინო გუგეშაშვილს მეტყოდა, არც ბორიას გოგოს. ვერიჩკას შვილიშვილი არა ხარო? მადლიანი ხალხი ვერიჩკა და ალექსანდრე — ჩემი მასპინძლებიო.

მთელ რაიონს ასე იცნობდა, არც გვარის მიწერა სჭირდებოდა სურათზე, არც სოფლის — დაგვხედავდა ფოტოზე და გვიცნობდა მთელი მოდგმით.

მერე ნელ-ნელა გაბო ფოტოგრაფმაც დაიწყო ამოსვლა.

სად იყო ფოტოაპარატები და მობილურები.

კიდევ კარგი, ილუშა და გაბო ამოდიოდნენ — დაფიქსირებული ჰყავთ მთელი რაჭა, დღეობები, ფხიზლები, მთვრალები, მოსწავლეები, კლასები დამრიგებლებიანად, ჩვენი ბავშვობა.

რომ არა ეს მოხეტიალე, სამფეხაგადებული კეთილი ფოტოგრაფები, დავრჩებოდით ასე, ჩიტგამოუფრენლად, უბავშვობოდ, პირდაპირ გაზრდილები.

ძაღლების კიბე

ძაღლები გვყავს სადარბაზოში: ჯერ ჩვენი ეზოს ყველას ლეკვს აჭამა ერთმა ლეკვისტმა თავის ტილოზე, მიიჩვია. მერე ლეკვმა კიბის საფეხურზე დაიძინა, გაიშოტა მთელ სიგრძეზე.

ჩავიარეთ — გადავაბიჯეთ,

ამოვიარეთ — გადმოვაბიჯეთ.

ამან თავიც არ ასწია, კუდით მოგვესალმა.

მერე ლეკვმა ლეკვი გააჩინა და ის ლეკვი მეორე საფეხურზე გაწვა.

ჩვენ ორ საფეხურს ერთად გადავაბიჯეთ და ისინი კუდებით მოგვესალმნენ.

მერე დედა-შვილმა გააჩინეს თითო

ლეკვი კიდევ — ისე ახალგაზრდები აჩენენ, რომ სულ ერთმანეთში თამაშობენ, ერთი ჭკუისანი არიან. დაიკავეს ოთხი საფეხური და ჩვენ ოთხ საფეხურს ვახტებოდით ერთად. მერე კიდევ რომლებმა გააჩინეს, ვეღარ გავიგეთ, რა მნიშვნელობა აქვს...

ახლა კიბის მთელი სექცია უჭირავთ და ჩვენ მთელ სექციას თავისუფლად ვახტებით. ცოტა უკან ამოხტომა გვიჭირს, მით უმეტეს, თუ ჩანთებით მოვდივართ. მაგრამ ბრძენი ტრენერებივით იქცევიან, თითოს აჩენენ — თითო საფეხურით გვზრდიან — ჩვენც ვიწვრთნებით, ისე დავძლიეთ მთელი სექცია, ვერც ვიგრძენით.

ცოტა ხნის წინ მოსულან რაღაც გაურკვეველი მანქანით ძაღლების წასაყვანად, მაგრამ არ გაატანეს (მაშინ ძაღლები მიჰყავდათ და სადღაც აქრობდნენ, უკან აღარ აბრუნებდნენ), უბანი დაუდგა ძაღლებს, ეზო დაუდგა — ვინ გაგვცემს ხმას, ნინძებივით დავხტივართ. ძაღლებმა მადლიერების ნიშნად კიდევ ერთი ლეკვი გაგვიჩინეს, ის კიბის თავში დაწვა და მაქსიმალურად გაიჭიმა — პატარა არავის ეგონოს.

ჩემი ტილოს წაღებაზე გიჟდებიან — დაფენას ვერ ვასწრებ კართან, ეგრევე წააცინცილებენ. ამ პატარამ საიდანღა იცის, რომ გაჩენისთანავე ჩემი ტილო უნდა წაიღოს? ამ მისიით დაიბადა რა.

ვეკითხები: წაღება რო იცით, მოტანა რატო არ იცით?

იკრიჭებიან...

ავტორიტეტი მამიდა

ბეგოსთან სახლში დენის კაცი მისულა.

90-იანები იყო, „ლევების“, სიბნელის და გადაჭიმული დენების ხანა. ხალხი რომ კაკუნზე თრთოდა და დენის კაცს და არავის კარს არ უღებდა, ეგ დრო — მხედრიონობა და ამბავი...

უფროსები სახლში არ იყვნენ, მარტო ბავშვები დახვდნენ დენის კაცს. ეს ამბავი სულ მგლის და თიკნების ზღაპარს მაგონებს — გაუღეს ბავშვებმა კარი.

ეს ბეგო ჩვენი ბიძაშვილი იყო („ახალი წლის პარტიაში“ რომ ბეგო მყავს, ისაა), მის დას დოდო ჰქვია, ჩემთვის დოდო მამიდაა, ჩვენი მშობლების თაობის კულტურული, განათლებული ქალი, პედაგოგად მუშაობდა ქვემო რაჭაში.

მაგრამ ეს ამბავი აქ ხდებოდა, თბილისში. შევარდა მგელი იგი დენისკაცი ბავშვებთან და რაღაც დარღვევა გაქვთო, ჯარიმა უნდა გამოგიწეროთო, დაიწყო საჯარიმო დოკუმენტის მზადება. რა გვარები ხართო, იკითხა. გუგეშაშვილებიო, ბავშვებმა უთხრეს. გუგეშაშვილიო? — ცქვიტა ყური დენისკაცმა — დოდო გუგეშაშვილი თქვენი რა არისო?

მამიდაო — ალალად მიუგეს ბავშვებმა. მართლა მამიდაა და...

არა, არა, მეშინია თქვენი კომბლესიო, დახია რუხმა მგელმა ჯარიმის ქვითარი, იქიდან მოკურცხლა და ცხრა მთას იქით სამუდამოდ გადაიკარგა — დატოვა ეს ალალი ბავშვები გაოცებული.

საღამოს შინ დაბრუნებულ მშობლებს ჩურჩულით უყვებოდნენ:

— დე, მა, ნახეთ აქაც როგორ პატივს სცემენ დოდო მამიდას, ჯარიმას გვიწერდნენ და მაგის ხათრით აღარ გამოგვიწერეს.

ჭირი არსად — ლხინი ყველგან;

ქატო და ფქვილი — გემოვნებით.

მაწვნის ბებია

ჩვენი კორპუსის წინ სკამზე შავებიანი ქალი ჩამოჯდებოდა ხოლმე, მაწონი გადმოჰქონდა გასაყიდად სოფელ გლდანიდან.

არ ვიცოდით, როდის მოვიდოდა — როცა ექნებოდა მაწონი, მაშინ მოდიოდა.

ერთხელაც ჩავედი სისხამ დილით, სტადიონისკენ მივდივარ — მოსულა ეს ქალი, ალაგებს თავის ქილებს.

შემინახეთ-მეთქი ერთი ქილა, ვთხოვე, გადავუხადე, ახლავე დავბრუნდები და ქილასაც ჩამოგიტანთ-მეთქი. მაინც იქ უნდა მჯდარიყო — რძე უფრო ნელა ეყიდებოდა. კი ბატონოო.

ამ დროს მოახლოვდა ასევე მაწონზე ჩამოსული ფლოსტებიან-ხალათიანი მოხუცი ქალი და დადარაჯებული გვისმენს — ხან მე შემომხედავს, ხან იმ მემაწვნე ქალს. როგორც კი მოვრჩით ლაპარაკს და წავედი, ეს ეკითხება რაღაცნაირ ქართულ-კახურ-თბილისისშემოგარენულ კილოზე:

— ქილებითაცა ჰყიდი?

— არა. მარტო ბანკებითა.

— აბა, ამ გოგომა, „ქილაო“?

— ეგ გოგო ეგრე ეძახის ბანკებსა.

— ამასა ქილა ნანახიც არ ექნება და ესა ჰგონია ქილა, — ჩაიცინა.

— ახლა უკვე ბევრი ეძახის ქილასა, ყველაფერი ძველებური ბრუნდება თანდითანა.

მეც ვშორდებოდი და ისინიც ხავერდოვნად გადადიოდნენ თემაზე, „რა კარგი იყო ყველაფერი ძველი და ნეტამც კი დაბრუნდებოდეს“.

90-იანი წლები იყო — მწარე დრო, მაგრამ ლამაზი დღე, კამკამა.

დრო საზოგადოდაც მწარე და ჩემს თავსაც რამდენიმე კერძო კოშმარი ერთად ბრუალებდა.

სულ მიკვირდა, ისეთ მწარე დროში ასეთი ტკბილი დღეები და წუთები როგორ დგებოდა: მზე და ბალახი როგორ ამოდიოდა, კვირიონები როგორ დაფრინავდნენ და ისევ ისეთი ჭრელები როგორ იყვნენ? ფრთებიდან ფერები არ ერეცხებოდათ მეწვიმარებს, არც შაშვებს უჟანგდებოდათ ყელი. მაშინ უფრო ბევრი მეთევზე იყო ტბის ნაპირებთან, ლივლივებდა ტბა, ბილიკზე კიდევ ერთი მემაწვნე ქალი გადმოდიოდა ქილებიანი ჩანთებით, ცხენი ძოვდა, კვიცი მე მაშტერდებოდა. ისეთი დღე იყო, დროებს შორის გამოკიდებული — ცოტაც და მაგდანას ლურჯაც გამოჩნდებოდა.

უკაცრიელი იყო მაშინ ის ბილიკი, ახლა იქ სახლები ამოიზარდნენ.

და ხან ზის ერთი მეთევზე ტბასთან, ხან არა.

გდება

არ ადგა. არ ჩაიცვა და ყავა არ დალია.

არ უნდოდა.

ეგდო, ეგდო და ეგდო — გდება უნდოდა.

დაადგა თავს ოჯახის წევრი:

— ადექი ახლა.

— რატომ?

— ყავა დალიე, ჩაიცვი.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ?! საქმე გაქვს, იმუშავებ, გადათარგმნი, დაწერ...

— და რატომ?

— რას ქვია, რატომ? ჰონორარი მაინც ხომ გინდა?

— რატომ მინდა ჰონორარი?

— ნუ გადამრიე ახლა! შეჭამ, ჩაიცვამ, გადასახადებს გადაიხდი.

— მე დავლიე ძალიან ბევრი ყავა. ძალიან ბევრჯერ ავდექი, დავწექი, ჩავიცვი, ვწერე, გადავიხადე გადასახადები... ახლა მინდა გდება და უნდა ვეგდო, ვეგდო და ვეგდო.

— სადამდე უნდა ეგდო?

— სადამდისაც მინდა.

ოჯახის წევრი წავიდა. მოვიდა ხალხი.

— ასე არ შეიძლება!

— რა არ შეიძლება?

— ხელი არ უნდა მოუშვა.

— რას არ უნდა მოვუშვა ხელი? არც აქამდე არაფერს ვებღაუჭებოდი.

— მმმ.....მმ....

— რატომ?

— ეგრე გდება არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება გდება?

— ხალხი შეწუხდება.

— ხალხს არ შევაწუხებ, ჩემით ვეგდები...

— ხალხი ელოდება, როდის ადგები, როდის დაწერ.

— რატომ ელოდება?

— წაიკითხავს, მოუსმენს, გულს გადააყოლებს.

— რას გადააყოლებს?

— გულს.

— და რას? რას?

— გულს, გულს.

— გული ისეთი რამეა, ნებისმიერ რაღაცას შეიძლება გადააყოლო.

— მაგალითად, რას?

— ნაბან წყალს.

— ვაა!.. გტკივა რამე?

— არა, ძალიან კარგად ვარ.

— აბა, ცუდ ხასიათზე ხარ?

— არა, ასე კარგად, რა ხანია, არ ვყოფილვარ.

— აბა, რა ხდება? ადექი მართლა და მართლა, ასე არ შეიძლება. არაფერს გააკეთებ — გადასახადს ვერ გადაიხდი, დენს გაგითიშავენ, გაზს გაგითიშავენ, საჭმელი ხო გინდა...

— რატომ მინდა საჭმელი?

— რაებს ლაპარაკობ! სულ არაფერი გინდა? გვითხარი რაც გინდა, ყველაფერს შეგისრულებთ.

— ერთი ქაღალდი და ფანქარი მინდა.

მოუტანეს ქაღალდი და ფანქარი. დაწერა ქაღალდზე დიდი ასოებით „რატომ“ და დასვა დიდი დახრილი კითხვის ნიშანი. გააკრა საწოლის თავზე და გადაბრუნდა. მას შემდეგ მოდის და მიდის ხალხი საწოლთან, სვამს შეკითხვებს და პასუხად უყურებს წარწერას საწოლის თავზე. მას კი სძინავს და ნანინასავით ჩაესმის ხმაური. ხან გაიღვიძებს და ფიქრობს, რომ კიდევ შეიძლება გდება და ფიქრი. მთავარია, თაყვანად და კერპად არ გადაგექცეს, როგორც გადაექცათ თაყვანად მოძრაობა და ფაციფუცი — ეს მოძრაობა მოძრაობისთვის.

ალი-კვალი

ავტობუსის უკანა სავარძლებზე ჯერ იქეიფეს ბიჭებმა, მერე ეს სიმღერა შემოსძახეს:

„ალი ხარ, ქალი ხარ, მითხარი, ვინა ხარ“.

ერთი ბიჭი წამყვანი იყო, ერთი ხმა ჰქონდა, მაგრამ ხუთ-ექვსს ფარავდა, საი-

თაც მიუხვევდა, იქით მიჰყვებოდნენ ეს შემთვრალები. ლიდერი ხმა, მაღალი, ჯორივით, მოუქნელი, მაგრამ ბევრი — ერთი ხუთზე მეტი იყო — არაა ვოკალი ზუსტი მეცნიერება, აქ 1 > 5.

მაგრამ „ქალის“ მაგივრად „კვალი“ იცოდა და ამ სტრიქონს რომ მიადგებოდა, რომელიც ლექსის და სიმღერის მთავარი შეძახილია, ძალიან მკაფიოდ, ჯორივით ჯანიანად და პირმოხსნით დაიმღერებდა:

„ალი ხარ, კვალი ხარ, მითხარი, ვინა ხააარ!

ალი ხარ, კვალი ხარ, მითხარი, ვინა ხააარ!“

მეორემ უთხრა, მოიცა-მოიცა, რა ალი ხარ კვალი ხარო. ეს მეორე მანამდე ლექსებს კითხულობდა ყოველ სადღეგრძელოზე, პოეზიაში ავტორიტეტი იყო — ალი ხარ კვალი ხარ რა არისო?

ამ ჯორა-ბიჭმა, რაო, ალი-კვალი არ გაგიგონიაო?

ქალის სილამაზეზეაო, ავტორიტეტმა უთხრა, რა ალი-კვალი, რის ალი-კვალიო. გაარჩიეს ლექსი. გარჩევაში მონაწილეობდა მთელი ჯგუფი და იყო დაახლოებით ასე:

— ლამაზ ქალს უმღერის, ბიჭო და, რა ალი-კვალი?

— მე რა ვიცი, ალბათ ალი-კვალი მამამისი იყო, ან ბებიამისი, ვიღაცას ჰგავდა ოჯახში, იმათი ჭკუაც ერთი...

სხვა ბიჭი:

— ან ალი-კვალი ჩანჩქერი და ბუნება ხარო. ისიც ლამაზია.

— ხო, ქალიც ლამაზია და ბუნებაც, ბუნებაში ხო გიქეიფია!

— მერე?

— მერე გაიხედამ და ჩანჩქერს დაინახამ და ბუნებაში ქეიფზე ლამაზი თუ რამე იყოს, შენ ძმობას ვფიცავარ...

სხვა ბიჭი:

— აქით მწვადი რო იწვება, იქით კიტ-პამიდორი... უჰ, გავიდეთ კვირას, ძმობას გაფიცებთ!

— ეგ რა შუაშია, შენ ძმობას ვფიცავარ, „ალი ხარ, კვალი ხარ“ კი არა, ალი ხარ, ქალი ხარო, გაიგე, რას შეადარა?

— რას შეადარა, ალი-კვალი ვინა ხარო?

— ალი, ალი! ალი ხარ თუ ქალი ხარო? მითხარი, ვინა ხარო!

— რა ალი ბიჭო, ალი რა არი?

სხვა ბიჭი:

— ცეცხლის ალიო, რა! აი, სანამ შამფურებს ამზადებ და რამე, უხ, მართლა მაგაზე ლამაზი თუ რამე იყოს!..

— ცეცხლის ალი კი არა, ბიჭო, ალი აი, ალი!

— აბა, რომელი ალი?

ფხიზელი მგზავრი:

— მუჰამედ ალი.

ავტობუსი:

— ვა-ჰა-ჰა-ჰა.

ავტორიტეტი:

— ალი, ბიჭო, ალი არის ძაან ლამაზი ქალი, ტყეში ცხოვრობს და ჩანჩქერში ბანაობს.

— ვისი ქალია? რა უნდა ტყეში?

— ჩანჩქერში ბანაობსო!

— სახში ვანა არა აქ?

ფხიზელი მგზავრი:

— აქ, მარა წყალი უწყდება ხოლმე. გასაპნული რჩება.

მეორე ფხიზელი მგზავრი:

— მეტლახიც არ უვარგა, ბუნებაში ურჩევნია.

მძღოლი:

— ხი-ხი-ხი.

ჯორა-ბიჭი:

— ესე იგი, ალი-კვალი ალი ხარო?

— არა ბიჭო, ალი ხარ თუ ქალი ხარო!

— რანაირათ, კაცო. ალი თუ იგივე ქალია, რა გამოდის: ქალი ხარ თუ ქალი ხარო? ნუ ბოდამ ერთი რაღაცას!..

მოკლედ, გარჩევა უსასრულოდ გაგრძელდა მთელი ავტობუსის ჩართულობით და ისევ სიმღერით დამთავრდა.

არ მიხსენოთ ნაკითხი ხალხი, აქ არის, ა (ყელში ცერის გასმის ჟესტი), ასე საყვარლად ლექსს ვერასოდეს გაარჩევენ ეგენი, და ვერც ვერაფერს.

ჯგუფი გაიყო ალი ხარ ქალი ხარ-ისტებად და ალი-კვალისტებად, მაგრამ მაინც ერთად იმღერეს ბოლოს. ზოგი „ალს“ იძახდა, ზოგი „ქალს“ და იმ სტრიქონზე ყველა აორკეცებდა ვნებას და შემართებას. კი ალი ხარ ქალი ხარ-ისტები ჭარბობდნენ და აქეთ მხარეს, მგონი, სულაც მარტო ეს ჯორა-ბიჭი იყო, ის სხვა ბიჭი უჭერდა ზოგჯერ მხარს, ჩანჩქერიც რომ მოსწონდა და კიტ-პამიდორიც — პირველ ჯერზე ჯორა-ბიჭისებურად იტყოდა, გამეორებაზე ავტორიტეტისებურად, მაგრამ ჯორა-ბიჭი არ საჭიროებდა მხარდაჭერას, ხმა ქონდა ისეთი, რომ 1>5, ბროხინებდა დამოუკიდებლად,

„ალი ხარ, კვალი ხარ, მითხარი, ვინა ხაარ...“ — ფარავდა ყველას.

ეგაა დამოუკიდებლობა — ხმა გქონდეს და დამოუკიდებელი ხარ.

ცოტა გაბრაზებული და შეფიქრიანებული კი მღეროდა — ემანდ აზრის შეცვლა არ დასჭირვებოდა სამომავლოდ.

ვინ რას დააკლებდა, თუ არ იფიქრებდა ზედმეტად ბევრს.

14 თებერვალი

ვალენტინობაზე გამახსენდა და, ჩვენს მეზობელს ერთ-ერთ კორპუსში (მე ხომ თბილისის ყველა კორპუსში ვცხოვრობდი) ერქვა ვალერა, ცოლი ჰყავდა ვალია, მაგრამ დაბადების მოწმობით ქმარი ვალენტინი იყო და ცოლი ვალენტინა. რუსულენოვანები იყვნენ, ქმარი რუმინელი პეტრესკუ, ცოლიც — მის გვარზე.

ჰოდა, ერთხელ მკვლელობა მოხდა სამეზობლოში, სუფრაზე. 90-იანებია. იმ სუფრაზე ცოლიც იყო. მოკლედ, ჩაწერეს მოწმეებში.

მეორე დილით მოვიდა მილიცია, მეზობლები უნდა დაკითხონ. დაუკაკუნეს პეტრესკუებსაც. ცოლი ამ დროს მაღაზიაშია ჩასული, ქმარს სძინავს. თავისთვის მოძრაობდა ის ქმარი, თავის საქმეებზე და, როგორც ცოლი უჩიოდა, საყვარლებთან ერთობოდა, გვიან მოდიოდა სახლში, იშვიათად ვხედავდით. იმ ღამესაც მოსულა, დაუძინია, აზრზე არაა, რა მოხდა კორპუსში, კარზე ბრახუნმა გააღვიძა, გამოიხედა გინებით. ვალენტინ პეტრესკუ შენა ხარო? — ეს ქართველი მილიციელი ეკითხება. კიო. შეეჭრა სახლში ამ ტრუსიკიან კაცს, აბა, მოყევი ახლა, როგორ იყოო, ჩხუბი ვინ ატეხაო, ესაო, ისაო, ვინ რა თქვაო, რაფიკა ვინ მოკლაო? რაო?!. რა ჩხუბი?!. რა სუფრა?!. რაფიკა მოკლესო?! — თანდათან ფხიზლდება ის ვალენტინი და აპარპალებს თვალებს. იიი, ვითომ არაფერი იცი ახლა შენ, ხოო? ბებიაშენი მოატყუეო! იმ სუფრაზე კარგად მოილხინეო! — და მთელი მილიციური ხრიკებით და მიწოლით აწვება ყოჩაღი, ჯერ კიდევ საბჭოთა მილიციელი, მაგის ჩიტია — არ ათქმევინოს. ცხრა ალიბი რომ ჰქონდეს და ამდენივე მოწმე ჰყავდეს, მაინც ათქმევინებს. არადა ვალერას დილით ყავის დალევა და სიგარეტის გაბოლება უყვარდა და თვალების პარპალი კი მოუწია, ეს რა უბედურებაა! ბოლოს შესთავაზა მილიციელს, ყავას დავლევ, იქნება რამე გავიხსენოო, აშკარად ფხიზელი კი მოვიდა ღამით, დაწვა, დაიძინა თავისთვის. იფ, მომინდომა ყავაო, წამობრძანდები ახლა ერთ ადგილას და იქ მოგართმევთო, ოხუნჯობს მილიცია და ამ დროს ამოვიდა ცოლი მაღაზიიდან. ეგ კი არა, მე ვარ მოწმეო, დაყარა პარკები. შენ რანაირადო? ვალენტინ პეტრესკუ ეს არისო! როგორც „მიმინოშია“, ხომ გახსოვთ, „ონ ხაჩიკიან, ი ონ ხაჩიკიან“. მეც ვალენტინა პეტრესკუ ვარ, ეგეც ვალენტინ პეტრესკუა, რა ვერ გაიგეთო! ამ ცოლ-ქმრის ქართულის მცირემცოდნეობა და მილიციელის რუსულის მცირემცოდნეობაც დაუმატეთ და მოკლედ, კარგა ხანს უმტკიცეს. ძალიან დაგიდევდა ქართველი მილიციელი იმ ერთი „ა“-ს გრამატიკულ წონას და სქესს, ცოლი ქმარზე უარესი გაქნილი ყოფილაო, ორივე წამობრძანდებით ახლა განყოფილებაშიო. სანამ პასპორტები არ აჩვენეს, არ დაიჯერა. მერე იმან ააპარპალა თვალები. ბოლოს მეზობლების დამოწმება დასჭირდა, რომ ვალენტინა იყო სუფრაზე და არა ვალენტინი. მეზობლებმაც მაშინ გაიგეს პირველად, რომ ცოლ-ქმარს ერთი სახელი ერქვა — დიდი გაუგებრობა შეიქმნა — იმათ ვალია და ვალერა იცოდნენ. ნამდვილად ქალი იყო სუფრაზე, ვალია იყო სუფრაზეო, უმტკიცებდნენ. მოწმის მოწმეები ცალკე დაკითხა მილიციელმა. მერე დაასკვნა, მე რა ვიცი, რომელია ქალი, ორივე ვალენტინა ხართო, ადგილზე გავარკვევთო და ყველა ერთად წაასხა — მოწმეები, მოწმის მოწმეები და მოწმის ქმარი. იქვე იყო განყოფილება, ფლოსტებითაც გადადიოდნენ ქალები.

ნინო სადღობელაშვილი

აპრილი. თოვლი

მეუფე ისაიას — მამას და მასწავლებელს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ღია ფანჯრიდან შემოჭრილი სიცივე ოდნავ გავიწყებდა ბუნების იმ სასწაულს, სულ რამდენიმე წუთის წინ ორმა მგზავრმა სასაფლაოდან ცენტრალურ გზამდე რომ გამოიარა — კვირტებგაფეთქილი ხეები, მწვანეში ამოვლებული თვალსაწიერი, სიცოცხლის ხელახლა დაბადების ბედნიერი ტკივილებით ძარღვებამოყრილი მიწა — ახალმოლოგინებული, ია-იების და ენძელების, ფურისულების და კესანეების აბრეშუმზე ხვნეშით მიწოლილი, სურნელოვანი.

— იწყება!.. თოვის წინ იცის ასეთი სიჩუმე, — რაღაც დიდებული სანახაობის მოლოდინში თვალები მილულა მღვდელმა.

— ახლა თოვლი იქნება, მამაო? მოსპობს ყველაფერს!

— ჩვენთან შესახვედრად მოდის. ბოლოს როდის ნახე თოვლი, გაფიცებ?

მამა შიომ მანქანის კარი გააღო და გადავიდა.

— რას შვრები, ძლივს გავათბე სალონი! — აბუზღუნდა ბათა. არ უნდა გეყლურწა ის საბარძიმე ღვინო ნათალი ჭიქებით, რო ჩამოუარე მაგ სასაფლაოს და ყველა მკვდარი სათითაოდ მოიკითხეო — გულში ეჯაჯღანებოდა, ხმამაღლა კი ეს დაამატა, — ჰე, წავედით, დაგვაღამდება, გზებიც მოყინულია, ნელა უნდა ვიარო.

— გადმოდი! — დაუძახა გარედან ურჩმა მგზავრმა. ეს „გადმოდი“ რაღაცნაირად კურთხევასავით ჩაესმა თვითონაც ზომიერად შეჟუჟუნებულს და ზანტად გადმოალაჯა.

— ისუნთქე! — ისევ მხიარულად დასძახოდა მღვდელი. თვითონ უკვე გარსშემოჯარული ალვებივით ზეცისკენ აღეპყრო მკლავები და ბალთაზარ ძიძავას მოეჩვენა, რომ უხილავ ბაგირზე დაეკიდა, ჰაერში, და ცოტა ხანში ზევითაც აიწეოდა მისი თანამგზავრი.

— რატომ გინდა ჯვრის აყრა, რატომ? — თქვა უცებ მამაომ ასე, ხელაპყრობილმა.

ბათამ ცაში აიხედა — ვის ურჩევს იქ საქმესო.

— შენ გეკითხები, რატომ იყრი ჯვარს? ისევ მოესმა გულამღვრეულ მძღოლს.

— მე მეუბნები, მამაო?

— აბა, ამ ვარსკვლავებს რომ უყურებ, თავი ქუდში აქვთ. უფრო სწორად, ცაში! შენ იკითხე, უთანამგზავრო მნათობივით რომ რჩები...

— ამაზე ახლა აქ უნდა ვილაპარაკოთ? — სიბრაზემ სძლია ბათას.

— არ გინდა ლაპარაკი? — მკლავები ჩამოუშვა მამა შიომ.

— დაგვიღამდება. წავიდეთ აწი. შენც დასვენება გინდა.

გეგონება, გამოცვალესო, მღვდელი მორჩილად, თავდახრილი დაიძრა მანქანისკენ, ჩაჯდა, კარი მოხურა და ფანჯარას აუწია.

— ერთი სათხოვარი მაქვს, — მშვიდად მიუბრუნდა მძღოლს, რომელსაც ამასობაში ელვის სისწრაფით დაეკავებინა თავისი ადგილი და ღვედის გადაჭერაც კი მოესწრო, თითქოს აღვირი ამოსდო თანამგზავრის უცაბედ სურვილებსო.

— მითხარი... — საწყლად გაეპასუხა, მაგრამ მღვდლის თვალებს რომ წააწყდა, თითქოს წყალი მიასხესო, შეირხა და გამოფხიზლდა, — ორი იყოს, მამაო...

— პირდაპირ არ წახვიდე, ჩემ უბანში ჩამატარე, აი, ბლის ხეების კორომი როა, იქით...

— არი ვინმე ახლა მანდ?

— არა მგონია, სულ გამოკეტილია სახლები. ისე გავივლი, თვალს წყალს დავალევინებ. შენი მერანი ხო ავა ამ გზაზე?

— აბა, რას იზამს! — შესძახა იმით გამხნევებულმა, შესაძლო ამოცანებს შორის ყველაზე იოლის შესრულება რომ ხვდა წილად და გასაღები გადაატრიალა.

ბღუილით აუყვა თივისფერი, ფახფახა „ფორდით“ აღმართს. ბინდმა იმძლავრა.

— თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი... — ფანჯარას შუბლი მიადო მამა შიომ.

— მართლა გათოვდა! — ფარების შუქზე არეკლილ დამრეცად მოფრიალე ფიფქებს გახედა ბათამ.

— ნუ ჩამიქრები... და იქაც, სულში, თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი...

— ეტყობა, ამ შენ სოფელში იმყოფებოდა პოეტი, ასეთ თოვას შეესწრო და მაგაზე დაწერა! — მაღალი ნიშნისთვის გამეცადინებული მოწაფესავით ომახიანად თქვა ბალთაზარ ძიძავამ და მღვდელს გახედა.

— არა, სხვა ამბავია. აქ რო დაეწერა, იმასაც იტყოდა, თან ნახევრად მოწმენდილი ზეცა როა და თან აპრილი.

— ისე, რამხელა მადლი მოისხი ამ აღდგომის კვირაში, მამაო. შენი მშობლები რას ხარობენ ალბათ ამაღამ!

— მარტო ამაღამ კი არა, სულ ხარობენ ეგენი! — ალალად უპასუხა მღვდელმა.

— ისე, ნეტა მართლა გვხედავენ? ან, ვინ იცის, რას ფიქრობენ ჩვენზე? ვაი, ვაი! — საჭეს რომ არ ყოფილიყო ჩაფრენილი, ორივე ხელს თავშიც შემოიკრავდა ბალთაზარ ძიძავა.

— გვხედავენ კიდეც, უხარიათ და სწყინთ კიდეც... რამდენჯერ მიგრძნია, დედაჩემს რომ გული ვატკინე იქ, სადაც არის...

— კაი ახლა, მამაო, შენ რანაირად უნდა გეტკენინებინა გული, შენ მაინც რაღა გაქვს სასინანულო! — დიდი პატივისცემით, მაგრამ უფრო დიდი ინტერესით ცქვიტა ბათამ ყურები.

— მღუპავ, ბიჭო?

— მე?

— აბა, სასინანულო თუ არაფერი მაქვს და კისერი თუ არსად წავიმტვრიე, ისე მადლს ხონჩით მომართმევენ თუ როგორ იქნება? ნამდვილი წყალობა ჭრილობების მერე მოდის, როგორც სიყვარულს ვერ გაიგებ, თუ არ გამწარდი.

— რა გამოდის, მამაო, ეს დალოცვილი ღმერთი მაგ სიმწარესაც იმიტო გვაძლევს, სიხარულს რო გემო უფრო ჩავატანოთ? და თუ გაუსაძლისია ეს სიმწარე? თუ არც ეგეთი სიხარული მინდა, რა ვქნა, სად წავიდე?

— ყველა გადის თავის გზას. მილიონი გზაა შენ წინაშე და შენ იმ ერთს, ერთადერთს ირჩევ, ესე იგი, შინაგანად მაგ გზისთვის ხარ მზად და ჭირიც იქ უნდა ეძებო და ლხინიც, — ჩანთიდან სათვალე ამოიღო, გაიკეთა და ისე გაიხედა საქარე მინის მიღმა, გეგონება, მიკროსკოპის ლუპაში მოქცეულ სამყაროს აკვირდებაო.

— არ გამოდის ეგრე, რა... არა, მე კი მესმის, რასაც ამბობ, მარა... ძალიან ბევრია ეგ სიმწარეები და სატკივარები, ძალიან, ჰოდა...

— ჩუ! — მკლავზე წაავლო ხელი მამა შიომ მძღოლს.

— რა მოხდა?

— გაიგონე?

— თოვს ხო, მართლა თოვს!

— არა, ბიჭო, თითქოს ვიღაც იძახის!

— სად, კაცო?

მღვდელმა სწრაფად გააღო კარი და გადავიდა. ბათაც გადაჰყვა.

ძაღლი ღავღავებდა შორიახლოს. ცოტაც და, სიბნელე დღის უკანასკნელ ლუკმასაც შთანთქავდა.

→

ნინო სადღობელაშვილი

აპრილი. თოვლი

მეუფე ისაიას — მამას და მასწავლებელს

დასასრული

— იქით მიანათე! — ხელით ანიშნა შიომ და ფართხაფურთხით დაიძრა.

ფარების შუქმა ხეთა ჩრდილები აირეკლა და მორღვეული ღობის ფრაგმენტი.

— იქით, იქით! — მკლავი მარჯვნივ მოიქნია მღვდელმა, მანქანაც გაყვა მოყინულზე ჭრიალით.

თოვა მატულობდა. მამა შიოს კაბის ბოლოები ეთრეოდა ლილოჭრელსა და ყინულჩამსხვრეულ გუბეებში, თითქმის გარბოდა და სულ უფრო ახლოდან ესმოდა კვნესისმაგვარი ხმა.

— ეს ვიღაა! — ხმამაღლა გაიფიქრა ბათამ. ფარების მჭახე შუქმა, ოციოდე მეტრში, ჩია ქალის კონტური ჩამოქნა.

ქალი შუა ორღობეში იდგა და ხელებს იქნევდა. მამა შიო რამდენიმე ნახტომ-ნაბიჯში გაჩნდა მასთან. ბათამ დაინახა, წამიერი პაუზის მერე როგორ ჩაეხვევნენ ერთმანეთს.

— ჩქარა, გამომყევი! — გამოსძახა მღვდელმა ბათას. ჯვალოს ჟილეტი გაიხადა და ქალს მოახვია. ერთიანად სველი იყო, ტალახიან ბალახონში გამოხვეული ორღობეს კალმის წვერივით მიკაწრავდა. ისეთი მსუბუქი იყო, ნაფეხურებსაც კი არ ტოვებდა.

ბათა რომ მანქანიდან გადმოვიდა, მამა შიო უკვე თხრილის თავზე იდგა, ანაფორა მუხლებამდე აეკაპიწებინა და ჯვარი კაბის ქვეშ ჩაებრუნებინა.

მათ წინ გრძელი და განიერი არხი იყო, სარწყავად გამოყვანილი, შიგ ჩამდგარი წყალი გაყინული. ეს ყინული შუაგულში ვეება ნახეთქით იყო გაპობილი, მისი ბზარები არხის ნაპირებამდე აღწევდა — აი, აქ, სწორედ ამ ნახეთქში ტივტივებდა ორი თავი და სწორედ ამ თავებისკენ იშვერდა ხელებს განწირული ჩურჩულით ჩია ქალი:

— მოკვდება... გაიყინება...

მამა შიო ყინულის ნახეთქში გადაეშვა, წამით წყალმა სულ დაფარა, უცებ ამოყვინთა და მუჯლუგუნებით გაჭრა გზა მოტივტივე თავებისკენ.

ერთი თავი კაცის იყო და მეორე ხბოსი. კაცი ხბოს ეჭიდებოდა და ის საცოდავიც, სიმძიმისგან და სიცივისგან თვალებდაქაჩული და კბილებდაკრეჭილი, ტოკავდა ყინულის ნამსხვრევებში.

მამა შიომ კაცს მკლავში წაავლო ხელი და თავისკენ მოითრია. ცოცხალი იყო. იმის ჯანიც შერჩენოდა, საშველად გამოცხადებულ სულიერს აქეთ დახმარებოდა.

ბათამ თოკი გადაუგდო ნაპირიდან, მღვდელმა თოკი კაცს მკლავზე მოაბა და ნაპირისკენ უბიძგა.

— გოგია!.. — ამოღერღა კაცმა დაჭირხლული ტუჩებით. ხბოს მისტიროდა, აქ არ დამიტოვოო, სთხოვდა.

კაცი გაჭირვებით გაათრიეს ნაპირამდე. მღვდელი ხბოსკენ მობრუნდა. ქვასავით ეგდო გაყინულ წყალში, არ ინძრეოდა.

ვიდრე ბათა კაცს თოკს შეხსნიდა და უკან, არხში გადაუგდებდა, მამა შიომ ხბოს ორივე ხელი მოავლო და ნაპირისკენ წამოვიდა. ასე, ხელში ატატებული გამოიყვანა და მიწაზე დააგორა. ქალი ყინულის ნაკუწებს აცლიდა კაცს დაჩეჩქვილი ხელებიდან. ბათა ნაპირზე დარბოდა, ცეცხლის დასანთებ შეშას ეძებდა.

მღვდელი არხის გასწვრივ, მიწაზე ჩამოჯდა და რამდენიმე წამით გულაღმა გადაესვენა. თვალებში აფერფლებდა აპრილის შეშლილი ცა წვრილ და ცრიატ ფიფქებს.

— ცუდად ხო არა ხარ, შვილო... — ქალის ხმა მოესმა. შერცხვენილი წამოხტა.

— მე რა მიჭირს, ნორა მასწავლებელო! ახლავე, ამ წამშივე მოგხედავთ!

კაცი მძიმედ სუნთქავდა, წრიალებდა, რამდენჯერმე წამოდგომაც სცადა.

— მგონი, აგონია აქვს, სასწრაფოს უნდა დავურეკოთ, — თქვა ბათამ.

— აქ სასწრაფო ხვალამდე არ ამოვა, — გაეცინა ქალს.

— გოგია!.. ჰეი, გოგია! — ხბოსკენ მიჩოჩდა კაცი და ყინულის ლოდად დადაქცეულ ცხოველს თავი ფერდზე დაადო.

— გოგია მაგას და... — ისე ჩუმად თქვა ქალმა, გეგონება მკვდარს ეკრძალვისო, — არხზე რას მოაბოტებდა, წესიერი გზა გამოევლო...

ბათამ რამდენიმე ღერი შეშით ცეცხლის ბუჩქი ამოზარდა იქვე, თავისი ქურთუკი კაცს დაუთმო. ყველანი კოცონს მიეფიცხნენ.

— მე ვიპოვე, გულსაკლავად რო ბღაოდა, — ჰყვებოდა ქალი, — მაშინვე არხში შევედი, მარა წყალმა დამამძიმა, თან ეს ყინული მაწვებოდა და ვეღარ გამოვედი, ერთი ეგ შევძელი, როსტომს ხმა მივაწვდინე, ბედად ესეც ახლო იყო, მოვიდა, მე კი გამომიყვანა, მარა გოგია ვეღარ და... ალბათ ფეხები დაეკრუნჩხა... რა ბედად გამოჩნდით ამ გზაზე, შვილო!..

ლაპარაკის დროს კბილებს ისე აკრაჭუნებდა, მსმენელებს ასტკივდათ ყბები.

— ცოტა გათბით? ჰა, ძია როსტომ? — მხარზე ფრთხილად დაკრა ხელი მღვდელმა.

როსტომი იჯდა ჩუმად, გარინდული.

— სახლში წაგიყვანთ ახლავე! — მამა შიომ ბათას ანიშნა, მანქანა დაქოქეო.

მოხუცები უკანა სავარძელზე მოათავსეს, ხბოს ცხედარი საბარგულში ჩაეტია.

თითქოს კიდევ უფრო დაპატარავებული ეჩვენა მღვდელს ნორა მასწავლებლის ეზო. იყო დრო, ამ ეზოს რომ ჩაუვლიდა, გული აუჩქარდებოდა ხოლმე, მით უფრო, თუ აივანზე გამომდგარ მასწავლებელს დაინახავდა, ფითქინა სარეცხს რომ ფენდა ღიღინით. იმსიმაღლეზე ჰყავდა ნორა მასწავლებელი წარმოდგენილი, რომ ცოტა კი უჭირდა იქიდან ამ ჭვირულ აივანზე, სარეცხით ხელში მისი დანახვა, თავბრუსაც ახვევდა, მაგრამ თან რაღაც საშინლად მშობლიური და ახლობელი ეგულებოდა ამ სურათში, ძალიან სანდო და საიმედო. ისეთი, რომ ერთხელ გამოჰყვა კიდეც ამ გრძნობას საკლასო ოთახის კარამდე, მაშინ, როცა სკოლაში ბოლო ზარიც დარეკილი იყო და დარაჯის მეტი აღარავინ ეგულებოდა, ამ გრძნობით შეუღო კარი და გული რომ არ გასჩერებოდა და სირცხვილი არ ეჭამა, სხაპასხუპით, ხმამაღლა და მჭექარედ უთხრა:

— თქვენ რომ ამბობთ, რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბებიო, — ეგ ტყუილია. სიშორე აფუჭებს სიყვარულს, ოცნებაში გხვევს, ისეთ რაღაცებში გარწმუნებს, რასაც სინამდვილესთან კავშირი არა აქვს. ვერ დატკბები სიშორით, რადგან თუ ერთხელ მაინც ჭეშმარიტი სიყვარული გეწვია, ეს ნამდვილი საჩუქარია და არ უნდა დაკარგო!

— ჯერ ერთი, მაგას მე კი არა, გალაკტიონი ამბობს! — იყო პასუხი, ღიმილით და სიფაქიზით სავსე, — თუმცა, რაღა დაგიმალო და, მეც ვეთანხმები. დრო სჭირდება, ეს რომ გაიგო. დრო და ცხოვრება... იცხოვრე, გენაცვალე!

ბათამ ნიჩაბი იპოვა, ეზოს კიდეზე გაჭირვებით გათხარა პატარა ორმო და ხბო შიგ ჩააწვინა. მერე სახლის წინ დაკიდებულ ჟანგიან ავზზე დაიბანა ხელი და დერეფანში შევიდა.

მღვდელს უკვე დაენთო ბუხარი. მოხუცები არსად ჩანდნენ.

— შემოდი, გათბი შენც, — მზრუნველად უთხრა შიომ და ცეცხლს მიუშვირა ყინვისგან შემხმარი ანაფორის კალთები.

— ესე იგი, რო მოკვდე აქ, მომკითხავი პატრონი არ გყავს, ხო? კაციშვილი არ გამოსულა, რაც ჩვენ ეს მანქანა ვაბღუილეთ.

— გაიხედე, სადმე ანთებულ შუქს ხედავ? ორიოდე ოჯახიღაა დარჩენილი.

ნეილონის ფარდა გადაიწია და როგორც ტარიელს დაუბნელდა თვალთ, ასმათმა რომ ხავერდის ფარჩა-ფარდაგი გადაუხსნა და იქიდან ნესტანის შუქი გამოიტყორცნა, ეგრე შეეკრათ წამით სუნთქვა ბათას და მღვდელს — კარის ზღურბლზე ნეფე-პატარძალივით ხელჩაკიდებული და ამაყი მორიდებით თვალებდახრილი მოხუცი ცოლ-ქმარი რომ დაინახა.

იდგნენ ჩუმად, მღვდელს მოეჩვენა, რომ ნორა მასწავლებელი იღიმებოდა კიდეც, ძველებური ცინცხალი, აბრეშუმებიანი გაღიმებით. ტანისამოსი გამოეცვალათ, სუფთა და გახამებული ჩაეცვათ ყველაფერი, შეიძლება საუკუნის ჩაუცმელიც კი, რადგან რაღაცნაირი სუნიც შემოიყოლეს — შენახული და შეძველებული სისუფთავის, გრილი და ოდნავ ნოტიო სუნი.

— რა ლამაზი ხარ, ნორა მასწავლებელო! — აღმოხდა მღვდელს.

— ესეც მე ვარ? — ხელი ხელზე მოუჭირა ნორამ ქმარს. ყველას გაეცინა, მარტო ქმარი არ იცინოდა. ვერც იღიმებოდა. დგომაზეც ეტყობოდა, უფრო ცოლის თხოვნას რომ ასრულებდა, მისთვის გულის ტკენის თავიდან ასარიდებლად.

— ისეთი სტუმრები გვყავხართ, რომ ჩვენც მეფურად დაგხვდით! — ბრძანა ნორა მასწავლებელმა და სუფრის გაშლას შეუდგა.

ზღაპარ-ფილმებში როა — თვალის დახამხამებაში, ერთიმეორის მიყოლებით რომ ჩნდება სუფრაზე ხორაგი, ეგრე სწრაფად შეივსო სტუმრების თვალწინ დაბალ-ფეხებიანი მაგიდა და ეგრე გაქრა დრო ნორა მასწავლებლის მუქლურჯი კაბის შრიალში, სადღაც ჩაიკარგა წუთები და საათები.

მარტო იმ დღის კი არა, მღვდელს მოეჩვენა, რომ უფრო დიდი დროც გაუქრა თვალსა და ხელს შუა, როსტომის ცოლიკაურში ჩამბალი სევდა და რაღაცნაირი, კვიმატი სიხარული ერთად მოეძალა და პირდაპირ იმ დროის წინაშე აღმოჩნდა, ბოლოჯერ რომ გამოიხურა აქ, სოფელში, თავისი სახლის კარი და შეუცნობლის ვნებით ატეხილი, ერთი შეკვრა ჩანთით ჩაუყვა დაღმართს.

— სპორტსმენი ხო იყავი შენ, შვილო? — ჰკითხა ნორა მასწავლებელმა, თან ლობიო მიუწია მწვანე ხახვის მახლობლად, — მახსოვს, რო წარმატებებიც გქონდა. მოდიოდა ამბები.

— ვიყავი, მარა მომბეზრდა... — ისევ ცოლიკაურის ჭირხლი უჭრელებდა თვალებს, ვერც კი დაინახა შორეულ წარსულში თავისი სპორტსმენობა მღვდელმა.

— სულ ვიცოდი, დიდი კაცი რომ დადგებოდი. გული მიგრძნობდა, რაღაც კარგი რომ დატრიალდებოდა შენს თავს! — დარწმუნებით თქვა ქალმა.

— იმ ამბის შემდეგაც გჯეროდა, ნორა მასწავლებელო? — უცებ გამოფხიზლდა შიო.

ბათამაც ეჭვით შეარხია სითბოში და ღვინოში გამლღვალი სხეული.

ქალმა წარბები შეკრა, თავი უკან გადაზნიქა და ისე შეხედა მღვდელს, თითქოს იხსენებს, რა ამბავი იგულისხმაო. შიო დაძაბული უყურებდა და განაჩენის ამოკითხვას ცდილობდა. წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ მთელი ეს გამქრალი დრო სწორედ მაგ განაჩენის მოსმენას ელოდა და გული შეეკუმშა.

— შეცდომას ყველანი ვუშვებთ... მარა ხომ ვნანობთ კიდეც! — მღვდლის ჯვარს შეხედა ქალმა.

ღუმელში შეშა გადატყდა და მოელვარე ჩინჩხალი ოთახში გამოტყორცნა. კაცმა შიშველი ხელით იატაკიდან ნაკვერჩხალი მოხვეტა და უკან შეაბრუნა.

— ჯვარი თუ გაქვთ დაწერილი? — უცებ ფეხზე წამოდგა მამა შიო.

— არა, — გაეღიმა ნორა მასწავლებელს, — აბა, ვინ დაგვწერდა, მღვდელი კი არა, შვილებსაც ეზარებათ აქეთობა.

— მზად ხართ, მე რომ დაგწეროთ? — ისე იკითხა მამა შიომ, თითქოს დიდი ხნის ჩანაფიქრის აღსასრულებლად იყო ჩამოსული.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— წეღან რო შემოხვედით, ბავშვს გეფიცებით, ეგ გავიფიქრე მეც, — საქმეში ჩაერთო ბათა.

— სამოცი წელია, ერთად ვართ. გავზარდეთ ერთმანეთი. ამ სამოც წელიწადში ბევრი ტკივილიც იყო, წყენაც და სიხარულიც, ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია, რას ვიკლავ თავს, გულს რაზე ვიხეთქავ, წავალ ჩემს გზაზე, მივხედავ ჩემ საქმეს, არაფერს არ გავიჭირვებდი მარტოც, და ალბათ არც ეს, არც როსტომი არ გაიჭირვებდა უჩემოდ, მარა ვერ ვქენით ვერცერთმა. ასე გვერჩივნა, ერთად. ასე უფრო კარგად ვიყავით, — რატომღაც ბათას უყურებდა, ამას რომ ამბობდა ქალი.

— ყოჩაღ თქვენ, ქალბატონო! — ჩურჩულით თქვა ბათამ.

— ახლა ამას კი გეუბნებათ, მარა გულში რაღაცას კიდე მალავს, — უცებ, კაცმა.

ნორამ მშვიდად შეხედა.

— თუ ძმა ხარ, რა! — აღმოხდა ბათას.

— შენც ხო ეგრე ხარ, — ქვა ვერ გაუძლებდა და გულს გაიხეთქავდა, ისეთი სინაზით მიუბრუნდა ქმარს ქალი, — შენც ხო გაქ გულში ჩემგან დამალული რაღაცები!

— შენ რას გამოგაპარებ!

— ეგ ჩვენი მარილია, შვილო, — ახლა მღვდლისკენ მოტრიალდა ნორა, — მაგით ვინახავთ ერთმანეთს. ვლოკავთ ჩვენ უთქმელს, პირუტყვივით...

კედლის საათმა სამჯერ ჩამორეკა. შუაღამე თეთრი ფურცელივით იდო წერა-მწერლის წინაშე. თოვდა გამეტებით.

— აბა, მზად ყოფილხართ! — თქვა მღვდელმა და საქმეს შეუდგა.

ეზოში აღსრულდა ეს ამბავი: სახლის უკან, ბლის ხესთან, ვეებერთელა ლოდი იდო, ნორას და როსტომის უფროსი შვილის მოტანილი ოდესღაც, ეზოს სამშვენისი მაგიდის და სკამების გამოსაჭრელად. ის ლოდი საკურთხევლის კარად მოინიშნა მღვდელმა, თოკებისგან შეკრეს სახელდახელო გვირგვინები, სანთლები თავისი ჩამოქნილი შეაშველა ქალმა — ორი კელაპტარი და ლოდზე აყვავებული უამრავი პატარა, მოლიცლიცე სანთელი.

ხელისმომკიდე ერთი ჰყავდათ ცოლ-ქმარს — ბალთაზარ ძიძავა, ამ ყველაფრით ისე გართული, როგორც ხალხმრავალი ქორწილის თავიკაცი.

გამთენიის ოთხის ნახევარზე შედგა ჯვრისწერა. მამალიც აღარ იყო სოფელში, სამეუფო ზარივით ეზოდან ეზოში რომ გადაეცა ეს სასიხარულო ამბავი.

დილით ჩაის ჭიქით ხელში ჩამოდგა სახლის ბაქანზე ბალთაზარ ძიძავა და სიგარეტი გააბოლა. მღვდელი რომ შემოუერთდა, სიგარეტი არც მაშინ გაუგდია, მხოლოდ ზურგს უკან გააფარა ხელი.

— ის რა ამბავი გაიხსენე წუხელ, რო აღარ დაგამთავრებინა შენმა მასწავლებელმა, მამაო, რამე მოხდა ადრე? — თვალები მოჭუტა ბათამ.

— მოხდა...

მეტი ვეღარ ჰკითხა, ისეთი სიჩუმე ჩამოწვა.

— წავედით ქალაქში... — ესღა თქვა მძღოლმა.

— წადი შენ. მე ცოტახანს დავრჩები, ჩემ სახლს დავხედავ, ხელს შევავლებ. ჩამოვალ ორ დღეში.

ბათას არ უნდოდა მარტო მგზავრობა. იმიტომ არ უნდოდა, რომ გზაზე ფიქრის ეშინოდა, მარტო დარჩენილი კაცის ფიქრების. ვინ იცის, საით გადაეხვია ამ ფიქრებს, საით მიეყვანა ისედაც არეული ბალთაზარ ძიძავა, რა ეჭვები გაექარვებინა, რა ბრაზი გაექრო, რასაც აქამდე მახვილივით იქნევდა თავის თავზე გამეფებული, რა დაენახა და რა წარმოედგინა, ამას გაძლება ხომ უნდოდა?..

თოვლიც ვეღარ დაამშვიდებდა — ფრთხილად აკრეფილიყო ირგვლივეთიდან და წყლად და მიწადქცეული, ტალახის შხეფებს აყრიდა ოღროჩოღროებზე შემდგარ ეულ მგზავრს.

ალექსანდრე კაკიაშვილი

ფეფო

ᲫᲕᲔᲚᲐᲓ, ჩემი ჯეელობისას, მაშინ, როცა სიცოცხლე ნამეტნავად მიხაროდა და ყოველი გათენებული დილა ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსე იყო, ვარაზისხევის აღმართზე მცხოვრებ ერთ ასულსა ვყვარობდი. ჰოდა, მისი ტრფობის გადამკიდე მუდამდღე მისი სახლის სიახლოვეს ჩასაფრებული ვიყავ იმ იმედით, რომ სახლიდან გამოსულ ჩემს გულისსწორს თვალს მოვკრავდი და ის ღამეც ოცნებისფრად დამიღამდებოდა.

ბედი ხშირად არ მიღიმოდა. მამამისი სახლიდან იშვიათად უშვებდა. თუკი შეაგვიანდებოდა, აი, მაშინ უნდა გეცქირათ ვარაზისხევის დაღმართზე მორბენალი მამისთვის, რომელიც ქალიშვილის მომლოდინე, დაღმართის ბოლოს მდგარი, ეჭვით იმზირებოდა. თავზედ მომხობილი ცილინდრი დაღმართზე სირბილისას ხან აქეთ გადმოუფრიალდებოდა და ხან — იქეთ. მოშიშვლებულსა და სადალაქოში საგანგებოდ მოპრიალებულ თავზე მობიბინე ორ ღერ ტალავერს, რომელიც ცხვირთან ჩამოშლოდა, უგუნებოდ სულს უბერავდა და ცილინდრის მდევარი გვარიანადაც ილანძღებოდა. თითქოს ცილინდრის ბრალი ყოფილიყოს, სიმელოტით ნაურჩ თავზე წამოსკუპება ასე რომ უძნელდებოდა. იმ უბანში ჩემი ყოველდღიურობისას ძმა-ბიჭებიც გავიჩინე. სწორედ მათგან შევიტყვე ავყია მამამისის სახელი.

ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, რომ ლავრენტი კლიმენტიჩის სიძეობა დამევიწყებინა, მაგრამ როგორც კი ამ ფიქრმა გონებაში განვლო, მყისვე ფეფოს სახე თვალწინ წარმომიდგა და ის ყურუმსაღი ლავრენტი კლიმენტიჩიც კი მამასავით შემიყვარდა.

სხვა რა გზა მქონდა? ფეფოს მიმტოვებელი მე არ ვიყავ და მამამისის უხასიათობა როგორმე უნდა ამეტანა.

ყურებამდე შეყვარებული ვიდექ მის სახლთან და ერთგული ძაღლივით ვდარაჯობდი. თუკი სახლიდან მარტო გამოსულს თვალს მოვკრავდი, მალულად უკან ავედევნებოდი. მის ზურგს მიშტერებული და მისი დალალების სიოთი რეტდასხმული თავს ძლივს ვიკავებდი, რომ იქვე ფილაქანზედ არ გავშოტილიყავი. ის კი ამაყად, ქალური სინატიფით მოსილი მიაბიჯებდა და მთელ არემარეს სილამაზით აცვიფრებდა. მე საწყალი ზურგს უკან მდევარი ჯეელი, მისგან იოტისოდენა ყურადღებაზე და თუნდაც უკანასკნელ ამბორზე მთელი გულით ვოცნებობდი. მაგრამ რა? ამბორს ვინღა ჩიოდა? ერთხელაც არ შემოუხედავს. ცხვირაბზუებული მიიჩქაროდა და საკუთარი თავის მეტს ვერაფერს ამჩნევდა. ეგ კი არადა, უბნის ბიჭებსაც კი უგერგილოდ ესალმებოდა და მე ვინ ოხერი ვიყავ, რომ ჩემთვის სიტყვა გაემეტებინა?

დრო გადიოდა. წელი-წელს მისდევდა და ჩემი მისდამი სიყვარული დაკვერჩხლებული წალამისდაგვარად უფრო და უფრო გიზგიზებდა. გულს მხოლოდ მისი ხილვა მიხარებდა, თუმცა ასეთი გულცივობა დღითი-დღე მანადგურებდა.

რა გზას არ დავადექი, რა ოინი არ ვცადე, მაგრამ ვერაფერმა გაალღო გაქვაბული გული. ძმა-ბიჭებმა ისიც კი მირჩიეს, თავი დაანებეო. ვერა ჰხედამ, რა მამის შვილიაო? ისიც მამამისივით უხასიათო და უსულგულოაო, მაგრამ მათი რჩევა ყოველთვის რჩევადვე რჩებოდა. მე კი ყურადღების მისაღებად ყოველდღე ახალ-ახალ ოინებს ვიგონებდი.

ყოველ სისხამ დილას მეყვავილე თინიასთან გავრბოდი ვაკის პარკში, რომ ფეფოს საძინებლის ფანჯარაზე ჩუმად ყვავილები დამეწყო. თინიაც გულკეთილობას იჩენდა და ახლად დაკოკრილ ვარდებს ზოგჯერ უფულოდ მჩუქნიდა.

მახსოვს, ერთ მორიგ მისვლაზე თინიამ დამინახა თუ არა, იქვე მდგარ კალათას სველი ნაჭერი გადააძრო და მითხრა.

— ონოფრე, ბიჭო. რად დაგიგვიანია?! აი, ამ კალათიდან ეს ვარდები ამოალაგე, ერთად შეჰკარ და იმ შენ გულისსწორს წაუღე.

— მადლობა, დეიდა თინია! ხვალ დილით ფულს აუცილებლად გაახლებ!

— ამას დამიხედეთ! ვინაა შენი დეიდა? აგრე მემჩნევა ასაკი, რომ დეიდას მეძახი?

— არა, რას ამბობ, დეიდა თინია?!

— ა, კიდო!

— ბოდიში, თინია. უნებურად წამომცდა.

— ონოფრე, მაგ ვარდები ჩემი ფეშქაში იყოს და იცოდე, თუ გასამრჯელოდ კაპიკსაც მაახლებ, ჩემთან მოსული მეორედ არ განახო!

— კარგი რა, დეიდა თინია. ბოდიში, თინია! განა, შენ არა ჰყიდულობ?

— მე რასა ვშვრები, ეგ ჩემი საქმეა და არა — შენი! ეს ვარდები კი იმ შენი ფეფოსთვისაა, აგრემც ამ ვარდის კოკრებივით რომ აყვავებულა და ვერცა ხვდება, რა ჯეელსა შეჰყვარებია. არა, ერთი ეს მითხარ: ნაფეშქაშარ ვარდში ფული როგორ გამოგართვა, ქაა? მერე როგორა ვთქვა, რომ სიყვარულისთვის ნაჩუქარი ვარდი ფულით გავყიდეო?! მაშინამც მოჰკვდეს და საღამოსპირს ჩამომჭკნარი ვარდის ფურცელს ემგვანოს თინიაი, თუ შენგან კაპიკი აიღოს!

გახარებულმა ვარდებს ხელი დავტაცე და ფეფოს სახლისკენ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, თუმცა თინიას ძახილმა შემაჩერა.

— ჰეიიი, ბიჭო ონოფრე! გამოიხედე რაღა, ფაეტონს შაბმული თოხარიკივით რომ მიერეკები. ბიჭო, ონოფრეე. იცოდე, ქორწილი არ გამომაპაროოთ! აი, მერე მე ვიცი და ჩემმა ქალობამა. ისეთი „ბუკეტი“ უნდა მოვართვა შენს გულისწორსა, რომ მთელი ტფილისის მეყვავილეებს ზედ თვალები დარჩეთ, მაშაა!

— ნუ დარდობ, თინია. არ გამოგაპარებთ!

შეუსვენებლივ ავირბინე ვარაზისხევის აღმართი და ვარდის კოკრები ფეფოს ფანჯარასთან სიყვარულის მძევლად დავტოვე. მე კი იქვე შორი-ახლოს მოვეფარე, რათა ვარდების ასაღებად ფანჯარას მომდგარი ფეფოს სილამაზით დავმტკბარიყავი. ისიც კი წარმოვიდგინე, თუ როგორ გააღებდა ჩემი გულისსწორი ფანჯარას, ხელში აიღებდა ჩემგან მიძღვნილ ვარდებს და მათ საუცხოო სურნელში თავდავიწყებით გადაეშვებოდა. ვინ იცის, იქნებ ის მარწყვივით ტუჩებიც კი შეხებოდა ცვარნამულ კოკრებს.

წარმოვიდგინე და, იმ ვარდებისა ერთიანად შემშურდა.

ფეფომაც არ დაახანა და ლავრენტი კლიმენტიჩის გენი თავისი საძინებლის ფანჯარასთან გამოამზეურა — დაწყობილ ვარდებს ერთიანად ჰკრა ხელი და ფილაქანზე ფიანდაზად მოჰფინა.

ეეჰ, ჩემო სიყმაწვილევ! აი, მაშინ კი გულში ცეცხლი ერთიანად ამენთო. შეშლილივით მივვარდი ამ ვარდებს და აკრეფა დავუწყე, თან ისე, რომ ფეფოსთვის არც შემიხედია.

— მეორედ ეს ვარდები ჩემს ფანჯარასთან არ ვნახო, თორემ მამაჩემს დავუძახებ!

— ვერც ნახავ! და არც ყოფილხარ ამ კოკრების ღირსი!

— რაო? ვითომ რათაო?

— რათა და იმათა! სისხამ დილით მეყვავილე თინიასთვის გამომირთმევიან, ეს აღმართი სიხარულით ამომირბენიან, კოკრები, მთელი ტრფიალებითა შენთვის მომირთმევიან. შენ კი ხელი გიკრიან და ჩემი შენდამი სიყვარულიც ამ ვარდისკოკრებისდარად ფილაქანზედ მიმოგიბნევიან! ახლა კიდენა, შეგიძლიან მამაშენსაც დაუძახო! ნეტა ვიცოდე, ვის აშინებ მაგითა?!

— როგორ მელაპარაკები?! შე უზრდელო, შენა!

— როგორაც იმსახურებ, ფეფოჯან.

— უყურე ამას! ჩემი სახელიცა სცოდნია!

— ვიცი! მაშ, როგორა? უკვე მესამე გაზაფხული მოიწია, რაც კუდქიცინა ძაღლივით უკან-უკან დაგყვები და სიტყვის თქმასაც ვერ გიბედამ...

— ჰოო? დღეს რა გველმა გიკბინა?

— შენმა საქციელმა გული ერთიანად მომიკლა და გადამაწყვეტინა, რომ ნაბიჯი გადმომედგა!

— ჰოდა, როგორც გადმოგიდგამს, ეგრემც გადადგი უკანა. ეგღა აკლია ფეფოსა, რომა შენნაირ ბოგანოსა თავი გაუყადროს!

ეს თქვა და ის დაწყევლილი ფანჯარა ისეთი ძალით მიიჯახუნა, რომ სარკმლიდან გადმომხტარი მინა ჩემს ფეხებთან დაენარცხა და დაიმსხვრა. გულმოსული და გაბრაზებული იქაურობას წყრომით გავეცალე. მთელი კვირა თავს ძალას ვატანდი, რომ ვარაზისხევს არ გავკარებოდი, მაგრამ ჩემი მიუსვლელობით დადარდიანებული ძმა-ბიჭები სოლოლაკს მესტუმრნენ. დასაიმედებლად ისიც კი მიამბეს, რომ შენი დაკარგვით შეწუხებული ფანჯარაში მომზირალი ფეფო ხშირად ჩნდება და დაღმართს გასცქერისო.

ამის გაგონებაღა მინდოდა? მეორე დილას ტოროლასავით წამოვფრინდი და ჩემი გულისსწორისკენ გავეშურე. ვაკის ბაღში კვლავ მეყვავილე თინიას შევუარე და დილის ნამით დაცვარული ფურცელქათქათა გვირილები ხელს გავიყოლე. მისულმა ყვავილები ჩვეულად ფანჯარაზე დავუწყე და მის გამოჩენას დაველოდე.

ალბათ ფანჯარასთან ჩემი ფუსფუსისათვის ყური მოეკრა და სულ რაღაც ხუთ წუთში მინის მიღმიდან მომზირალი ფეფოც გამოჩნდა.

— ოჰ, ისევ გამოჩენილა... დიდ ხანს უნდა იდგე მაგ ხესთან ამოფარებული?

— მე?

— ხო, შენ გეუბნები, ვაჟბატონო! ერთი აქეთ მოისწი.

— აჰა, მოვისწი. მერე?

— სად ბრძანდებოდი, რომ არ სჩანდი?

— სადაცა ვბრძანდებოდი! რა იყო? ჩემმა გაუჩინარებამ ხომ არ დაგადარდიანათ ხელმწიფის ასულო?

— ეგღა მაკლდა, რომ მედარდა! უბრალოდ გკითხე.

— გულმოსული ვიყავ და გადაწყვეტილი მქონდა, რომ აღარ შემენუხებინე?

— მერე და, ასე იცი, ბიჭო, სიყვარულისთვის ბრძოლა? უარის, სიცივისა და უყურადღებობისთვის ფარ-ხმალი მტკვრის პირს დაგიყრია და თავით შიდ გადაშვებულხარ?! ეგაა შენი ვაჟკაცობა?

რა უნდა მეპასუხა? მართალი იყო. თავი დარცხვენილმა და სახეალეწილმა მორჩილად დავხარე.

— კარგი, ბიჭო. იმიტომ კი არ მითქვამს, რომ გიჯავრდები. არა, უბრალოდ მთელი კვირის განმავლობაში ველოდი თუ როდის გათენდებოდა ის დილა, როცა ახლად დაკრეფილი ყვავილების სურნელი შენი ჩემდამი სიყვარულის სამტკიცებლად ფანჯარას შემომიმტვრევდა და ოთახში გაბნეული სურნელით მეც შენდამი სიყვარულში მარწმუნებდა. ეჰ, ჩემო ონოფრე...

— შენ? ჩემი სახელი... სახელი დამიძახე?! ჰეიი, ხალხნო! ბიჭებოო! ვარაზისხველნოო, გესმით? ონოფრეოო, ონოფრეო! ფეფომ, ონოფრეო!

— რას გადაირიე, ბიჭო? ჩუმად, შე სასიკვდილე! აგრე ხომ მთელს უბანს ააწრიალებ და მამაჩემსაც გააღვიძებ!

— ჰოდა, გაიღვიძოს და იმ ორ ღერ ტალავერსაც დავუკოცნი, რომელიც ცხვირზედ ჩამოფხატვია!

— სულ გასულელდი?! ახლავე წადი, სანამ მამამ გაიღვიძა, თორემ მეც გვერდზე დაგრჩები და ჩემდამი სიყვარულიცა!

სიხარულით და ბედნიერებით აღვსილი, შეშლილივით გავრბოდი დაღმართზე. გახარებულმა მეყვავილე თინიასაც კი შევურბინე და გულში მაგრად ჩავიკარი. თინიას, არც არა უკითხავს რა, მაგრამ განა ამ სიხარულის შემხედველს, კითხვაღა დაებადებოდა? უმალ მიხვდა ჩემი ბედნიერების მიზეზს და მოღიმარმა პირობა შემახსენა, რომ ქორწილში უნდა დამეპატიჟნა. მეც სულელივით მთელი ვაკის ბაღის გასაგონად ხმამაღლა გავყვიროდი და ყველას ჩემი და ფეფოს ქორწილში ვეპატიჟებოდი. იმ ქორწილში, რომელიც არც კი შემდგარა...

მხოლოდ მაშინღა მივხვდი ფეფოს მამის, ლავრენტი კლიმენტიჩის, უხასიათობის მიზეზსა და მის ერთობ ეგოისტურ ზრუნვას მისსავე ასულზე, როდესაც იმავე ღამით სოლოლაკს ჩემს სანახავად ამოვიდა. რა თქმა უნდა, შინ შევიპატიჟე და სათანადოთაც გავუმასპინძლდი, მაგრამ პირი არაფერს დააკარა. ოჯახი და კერა დამილოცა და ჭიქა პირდაუკარებლად მაგიდაზედ დადგა.

— ყმაწვილო, ჩემი აქ სტუმრობის მიზეზს, ეჭვი მაქვს, რომ ხვდები. ამიტომ სანამ საუბარს არ დავასრულებ, ნუ შემაწყვეტინებ. მოგეხსენება, ფეფო ჩემი ერთადერთი ქალიშვილია და მის გარდა სხვა არავინ გამაჩნია. ფეფოს დედა, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, ფეფოზე მშობიარობას გადაჰყვა. ჩვილობიდან მე ვზრდიდი და მთელი ჩემი ცხოვრება მის აღზრდას მივუძღვენი, თუმცა როგორც ჩანს, ვერ ვიყოჩაღე. ორიოდე წლის წინ ფეფო შეუძლოდ შეიქმნა და ექიმსაც ვაახლე. ტფილისში რომ მის ავადობას ვერა გაუგეს რა, მოწვეული ექიმი მოიპატიჟეს და დიაგნოზიც დაუსვეს. არც კი მჯეროდა, თუ ამ ყოველივეს ფეფოზედ მეუბნებოდნენ. გულმა ვერ გამიძლო და ექიმბაშებთან სიარული დავიწყე. ბალახ-ბულახითა და ათასგვარი ნაყენით ვცდილობდი, მისი ავადმყოფობისა დამეჯაბნა, მაგრამ როგორც ჩანს ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. წინა კვირას მორიგ კვლევაზე წავიყვანე საავადმყოფოში და ნეტამ ის სიტყვები არ მომესმინა, რაც ექიმმა მითხრა. ყმაწვილო, ფეფოს ორი დღის სიცოცხლეღა დარჩენია და თუ ღმერთი გწამს, ნურც მას გააუბედურებ და ნურც თავს გაიუბედურებ... დანარჩენი კი შენს ვაჟკაცობაზედ იყოს.

„ფეფოს, ორი დღის სიცოცხლეღა დარჩენია“ — ამის მერე სიტყვაც კი აღარ მესმოდა. მონუსხულივით ვიჯექ და მამამისის პირის მოძრაობასღა ვხედავდი, რომელიც უწინდებურად ფეფოს დაავადებაზედ მიამბობდა. ვერც ის გავიაზრე, თუ რა დროს ადგა და გავიდა, რადგან ჩემი ფიქრი და აზრი მხოლოდ და მხოლოდ ფეფოს ეკუთვნოდა.

აი, მაშინ მივხვდი მამის გულისთქმას, მაგრამ რაღა დროს? იმ ღამიდან ერთი კვირის თავზე ფეფო გარდაიცვალა და მეც ცოცხლად მომკლა. ჩემი გასახმობი ხელით დავაყარე მუჭით მიწა და ახლაც ჩამესმის იმ მიწის ბელტთა დაცემისაგან საფლავიდან ყრუდ ამოგმინული ხმა. ხმა, რომელსაც სასახლე გამოსცემდა.

ის დღე იყო და, მე სხვა არც აროდეს შემყვარებია და არც აროდეს მიღალატია ფეფოსთვის. ქალისთვის, რომელიც უკარებლად და უკოცნელად მიყვარდა!

მას შემდეგ ჩემი ყოველი დილა კვლავინდებურად ფეფოსთვის ყვავილების მიტანით იწყება, მაგრამ არა მის ფანჯარასთან, არამედ მის საფლავთან! კვლავაც იმ ვაკის ბაღში დავიარები ყვავილის საყიდლად და ბევრი თინიასნაირი მეყვავილეებისაგან ვყიდულობ ფეფოსთვის ყვავილებს. მინდა, რომ ჩემს მიერ მირთმეულმა ყვავილებმა მისი სამარის კარი სურნელებით შეამტვრიოს და ჩემი მიახლება ახაროს!..

ჰო, ამ აღდგომა დღესა კიდე, რაც მოვახერხე ორიოდე წითლად შეღებილი კვერცხი და პასქის ნაჭერი ჯიბეში ჩავიწყე და სასაფლაოს გზაზე დამდგარი თქვენთან საუბრით გავერთე... მივალ, კვერცხს გულზედ გადავუგორებ და ვახარებ:

ქრისტე აღდგა, ფეფოო!

მთარგმნელი

ნუნუ გელაძე

ნუნუ გელაძე იტალიაში ცხოვრობს და ოც წელზე მეტია, ქართული ლიტერატურისა დ კულტურის პოპულარიზაციას ეწევა. ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ ფესტივალისა თუ ღონისძიების, რომლებზეც მის მიერ თარგმნილ ქართველ ავტორებს წარადგენს. ვრცელი და შთამბეჭდავია, ასევე, იმ იტალიელი ავტორების ჩამონათვალი, რომელთა ნაწარმოებებიც მან გადმოაქართულა. არც საზოგადოებრივ საქმიანობას აკლებს ხელს, არის მილანის ქართული სათვისტომო „სამშობლო გულით სატარებლის“ თავმჯდომარე და ემიგრანტების შემწე.

2006 წელს შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში გადაეცა ევროპის საერთაშორისო პრემია „წლის საუკეთესო ქალი — იტალიური კულტურის დივულგაციისა და პედაგოგიურ და სოციალურ სფეროში დაუღალავი შრომისათვის, ხალხთა შორის მეგობრობასა და ძმურ ურთიერთობაზე მუდმივი ზრუნვისთვის“. მოგვიანებით შვეიცარიის „მშვიდობის უნივერსიტეტმა“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „უნივერსუმ სვიზერლადმა“ მშვიდობის ელჩის წოდება მიანიჭა. 2016-ში კი საქართველოში დააჯილდოვეს, როგორც „წარმატებული ქართველი ქალი საზღვარგარეთ“. 2019 წელს რომში გადაეცა დანტე ალიგიერის სახელობის პრემია მთარგმნელობით საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის. 2020-ში ქართული ლიტერატურის თარგმანისა და პოპულარიზაციისთვის ორტა სან ჯულიოს ფესტივალის პრემიის Poetry on the Lake ლაურეატი გახდა.

შემოდგომაზე საქართველოში უნდა ჩამოსულიყო ცნობილი იტალიელი მწერალი ქალისა და მისი ახალთარგმნილი წიგნის მკითხველისთვის გასაცნობად. სამწუხაროდ, შეხვედრა ვერ შედგა, თუმცა ახალ გამოცემასა და დაჩა მარაინისაც ინტერვიუში წარგვიდგენს.

— ინტერვიუ თქვენი ბოლო თარგმანით მინდა დავიწყოთ. „წერის სიყვარული“ — ასე ჰქვია დაჩა მარაინის თხზულებას, თსუ გამომცემლობამ რომ დასტამბა.

— „წერის სიყვარული“ სატელევიზიო გადაცემის „მე ვწერ, შენ წერ“ კვალდაკვალ დაიბადა. ოცი წლის წინათ Rai-ს — იტალიის რადიოტელევიზიის — მეორე არხზე დაჩა მარაინის ორი სეზონის განმავლობაში მიჰყავდა ეს გადაცემა და იმდენად დიდი აღმოჩნდა საზოგადოების ინტერესი, რომ მისი წიგნი, რომელსაც ის გადაცემები დაედო საფუძვლად, შვიდჯერ გამოიცა. მართალია, შესავალში წერია, რომ „წერის სიყვარული“ სახელმძღვანელო არ არის, მაინც ვფიქრობ, და არამარტო მე, რომ წიგნი სახელმძღვანელოდ გამოადგება ყველა დამწყებ მწერალსა და მთარგმნელს, უბრალოდ, წერისა თუ კითხვის მოყვარულს, ვინაიდან ავტორს „შევყავართ თავის ლაბორატორიაში და გატაცებითა და მორიდებით გვანდობს მწერლის ხელობის საიდუმლოებებს, გვაძლევს მითითებებს და რჩევებს, გვთავაზობს წასაკითხ მასალას და სავარჯიშოებს, ამოწმებს და ასწორებს დამწყებ მწერალთა ტექსტებს. გვიხსნის პროზაულ თუ პოეტურ ტექსტებში ჩამალულ მექანიზმებს იმგვარად, რომ ვსწავლობთ, როგორ აღმოვაჩინოთ სიცოცხლის ერთ-ერთი უიშვიათესი მადლი — კითხვით ტკბობა“. თუმცა დაჩა მარაინი მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას არ ეყრდნობა, უხვად გვთავაზობს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის წარმომადგენელთა ნაწარმოებებს, ლექსებსა თუ ნაწყვეტებს პროზაული ნიმუშებიდან, მართავს დიალოგს წერის ხელოვნების, ჟანრების, სტილის, რიტმის, ენის, თარგმანის, სასვენი ნიშნების და კითხვასა თუ წერასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ისეთ ცნობილ მწერლებთან, როგორებიცაა ტონინო გუერა, სანდრო ვერონეზი, კლაუდიო მაგრისი, მელანია მაცუკო, ანტონიო ტაბუკი, მარიო ლუცი, იზაბელ ალიენდე, ბერნარდო ბერტოლუჩი და ბევრი ბევრი სხვა. თავად დაჩა, ჩვეული თავმდაბლობით, ასე წერს წიგნის შესავალში: „შევეცადე, კითხვის სიხარულზე მესაუბრა და ეს სიხარული გადამედო დამწყები მწერლებისათვის, რომელთაც გზადაგზა ვხვდებოდი წერის ხიბლის ზიარებასთან ერთად. ხოლო მათთან, ვისაც ყოველდღიური წერის პრაქტიკა უკვე ჰქონდა, შევეცადე, ენის ეკლებზე გვემსჯელა. შევძელი თუ არა ეს, მთლად დარწმუნებული არა ვარ. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, არაფრის სწავლება არ ვისურვე, ვინაიდან არაფერი მაქვს სასწავლებელი. ჩემი განზრახვაა წიგნი იყოს უგულწრფელესი დაჟინებული გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ სად, როდის და რატომ ლიტერატურა — ეს საუკუნეობრივი სიყვარული და სნეულება, შფოთი და შთაგონება — ყველაზე ადვილი და ყველაზე რთული შეკითხვა“.

„უჯრაში ბევრი პროექტია“

— „წერის სიყვარული“ დაჩა მარაინის პირველი წიგნი არ არის, რომელიც თქვენ თარგმნეთ. რით არის მისი ტექსტები გამორჩეული, საინტერესო?

— დიახ, მესამე წიგნია, თუმცა, მისი ლექსებიც მაქვს თარგმნილი და ძალიან მინდა, პიესებიც ვთარგმნო. დაჩა მარაინის დარი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მწერალი ქალი იტალიურ ლიტერატურას ალბათ არ ახსოვს, იმდენად მრავლისმომცველი და ამოუწურავია მისი შემოქმედება. არ ყოფილა იტალიური საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხი, დაჩას კალამს გამოჰპაროდეს: პრესაში სისტემატურად აქვეყნებს — უმეტესად, გაზეთ „კორიერე დელა სერაში“ — სტატიებს გარემოს დაბინძურებაზე, უმცირესობათა და ცხოველთა უფლებებზე, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, რასიზმზე, აღვირახსნილ ფუფუნებასა და ბავშვთა შრომის დაკაბალებაზე, პოლიტიკაზე, მაფიაზე, სკოლაზე, ნარკომანიაზე, პატიმრებზე; აღარ ჩამოვთვლი ამავე თემაზე გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ კრებულებს, ასევე, ოცდაათზე მეტ პიესას და სამოცამდე რომანს, რომელთა უმთავრესი თემაა ქალი, ისტორიული თუ გამოგონილი პერსონაჟები — წმინდანები, კურტიზანები, ქურდები, მეამბოხეები, ხშირად იმედგაცრუებული, გაუპატიურებული, მოკლული, მაგრამ ძლიერი, მამაცი ქალები. ბევრი მისი ნაწარმოები ნამდვილ ამბებზეა შექმნილი. საგულისხმოა, რომ დაჩა მარაინის ტექსტები არამხოლოდ თემატიკითაა საინტერესო, არამედ, სიღრმით, თხრობის სისადავით, ნაძერწი, ოღონდ ძალიან ბუნებრივი ფრაზეოლოგიით, ზომიერი მეტაფორებითა და საოცარი გამჭვირვალობით. დაჩა მარაინის შემოქმედებითი გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. 1962 წელს გამოცემული მისი პირველივე რომანი მკითხველმა კი აიტაცა, მაგრამ ცენზურისა და ეკლესიის კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვა „უხამსობის“, „გარყვნილობის“ და „პორნოგრაფიულობის“ გამო, იქამდე, რომ „რეალისტური რომანის სასიკვდილო ეგზეკუციადაც“ შეირაცხა. ასეთივე „სკანდალური“ აღმოჩნდა მომდევნო წელს გამოცემული რომანი „უქეიფობის ასაკი“, რომელმაც გამომცემელთა საერთაშორისო პრემია დაიმსახურა და მოგვიანებით ფილმად იქცა. საერთოდ, მისი მეგობარი პაზოლინივით, იმდროინდელი ცენზურა ხშირად უჩიოდა სასამართლოში ნაწარმოებების გამო. ნამდვილი აღიარება და არაერთი პრესტიჟული პრემია დაჩა მარაინის, როგორც რომანისტს, მოუტანა 1990 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „მარიანა უკრიას ხანგრძლივი ცხოვრება“ და თუ მანამდე მისი წიგნების 40-50 ათასი ეგზემპლარი იყიდებოდა, ეს უკანასკნელი მილიონ ეგზემპლარად გაიყიდა, 73-ჯერ გამოიცა, 25 ენაზე ითარგმნა და ფილმადაც გადაიღეს. საერთოდ, მარაინის არაერთი რომანია ეკრანიზებული. დღეს დაჩა მარაინის იტალიასა და მის ფარგლებს გარეთაც ცხოვრების მასწავლებლად, სიტყვის ჯადოქრად, იტალიური ლიტერატურის საგანძურად და იტალიური კულტურის ელჩად, ცოცხალ კლასიკოსად მიიჩნევენ. ის არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატია, მინიჭებული აქვს ეროვნული თუ უცხოეთის უნივერსიტეტების დოქტორის რვა საპატიო წოდება, რამდენჯერმე წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

— ალბათ დაჩა მარაინი მწერალიც რომ არ ყოფილიყო, მასზე სათქმელი არ გამოილეოდა. სად არ გაიბრწყინა მან. სახელი გაითქვა არა მხოლოდ პროზაიკოსმა, პოეტმა და დრამატურგმა, არამედ როგორც კინოდოკუმენტალისტმა, ჟურნალისტმა, მოგზაურმა, ქალთა უფლებების დამცველმა, ზოგადად — მეამბოხემ.

— დიახ, მეამბოხემ, ოღონდ, როგორც თავად უყვარს გამოთქმა, თავაზიანმა რევოლუციონერმა, მშვიდობიანმა მომიტინგემ. დიახ, დაჩა მარაინი არამხოლოდ დიდი მწერალია, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც: ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 21 წლისა, რომში აარსებს ჟურნალს სახელწოდებით „ლიტერატურის დრო“. 1964 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას გაიცნობს ფემინისტ კატრინ კლევერს და სამშობლოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ებმება ფემინისტურ მოძრაობაში. როგორც თავად გვიამბობს, თანამოაზრეებთან ერთად ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 70-80-იან წლებში მიაღწიეს იმას, რომ გაუქმდა კანონი — patria potestas — ოჯახის უფროსის, მამის განუსაზღვრელი უფლებების შესახებ, ქალებმა მოიპოვეს აბორტისა და განქორწინების უფლება, გაუქმდა კანონები: „ღირსების დანაშაული“, რომლითაც მსუბუქად ისჯებოდა ქმარი მოღალატე ცოლის მკვლელობისათვის და — „გამოსწორების ქორწინება“, რომელიც მოძალადე მამაკაცს ავალდებულებდა გაუპატიურების შემდეგ ცოლად მოეყვანა მსხვერპლი. დასჯადი გახდა ქალზე ძალადობა და ასე შემდეგ. დაჩა მარაინიმ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე დააარსა თეატრი, წლების განმავლობაში უანგაროდ მიჰყავდა წერის ხელოვნების კურსები, იგი დღემდე უანგაროდ ხელმძღვანელობს ქალაქ არონის ფესტივალს.

— იტალიელ მწერალს საქართველოშიც ელოდა მკითხველი, მაგრამ, სამწუხაროდ, შეხვედრა ვერ შედგა.

— სამწუხაროდ. 16-19 სექტემბერს მწერალთა სახლის მოწვევით უნდა ჩამოვსულიყავით „წერის სიყვარულის“ წარსადგენად, დაგეგმილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრაც, მაგრამ სექტემბრის დასაწყისში დაჩა დაეცა, მაჯა მოიტეხა და მუხლი დაიზიანა. თავადაც ძალიან დასწყდა გული — წლებია, ელოდება საქართველოში ვიზიტს. იმედია, მაინც შევძლებთ ჩამოსვლას.

— დიდი ხანია, მთარგმნელობითი საქმიანობა თქვენი ცხოვრების ნაწილია, თუმცა მას შემდეგ, რაც იტალიაში დასახლდით, თანამედროვე ქართველი ავტორებიც, ვიტყოდი, ფეხდაფეხ მოგყვნენ, რადგან თქვენ ჩაახედეთ მათ წიგნებში იტალიელი მკითხველი. 23 წელია ცდილობთ, თანამედროვე ქართული მწერლობა უკეთ გააცნოთ ხალხს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურის მემკვიდრეა და თავმოწონებაც არ აკლია. ამასობაში ქართულიდან იტალიურად 23 წიგნი თარგმნეთ.

— დიახ, 23 წიგნი ქართულიდან იტალიურად — 38 პოეტი და სამი პროზაიკოსი და 7 იტალიურიდან ქართულად ვთარგმნე. სანამ იტალიაში წამოვიდოდი, მანამდე უკვე თარგმნილი და სალიტერატურო ჟურნალებში გამოქვეყნებული მქონდა არაერთი იტალიელი ავტორის ნაწარმოებები. იტალიაში ჩამოსვლისთანავე შევუდექი ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე ზრუნვას: ვატარებდი ქართული კულტურისადმი მიძღვნილ კონფერენციებს სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, კულტურის ფონდებში; გავშლიდი თუკი რამ ალბომი, ქართული ხალხური რეწვის ნიმუში





გამაჩნდა და ვყვებოდი საქართველოზე, მის ისტორიასა და კულტურაზე, ვკითხულობდი ლექსებს. მალევე დავიწყე მონაწილეობის მიღება ლიტერატურულ ფესტივალებში და იტალიელების მხრიდან ბუნებრივად გაჩნდა სურვილი ქართველ ავტორთა ლექსების წიგნებად გამოცემისა. ასე დაიბადა 2006 წელს გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე დათო მაღრაძის გამოსვლისთანავე, მისი წიგნის, „სალვეს“, თარგმნისა და გამოცემის იდეა. წიგნმა იტალიაში არაერთი პრემია დაიმსახურა. ქართველი ავტორის წარმატებამ მეც შემაგულიანა და მთელი ჩემი ენერგია ქართული პოეზიის თარგმნას მოვანდომე, თუმცა არამხოლოდ თარგმნას, შემდეგ მათ წარდგენაზე ზრუნვას, კონკურსებში მათი ლექსების დაგზავნას, ფესტივალებზე გატანას, მათთან შეხვედრების მოწყობას. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ძალიან რთული იყო, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იტალიელი მკითხველი პრეტენზიულია, კონკურსი ან ფესტივალი საერთაშორისოც რომ იყოს, იტალიელები სკეპტიკურად ეკიდებიან უცხოელ ავტორებს, ამიტომაც, როცა ლექსებს საკონკურსოდ წარვადგენ, ავტორებს არ ვუმხელ, გული რომ არ დასწყდეთ და მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ვატყობინებ; ასევე, ვგზავნი ხოლმე ლიტერატურულ ალმანახებსა და ჟურნალებში ლექსებს და როცა ისინი იბეჭდება, მაშინ ვასაჯაროებ. და, წარმოიდგინეთ, რა კონკურსზეც გამიგზავნია, ჩვენს პოეტებს ყველგან გამარჯვება მოუპოვებიათ. თავს ნებას მივცემ და ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართული პოეზია არაფრით ჩამოუვარდება იტალიურს, მეტიც, დღეს იტალიელებს ამდენი კარგი პოეტი არა ჰყავთ, რამდენიც ჩვენ, სულ თითზე ჩამოსათვლელები არიან. ამაში მხოლოდ მე არ დავრწმუნებულვარ არაერთგზის, თავად პოეტები არიან მოწმენი, როგორ ხვდებიან და აფასებენ მათ შემოქმედებას. სირთულეს კიდევ ის წარმოადგენდა, რომ წლების განმავლობაში მარტო ვუმკლავდებოდი ამ ყველაფერს, მერე „ცოცხალი წიგნების“ პროექტის ავტორის, ქეთევან დუმბაძისა და კულტურის სამინისტროს აქტიური მხარში დგომით უფრო დიდ მასშტაბებს შევეჭიდეთ, მეტი პოეტის თარგმნა და ჩამოყვანა, მეტ ქალაქში მოგზაურობა და მეტ ფესტივალზე მონაწილეობა შევძელით.

— თქვენი დაკვირვებით, გამოცდილებით, როგორი ავტორები მოსწონს იტალიელ მკითხველს. მართალია, ეს ძალიან ინდივიდუალური საკითხია, მაგრამ თქვენი თარგმნილი ქართული წიგნებიდან რომელმა მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება?

— ბედნიერი ვარ იმით, რომ ქართულ პოეზიას ბევრი დამფასებელი გამოუჩნდა იტალიაში. იმაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს, როცა საერთაშორისო ფესტივალებზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია შენს თანამემამულე პოეტს ტაშით აჯილდოებს და იქვე გეკითხება საქართველოს შესახებ, სურვილს გამოთქვამს შენს სამშობლოში იმოგზაუროს. ამის დასტურად უამრავი მაგალითის მოტანა შემიძლია. გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე დათო მაღრაძეს ერთმა ამერიკელმა ებრაელმა პოეტმა მისი ლექსების ივრითზე თარგმნის ნებართვა სთხოვა, ორტას საერთაშორისო ფესტივალზე კი, ლია სტურუას ლექსის წაკითხვის შემდეგ, ერთმა ცნობილმა იტალიელმა პოეტმა ეს შედევრი მაჩუქეთო, მომმართა. მილანის პოეზიის სახლში გამართული ჩემ მიერ თარგმნილი თანამედროვე ქართველ პოეტთა მცირე ანთოლოგიის „ვაზი და კალამის“ პრეზენტაციისა და, ასევე, ცნობილ იტალიელ დოკუმენტალისტ მაურიციო ფანტონი მინელას მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის, „ქართული პოეზიის ხმების“ ჩვენების შემდეგ ასაკოვანი მამაკაცი მომიახლოვდა და მეუბნება: „ფილმში რომ პოეტი კითხულობს „სად არიან შვილები“ — თან კრებულს ფურცლავს და დამარცვლით კითხულობს მის გვარს — კა-რა-ნაული, ხომ ვერ დამაკავშირებდით?“ ეს ბატონი ცნობილი უნგრელ-იტალიელი პოეტი ტომაზო კემენი, მთარგმნელი, დრამატურგი, ესეისტი და ლიტერატურის პედაგოგი გახლავთ. მან თავისი ინიციატივით ბესიკ ხარანაული პოეზიის საერთაშორისო კონკურსზე წარადგინა და მერე შემატყობინა, რომ ბატონი ბესიკი მსოფლიოს საუკეთესო პოეტთა ათეულში მოხვდა. კრებულებს რაც შეეხება, დათო მაღრაძის „ჯაკომო პონტის“ გამოცემასაც საინტერესო ისტორია აქვს: ჩემმა მეუღლემ თავის მეგობარ გამომცემელს, ჯულიანო ლადოლფის ამობეჭდილი პოემა წაუღო, ნახე, თუ მოგეწონებაო. მალევე ლადოლფი რეკავს და მეუბნება: „ქალბატონო ნუნუ, როცა ჩვენ ბორგოდან მატარებლით მილანში მივდივართ, ხომ მსუბუქი საკითხავი მიგვაქვს, ჰოდა, მეც წავიღე ეს თქვენი თარგმანი და კითხვისას ვიგრძენი, როგორ ავღელდი და ცრემლები წამომივიდა, ამ პოემას უსათუოდ დავბეჭდავ.“ იტალიის ბევრი ქალაქი შემოიარეს კრებულებმა „ვაზი და კალამი“, „4+4=~“, „როცა ქვეყნებს სძინავთ“ და გიორგი ლობჟანიძის ლექსთა კრებულმა „სიზმრის ნანგრევებში“, რომელსაც არაერთი შესანიშნავი რეცენზია, საერთაშორისო ფესტივალებზე მიწვევა და ბევრი თაყვანისმცემელიც მოჰყვა.

— არანაკლებ მნიშვნელოვანი მგონია, რომ არაერთი დიდი იტალიელის რომანი, ნოველა, ლექსი, ესეი თუ წერილი გადმოაქართულეთ. მათ შორის ჩეზარე პავეზე, ალბერტო მორავია, იტალო კალვინო, უმბერტო ეკო, ტონინო გუერა და სხვები — ლეგენდები. როგორია მათ ტექსტებთან მუშაობა? ყოველი ავტორი ხომ თავისებურ მიდგომას ითხოვს მთარგმნელისგან.

— კიდევ ერთ ლეგენდას დავამატებდი, ელზა მორანტეს და მის „ანდალუზიურ თავშალს“, რომელიც მის მეგობარ პაზოლინის ყველაზე მეტად მოსწონდა ელზას შემოქმედებაში. ამ ვრცელი მოთხრობით გაიცნო იგი ჩვენმა მკითხველმა პირველად ქართულ ენაზე. იგივე შემიძლია ვთქვა ჩეზარე პავეზესა და მის მოთხრობაზე „თვითმკვლელები“, რომელიც ჟურნალ „საუნჯეში“ გამოვაქვეყნე. ავტორები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უმბერტო ეკოს შემოქმედება და სტილიც ერთობ კომპლექსურია და ინტერტექსტუალური პასაჟებით სავსე, იტალო კალვინო ლირიკულია, პავეზე მელანქოლიური, გუერა პოეტური. შესაბამისად, ყოველ მათგანს შესაბამისი ინტონაცია, სტილი და რიტმი უნდა მიუსადაგო. ჩემი მიდგომა ძალიან ფრთხილი და კომპლექსურია, რაც იწყება სათარგმნი ავტორის შესახებ მასალების მოძიებით, მისი შემოქმედების ღრმად გაცნობით და მხოლოდ შემდეგ თარგმნით. ასე რომ, მივყვები დღესდღეობით დამკვიდრებული თარგმანის მეთოდს, რასაც 60-იან წლებში ჩამოყალიბებული მეცნიერება Traduttologia — თარგმანთმცოდნეობა გვასწავლის, კერძოდ, სათარგმნი მასალისადმი ინტეგრირებულ მიდგომას და გულისხმობს ლინგვისტური, ანთროპოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური და სხვა მრავალი ასპექტის გათვალისწინებას, ვინაიდან დღეს თარგმანი განიხილება არა როგორც უბრალოდ ლინგვისტური, არამედ, სხვადასხვა დარგის მომცველი სოციო-კულტურული, კულტურათაშორისი მოვლენა.

— განსაკუთრებული შთაბეჭდილება როგორც მთარგმნელსა და იმავე დროს, მკითხველზე, რომელმა იტალიელმა ავტორმა მოახდინა?

— ამბობენ, ავტორის ყველაზე ყურადღებიანი მკითხველი მთარგმნელიაო. ვცდილობ, სისტემატურად ვიკითხო ორივე ქვეყნის ლიტერატურა, უმეტესწილად, პოეზია და აი, კითხვის დროს თუ მყისიერად, სპონტანურად გავაყოლე კითხვას თარგმანი, ვგრძნობ, რომ ეს ჩემია. ასე დამემართა, მაგალითად, ორი გამორჩეული პოეტის, ანტონელა ანედასა და მილო დე ანჯელისის კითხვისას. ორივეს ლექსები შესულია „ცოცხალი წიგნებისა“ და მწერალთა სახლის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემულ კრებულებში: „4+4=~“ და „როცა ქვეყნებს სძინავთ.“ ბოლოხანს, ძალიან გამიტაცა დაჩა მარაინის შემოქმედებამ მისი მრავალმხრივი თემებით და, განსაკუთრებით, ქალთა და ბავშვთა უფლებების საკითხებით, რომლებიც წარმოჩენილია ჩემ მიერ თარგმნილ რომანებში „ხმები“ და „გოგონა და მესიზმრე კაცი“.

საერთოდ, რასაც სათარგმნად ხელს ვკიდებ, მცირე გამონაკლისის გარდა, ნიშნავს, რომ ჩემთვის გამორჩეულია.

— თარგმანების გამოქვეყნების გარდა, აქტიურად მონაწილეობთ იტალიის სხვადასხვა ქალაქში გამართულ ლიტერატურულ ფესტივალებსა თუ საღამოებში, კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში. რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისგან ლიტერატურული ცხოვრება საქართველოსა და იტალიაში, რა პროცესები მიდის, რა ხდება იქ?

— იტალიის ლიტერატურულ ფესტივალებზე, ჩვენგან განსხვავებით, ყოველთვის ხალხმრავლობაა, ეს იქნება მილიონიან ქალაქებსა თუ პროვინციებში, და ისინი რამდენიმე დღე გრძელდება. ამ მხრივ საკმაოდ ინტენსიური ლიტერატურული ცხოვრება მიედინება და არც არის გასაკვირი სამოცმილიონიან ქვეყანაში. თუმცა რაც უნდა უცნაური მოგვეჩვენოს, დღევანდელი ვითარება ცოტა განსხვავებულ სურათს გვთავაზობს: იტალიაში წელიწადში 84 ათასი წიგნი გამოდის, 3 მილიონი პოეტია და სტატისტიკის მიხედვით, 62% მოსახლეობისა წიგნს არ კითხულობს, ამის მიზეზს დაჩა მარაინი ერთ თავის ინტერვიუში ასე ხსნის: „აღარ არსებობს დიდი ღირებულებების ურთიერთგაზიარება, აღრეულია ყველაფერი, მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის სუფევს დიდი არეულობა, წარმოიდგინეთ, დღეს გვყავს ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც გაუთავებლად ხან ერთ მხარეს გადადიან, ხან მეორე მხარეს. ასეთი რამ დიდი იდეალიზმის ეპოქაში არ მოხდებოდა. ერთი სიტყვით, იდეალიზმი გაქრა. ამ ყველაფრის ფონზე, ლიტერატურაში დღეს გვყავს კარგი მწერლები, მაგრამ უჭირთ სამყაროს გლობალური აღქმა, მეტიც, აღარც აინტერესებთ. ალბათ, იმიტომ, რომ აღარ არსებობს სამყაროს გლობალური ხედვა. ჩვენი მწერლები უფრო კონცენტრირებულნი არიან ოჯახის თემებზე. მე ძალიან ბევრი საკონკურსო ჟიურის წევრი ვარ და ბევრი წიგნის წაკითხვა მიწევს, უამრავ ახალგამოცემულ წიგნს ვკითხულობ და ამ წიგნების უმეტესობის თემა არის ოჯახი, უფრო, ოჯახური კრიზისი. აქედანაც ჩანს, რომ მწერლები დიდ თემებს აღარ ეჭიდებიან, ისეთ თემებს, რომლებიც ასახავს ქვეყანას, მის მომავალს. თითქმის გაქრა ეს თემები ლიტერატურაში. რომანები მხოლოდ ოჯახზე იწერება, ეს იქნება დედ-მამის ურთიერთობა, დედა-შვილის, მამა-შვილის, ბავშვებთან უფროსების ურთიერთობა და, რაც საგულისხმოა, ყველა ეს ურთიერთობა არის დრამატული. პოეზიაშიც იგივე ვითარებაა, კინოც ძალიან მიჯაჭვულია კერძო თემებს, თუ გადახედავთ იტალიურ კინოს, სულ იგივე თემებია — ოჯახი, სიყვარული, კონტრასტები თაობებს შორის. ეს თემა ზედმეტადაა გავრცელებული ჩვენში — მშობლებს, რომლებსაც სურთ, ახალგაზრდები იყვნენ, ამის გამო კი ახალგაზრდებს აღარა ჰყავთ ორიენტირი; ერთი სიტყვით, თემები ძალიან, ზედმეტად პრივატული გახდა“. ვფიქრობ, საქართველოში მეტნაკლებად იგივე ვითარებაა.

— საინტერესოა თქვენი ცხოვრება იტალიაში, თქვენი ყოველდღიურობა, თქვენი იტალია როგორია.

— ჩემი იტალია ისეთივეა, როგორიც ბავშვობიდან შემიყვარდა და ჩემი ცხოვრება ისევ იმ იტალიაში, კულტურაში, მუსიკასა და პოეზიაში მიედინება, ოღონდ ჩემი ქვეყნისათვის ყოველდღიური შრომით. პათეტიკურობაში ნუ ჩამომართმევთ, გაღვიძებისთანავე, ჯერ საქართველოში რა ხდება, ის უნდა შევიტყო და მერე გავაგრძელო ჩემი იტალიური ყოფა.

— „ა ორიენტე“ და „სამშობლო გულით სატარებელი“ — ეს ორი სახელი, ერთგვარად, ნაწილია თქვენი იტალიური ბიოგრაფიისა. ასგვერდიანი ორენოვანი, ილუსტრირებული ჟურნალის შედგენა-გამოცემა ანდა ქართველთა სათვისტომოს დაარსება მილანში და მისი მართვა 2011-დან — ალბათ არ არის ადვილი.

— „სამშობლო გულით სატარებელი“ არამხოლოდ ჩემი იტალიური ბიოგრაფიის, ცხოვრების განუყოფელი ნაწილიცაა, ვინაიდან პირველი ქართული სათვისტომოა იტალიაში, დიდებული ქართველი ემიგრანტის, ნინო ყაუხჩიშვილის ინიციატივით რომ დავაარსეთ მილანში 2005 წლის ნინოობის დღეს და მას შემდეგ მთელი ჩვენი გუნდი რუდუნებით, უანგაროდ ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას იტალიაში. არაერთი კონფერენცია, საღამო, კონცერტი, გამოფენა თუ კინოჩვენება გვაქვს გამართული ქართველ და ასევე იმ იტალიელ მწერალთა და ხელოვანთა მონაწილეობით, ვისაც ჩვენს კულტურასთან რაიმე კავშირი ჰქონია. ცხადია, ეს არ არის ადვილი, შორს წამიყვანს იმის მოყოლა, რამდენი ჩაგმანული კარის, დაბრკოლების გადალახვა გიწევს, შიშველი ხელებით მიაღწიო იმას, რაც სხვა ქვეყნებს ეადვილებათ, თუნდაც თავად იტალიას, რომელიც მუსლიმურ ქვეყნებშიც კი აფინანსებს „დანტე ალიგიერის საზოგადოებას“ და ასწავლის იტალიურ ენასა და კულტურას. ხომ არ დადგა დრო, რუსთაველის საზოგადოება ევროპის ქვეყნებშიც გაფართოვდეს, მით უფრო, რომ არის ამის მოთხოვნა იტალიაში. „სამშობლო გულით სატარებელი“ ატარებდა წლების წინათ ქართული ენის კურსებს, მაგრამ უსახსრობის გამო ვეღარ შევძელით საქმის გაგრძელება. სირთულეებზე სწორედ რუსთაველთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გამახსენდა: სამი წელი ვეძებდი 1998 წელს რაგუზაში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანის ავტორს. გამომცემლობა უკვე აღარ არსებობდა, ბოლოს, მილანში მივაკვლიე უკვე ხანდაზმულ ანტონიო ბონელის. მოვიწვიეთ და 2013 წელს ნინოობის ზეიმის ფარგლებში „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემიდან 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით პრეზენტაცია გავმართეთ. რაც შეეხება „ა ორიენტეს“, ცნობილი ქართველი და იტალიელი ავტორების, ასევე, მთარგმნელების მიერ უანგაროდ მოწოდებული მასალებისაგან შედგენილი ჟურნალია, რომელიც ქართულ კულტურას, მუსიკას, ისტორიას, ლიტერატურას და ქართულ-იტალიურ ურთიერთობებს ეძღვნება. წელიწად-ნახევარი შევალიე ჟურნალის მასალებისა და ავტორების შერჩევას, მინდოდა, იტალიელ მკითხველს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეჰქმნოდა საქართველოზე, ვინაიდან მსგავსი ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ჩვენი ქვეყნის შესახებ მანამდე არ გამოსულა იტალიაში, ალბათ ამიტომაც ექვსჯერ გამოიცა და დღესაც მოთხოვნადია. თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ჩვენი საზოგადოების საქმიანობა. ვეხმარებით საავადმყოფოებსა თუ საპყრობილეში მყოფ თანამემამულეებს, ასევე, ახალგაზრდებს, რომელთაც იტალიაში სწავლა სურთ და რომელიმე სასწავლებელში თანხლებასა და თარჯიმნობას საჭიროებენ. 2008 წელს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ლა სკალას წინ ორი საპროტესტო აქცია ჩავატარეთ, პანდემიის დროს უშუალო დახმარებას ვუწვდით გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულეებს. ბევრს აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, ერთი დღე არ მიცხოვრია ემიგრანტებსა და ჩემი ქვეყნისათვის ზრუნვის გარეშე. მაინც ვერ ავცდი პათეტიკას. მაპატიეთ.

— რაზე მუშაობთ ახლა? რა გეგმები გაქვთ?

— ამჟამად ჩემს კოლეგა მანანა ტოფაძესთან ერთად ვამთავრებ თანამედროვე იტალიური რომანის ფუძემდებლის ალესანდრო მანძონის ისტორიული რომანის „დანიშნულების“ თარგმნას; შევუდექი მუშაობას დაჩა მარაინის ისტორიულ რომანზე „მარიანა უკრიას ხანგრძლივი ცხოვრება“. უჯრაში კიდევ ბევრი პროექტი მიდევს და, იმედია, მათ განხორციელებასაც შევძლებ.

ესაუბრა თამარ ჟურული



გმირის სიკვდილი

ქალაქში, სადაც ადამიანებს გასართობი აკლდათ, კომიტეტმა დაიქირავა კაცი, რომელიც ეკლესიის წვერზე უნდა აცოცებულიყო და იქიდან გადმომხტარიყო — თავი მოეკლა. ამის საფასურად 500,000 შეჰპირდნენ. საზოგადოების ყველა ფენასა და სფეროში ამ წამოწყებამ მწველი ინტერესი გამოიწვია — სულ რაღაც რამდენიმე დღეში ბილეთები პირწმინდად გაიყიდა და საუბრის ერთადერთ თემად იქცა. ყველა ფიქრობდა, რომ ეს ძალზედ გაბედული რამ იყო, მაგრამ მერე, რა თქმა უნდა, მიიჩნევდნენ, რომ საფასური სათანადოდ შესაფერისი იყო. გადმოვარდნა და თავის მოკვლა სასიამოვნო არავისთვისაა — და თანაც, ასეთი სიმაღლიდან. თუმცა, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ გადასახდელი თანხაც მშვენიერია. სინდიკატი, რომელმაც ყველაფერი მოაგვარა, თვითონ, რასაკვირველია, ამ საქმეში არანაირად გარეულა და ადამიანებს ეამაყებოდათ, რომ ქალაქში ასეთი დაწესებულების ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო. ბუნებრივია, მთელი ყურადღება იმ კაცისკენ იყო მიპყრობილი, რომელმაც ამ საქმის შესრულება საკუთარ თავზე აიღო. ჟურნალისტები მას დიდი ხალისით ესხმოდნენ თავს, რადგან წარმოდგენამდე სულ რამდენიმე დღეღა იყო დარჩენილი. კაცმა ქალაქის ყველაზე მოდური სასტუმროს ლუქსში მათ თავაზიანად უმასპინძლა.

— ჩემთვის ყველაფერი ეს მხოლოდ იმ თანხის საკითხია, რასაც იხდიან, — თქვა მან, — თქვენთვის ცნობილია, რა თანხაც შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. სულ ეს არის.

— მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ სიცოცხლესთან გამოთხოვება უსიამოვნოა? ჩვენ, რა თქმა უნდა, საჭიროებას ვაცნობიერებთ, სხვანაირად ასეთ სენსაციას არც გამოიწვევდა და სინდიკატიც ამდენს არ დაგპირდებოდათ, თუმცა თქვენთვის ამის გაკეთება არც თუ ისე სასიამოვნო უნდა იყოს.

— მართალი ბრძანდებით და ამაზე ფიქრმა მეც შემიპყრო, თუმცა ვიღაც ფულის გამო ყველაფერს აკეთებს.

ასეთი განცხადებების საფუძველზე, აქამდე უცნობი კაცის, მისი წარსულის, შეხედულებების, ყოველდღიური პრობლემებისადმი მისეულ დამოკიდებულებათა, ხასიათისა და პიროვნულობის შესახებ გაზეთებში ვრცელი სტატიები ქვეყნდებოდა. მის ფოტოს ყოველი გაზეთის ფურცლებზე წააწყდებოდით. ძლიერი ახალგაზრდა კაცის ფოტო იყო. მასში განსაკუთრებულს ვერაფერს შეამჩნევდით, თუმცა გამბედავი და ჯანმრთელი ჩანდა და გულღია, ენერგიული გამომეტყველება ჰქონდა — საუკეთესო ახალგაზრდა თაობის ტიპური წარმომადგენელი, მზადმყოფი და ხმაურიანი. ამბავს ყველა კაფეში განიხილავდნენ, ხალხი კი მოახლოებული სენსაციისთვის ემზადებოდა. ახალგაზრდა სიმპათიური მამაკაცი ქალებს საოცრებადაც კი მიაჩნდათ. ისინი, ვინც გაცილებით საღად აზროვნებდა, მხრებს იჩეჩავდნენ; ჭკვიანური საქმეაო, ამბობდნენ. თუმცა ერთ სიკითხში ყველა ერთსულოვანი იყო — იდეა უცნაური და ფანტასტიკური გახლდათ და ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს შესანიშნავ ეპოქაში შეიძლებოდა, მომხდარიყო თავისი აურზაურითა და სიძლიერით და ყველაფრის მსხვერპლშეწირვის უნარით. ყველა თანხმდებოდა იმაზეც, რომ სინდიკატი ყველანაირ ქებას იმსახურებდა, რადგან როცა საქმე ამგვარი რამის მოწყობას შეეხო, არც ხარჯები დაინანეს და ხალხსაც საშუალება მისცეს, ასეთ სპექტაკლს შესწრებოდა. ეჭვი არავის შეჰპარვია, ხარჯი ბილეთების მაღალი ფასითაც დაიფარებოდა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს ნაბიჯი რისკის შემცველი იქნებოდა.

როგორც იქნა, დიდი დღეც დადგა. ეკლესიის შემოგარენი მაყურებლით გადაიჭედა. მღელვარებამ პიკს მიაღწია, სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა გიჟური მოლოდინისგან, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო — ყველა სუნთქვაშეკრული იდგა.

და მამაკაცი გადმოვარდა — გარდაიცვალა. ხალხი შეძრწუნდა. მერე ადგნენ და შინისაკენ გაეშურნენ. გარკვეულ იმედგაცრუებას გრნობდნენ. ყველაფერი საუცხოოდ იყო, თუმცა... მამაკაცი მხოლოდ გადმოვარდა და თავი მოიკლა. ის რაღაც, რაც ასეთი მარტივი იყო, ასეთ თანხად არ ღირდა. რა თქმა უნდა, მამაკაცი საშინლად დასახიჩრებული ეგდო. პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ასეთი მსხვერპლი გაიღო. ხალხი შინ გაღიზიანებული და უკმაყოფილო დაბრუნდა; ამით ვინ რა სიამოვნება მიიღო? ქალებმა თვალი აარიდეს. არა, ასეთი საშინელი რამეები ნამდვილად უნდა აიკრძალოს. დაფიქრებისა და აწონ-დაწონვის შემდეგ ყველაფერი ეს სამარცხვინო იყო.

თავგადასავალი

შავაფრეებიანი გემი ჩემს წასაყვანად ჩამოდგა. და მეც გემბანზე ხალისით ავედი. შესაძლოა, ხანმოკლე მოგზაურობის სურვილიც გამაჩნდა. ამასთან ერთად ახალგაზრდა და უზრუნველი ვიყავი და ზღვისადმი ლტოლვასაც განვიცდიდი. სანაპიროს გავცდით, რომელიც ჩვენს მიღმა უმალ გაუჩინარდა და გემიც ზურგის ქარის წყალობით სტაბილურად წინ მიიწევდა. იმ ეკიპაჟის წევრები, ვისაც ვეკონტაქტებოდი, მკაცრნი და მძიმე ხასიათის იყვნენ. გემბანზე ერთმანეთს იშვიათად თუ დაველაპარაკებოდით. მივცურავდით და მივცურავდით, დღისით და ღამით, ძალიან დიდხანს და ერთი და იგივე მიმართულებით. ხმელეთისთვის თვალი ერთხელაც არ მოგვიკრავს. მივცურავდით წლიდან წლამდე; ზღვა ცარიელი იყო, ქარი — ზურგის. მიწა არსად ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს უცნაურად მეჩვენებოდა და ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, რომ სამყარო აღარ არსებობდა — ის განადგურდა, სიღრმეში ჩაიძირა. მხოლოდ ჩვენღა დავრჩით.

ვფიქრობდი, რომ ეს ამაღელვებელი იყო. ისევ დიდხანს მივცურავდით. ზღვა ცარიელ სივრცესავით გაწოლილიყო. ქარი შავ აფრებს აფრიალებდა. ყველგან სიცარიელე სუფევდა; ჩვენ ფეხქვეშ მხოლოდ სიღრმეები იყო. მერე საზარელი ქარიშხალი ამოვარდა. ზღვა ღრიალებდა და გარშემო აზვირთებულ ტალღებში ვეხვეოდით. სიბნელეში ვიბრძოდით. ქარიშხალი არ ჩადგა, არც სიბნელე წასულა სადმე. წლების მანძილზე ასე გრძელდებოდა. ღრუბლები შავ იალქნებს კვალდაკვალ მისდევდნენ; ყველაფერი გადაშავებული და ცარიელი და უკაცრიელი იყო. ვიბრძოდით ღამით, ტანჯვა-წამებით და გაჭირვებით, გულგატეხილნი და შეშფოთებულნი, ნერვებდაგლეჯილნი უკეთესობის იმედზეც ვერ ვოცნებობდით.

მერე, ბოლოს, მსხვრევის გამაყრუებელი ხმა მოგვესმა. მძლავრმა ტალღამ ზღვაში ამოზრდილი კლდისკენ მოგვისროლა. გემი ნაწილებად დაიშალა; კლდეს ვიყავით ჩაბღაუჭებულნი. განადგურებული გემის ნამსხვრევები და იალქნების ნაფლეთები ირგვლივ ტივტივებდა; მიწას სწრაფად მივეწებეთ. საბოლოოდ განათდა და დანახვა შევძელით. პატარა კუნძული, რომელმაც გადაგვარჩინა, კლდოვანი და ბნელი აღმოჩნდა. აქ მხოლოდ ქარიშხლისგან მოგლეჯილი ერთადერთი ხე იყო — არც ყვავილები და არც სხვა რაიმე მცენარე. სწრაფად მივეწებეთ. ბედნიერნი ვიყავით. ლოყებით მიწას შევეხეთ და სიხარულისგან ვტიროდით. ეს ის სამყარო იყო, რომელიც დასაბამს ისევ სიღრმეებიდან ეპირებოდა.

ბოროტი ანგელოზი

შუაღამისას უკაცრიელ ქუჩებში ბოროტმა ანგელოზმა ჩაიარა. მწკრივად ჩარიგებულ სახლებს შორის ქარიშხალი ყმუოდა, მაღლა, ბნელში მძვინვარებდა; ბოროტი ანგელოზის გარდა სულიერი არსად ჭაჭანებდა. წელში მოხრილი, უხეში და ღონიერი ქარს უსიტყვოდ მიაპობდა. ტანთ სისხლივით წითელი მანტია მოესხა, რომელიც უზარმაზარ ფრთებს უმალავდა. ის იმ ტაძარს გამოექცა, სადაც ნესტის აყროლებულ სუნში საკმაოდ დიდხანს იდგა. საუკუნეების მანძილზე მისი გუმბათის ქვეშ ცვილის სანთლების და საკმევლის მძაფრ სურნელს იყნოსავდა. საუკუნეების მანძილზე საქებარ საგალობლებს და იმ ღმერთისადმი აღვლენილ, ნაბუტბუტარ ლოცვას ისმენდა, ზემოთ მკვდარი რომ ეკიდა. საუკუნეების განმავლობაში დაჩოქილ, ზეაპყრობილი თვალებით უთავბოლოდ რომ ლუღლუღებდნენ იმ ყველაფერზე, რისიც სჯეროდათ. აყროლებულ უამრავ სიცრუეში მყოფი მხდალი ბრბო! ეს გულისამრევი დაბნეულობის და დარდის გროვა და უბადრუკი იმედი იმისა, რომ თავს დააღწევ, ისევ შეძლებ, ცხოვრებას ჩაებღაუჭო! ახლა ამ ყველაფერს გამოჰქცეოდა!

ბორკილებისგან გათავისუფლდა და საკურთხეველში ღონიერი ფეხებით დააბიჯა, წმინდა ნივთები ძირს გადმოყარა. ეკლესიის ქვედა სართულზე განრისხებულმა შეაბიჯა და მუხლის მოსაყრელ ბალიშებს წიხლი ჰკრა. გარშემო კედლებზე ღვთისმოსავი, აღტყინებულ გამომეტყველებიანი წმინდანთა გამოსახულებები ეკიდა; გისოსებს შიგნით მოთავსებულ სიწმინდეებს ლპობის სუნი ასდიოდა; გვერდითა სამლოცველოში, სადაც სინათლე ენთო, დაობებულ ჩალაზე ყრმა იწვა და მის გვერდით ცვილის ღვთისმშობელი მუხლებზე დამხობილიყო — სიცრუის და სიბრიყვის მთელი ეს ნაგავი! კარი წიხლით შეაღო, ქარიან ღამეში გარეთ დადგა.

მხოლოდ თვითონ იყო მართალი!

ქუჩებში დასეირნობდა, ჩერდებოდა და საკუთარ თავს შეჰყურებდა, ოჰ, აი, ასე ცხოვრობდა კაცობრიობა.

ერთი სახლის ჭიშკართან შედგა, სახლს ჩამქრალი თვალებით ახედა. მერე კარზე იმ ხმლით, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, ჯვარი ამოკაწრა. „შენ მოკვდები!“ — თქვა მან.

მერე მოკუზული სხვა სახლსაც მიადგა; უზარმაზარ მხრებზე გამობმული ფრთები კუზიანის გარეგნობას აძლევდა. აქაც შეჩერდა, ისევ ჯვარი ამოკაწრა. „შენ მოკვდები!“ — თქვა მან.

სახლიდან სახლამდე ასე დაიარებოდა და იმ მოკლე და სქელი ხმლით, თითქოსდა დასაკვლელად რომ ჰქონდა მომარჯვებული, ჯვარს კაწრავდა.

„შენ მოკვდები. შენ მოკვდები. და შენ მოკვდები. და შენ მოკვდები“.

„და შენ!“

მთელი ქალაქი ასე დაიარა, ქარს ებრძოდა, არავინ ახსოვდა.

როცა საქმიანობა მოამთავრა, ციხესიმაგრის ჩაბნელებულ გალავანს მიადგა, სადაც არავინ ცხოვრობდა. მანტია გაიძრო, შიშველი დადგა და ფრთებგაშლილი ფართოდ გადაშლილ სიბნელეს შეერია.

დილით, როცა ადამიანებმა გაიღვიძეს, სახლებზე მიხატული ჯვრებით გაოცებულნი დარჩნენ. თუმცა არ შეშინებიათ. აინტერესებდათ, ეს როგორ მოხდა და რატომ გააკეთეს; ამ ამბავზე ისევე საუბრობდნენ, როგორც ჩვეულებისამებრ სამსახურში წასვლამდე. ყველგან რატომ ამოტვიფრეს ეს კარგად ცნობილი მინიშნება? მათთვის შესახსენებლად გაცილებით დიდი მნიშვნელობის მქონე სხვა რამეებიც ხომ მრავლად არსებობდა?

„ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მოვკვდებით“ — თქვეს მათ.

თარგმნა მაია ბოლაშვილმა



გაკვეთილი

დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასი. მიმდინარეობს გაკვეთილი. ორი დიდრონი, თეთრ მთვარესავით აბაჟური ზემოდან დანათის ოფლიან და მოუსვენარ ბიჭუნათა მერხების მწყობრ მწკრივს.

ისინი წერენ.

მათ წინაშე ფარაონივით გამომწვევად დგას დამაბრმავებლად თეთრი კანის ფერის მასწავლებელი ქალი. სივრცეში ისმის — ოხვრა, ჩურჩული, ოცნება და კბენის ხმა.

ექვსჯერ რვა — ორმოცდარვა! ხუთჯერ ხუთი — ოცდახუთი!

„კაი იქნებოდა, ვინმეს მოვფერებოდი...“ — ფიქრობს კუთხეში მჯდომი ჭორფლიანი და უჟმური ბიჭუნა.

— არითმეტიკა, ბავშვებო, დიდი მეცნიერებაა! — ამბობს მასწავლებელი.

ჩხაპ, ჩხაპ! ისმის კალმის წვერით ფურცელზე ჩხაპნის ხმა...

ნუ ცელქობთ! ნუ ცელქობთ!

„სად წავალ ახლა? — ფიქრობს მეორე კუთხეში მჯდომი სქელი, ხარაბუზასავით ბიჭუნა, — ვერსად!.. ფეხბურთის თამაში მე არ ვიცი... თან შეიძლება, შემაშინონ!“

მოსწავლეთა თავებში ირევიან და სხლტიან პაწაწინა, ჯოჯოხეთური აზრები.

„ნეტავი ვინმე მაცემინა! — რაღაც მშობლიური უთრთის საკუთარ თავში ერთერთს, — ფანჯარა დიდია, როგორც ადამიანი!.. და როდესაც დერეფანში გავალ, ისევ მე გამლახავენ!.. და სახლამდეც ვერ მივაღწევ, იმიტომ რომ ხალხში უნდა ვიარო, მე კიდევ გასუსვა მინდა!“

მაქმანები, მაქმანები... — თეთრი მასწავლებელი მიდის დაფასთან და შიშველი მკლავებით აღტაცებული წერს სიტყვებს.

პატარა ღიპუცა ბიჭუნა პირველ მერხზე სულ გარინდულა და მშიერი მზერით ჩასცივებია მასწავლებელს ზურგში.

„რატომაა, რომ ტვინი განთავსებულია თავში და არა სხეულში?“ — უცნაურად მინაბული მზერით ფიქრობს მასწავლებელი, — „იქ ხომ სულ ისეთ სიმყუდროვესა და სიმსუბუქეში იქნებოდა?..“

შორდება დაფას და მუცლით ეყრდნობა წინა მერხს.

„მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ჩემი მუცელი მიყვარს...“ — ასკვნის თავისთვის.

„ოჰ, როგორ მეშინია მასწავლებლის, — ფიქრობს კუთხეში მჯდომი ჭორფლიანი ბიჭუნა, — რატომ იცის ამდენი?.. და ასეთი ჭკვიანია რატომაა?.. და ალბათ ისეთი რამეც იცის, რაზეც ფიქრიც კი საშინელებაა!..“

ისმის ზარის ხმა. თეთრი მასწავლებელი გადის საკლასო ოთახიდან და მიემართება ცარიელი, ფართო დერეფნების გავლით. მის ირგვლივ მხოლოდ ჰაერია. გზად კაციშვილი არ ხვდება. ბოლოს და ბოლოს, ის სამასწავლებლოში შედის. იმდენი ხალხი ირევა იქ — ასე მოულოდნელად შემოსულები... დამხვდურები რაღაცებზე ფიქრობენ, ნაწილი საუბრობს. თეთრი მასწავლებელი წყლიან გრაფინთან მიდის და სვამს.

„როგორი ყინულივით ტყვიაგაუმტარი წყალია...“ — უვლის აზრი, — ნეტავი არ მოვკვდე... ასე რატომ შემცივდა გულისფიცართან? — და იქვე ეშვება სავარძელში.

„კი მაგრამ, რატომაა ყველაფერი ასე მტრულად განწყობილი? — ამ ფიქრებში სავარძლიანად ირწევა. — მხოლოდ კარადაა კეთილი!“

ამ დროს, უცებ, ირგვლივ ყველა საქმით კავდება.

წერენ, წერენ და წერენ! ოთახში უმალ სერიოზულდება განწყობა.

თეთრ მასწავლებელს უახლოვდება ბიჭუნა დღიურით ხელში.

— მომიწერეთ ხელი, ანა ანატოლიევნა, თორემ მამა მიბრაზდება სახლში!

თეთრი მასწავლებელი ადგილზე კრთება, არაფერს პასუხობს და თავისთვის ბუტბუტებს:

— ამას ნუთუ მე მეუბნებიან?.. და მე რა — განა ანა ანატოლიევნა ვარ?! რატომ უნდა რომ მაწყენინოს? „მე“ — ეს ძალიან უზარმაზარი და შეუცნობადია, რომ უბრალოდ და მხოლოდ ანა ანატოლიევნა ვიყო!.. და საერთოდ, რა მაქვს ამ ყველაფერთან მე საერთო?“

თეთრი მასწავლებელი მაინც ზიზღით ართმევს ბიჭუნას დღიურსა და კალამს.

„მე ხელს დღიურში კი არ ვაწერ, — უეცრად რაღაც უხითხითებს მასწავლებელს გულში, — მე ვაწერ ხელს განაჩენს! განაჩენი — სიკვდილი! ჩამოხრჩობით! და მე აქ მთავარი უფროსი გახლავარ!“

თეთრი მასწავლებელი უთვალიერებს ბიჭუნას გაფითრებულ, მაგრამ მაინც მხნე სახეს და იღიმება. მცირე ჟრჟოლაც უვლის შიგნიდან, სულზე, საკუთარი ძალაუფლების შეგრძნებით აღფრთოვანებულს.

— ძვირფასო, როგორ მიდის რეორგანიზაციის საქმე? სადაა ანგარიშები? — მოულოდნელად აწყვეტინებს ჟრჟოლას თეთრ მასწავლებელს ვიღაც დაჭმუჭნილი მამრი მასწავლებელი და კინაღამ სახეში ადორბლავს გრაფინიდან ნაყლაპ წყალს, — ვაიმე, ვაიმე!.. მე კიდევ წყალი გადამესხა!.. გავიქეცი!

ისევ ზარია. თეთრ მასწავლებელს თვალები ოდნავ მოჭუტული აქვს — ისე, რომ ვერაფერს ხედავდეს და ასეთი შედის საკლასო ოთახში.

...მაქმანები, მაქმანები, მაქმანები.

„კარგი იქნებოდა, გადავაფურთხო “ — ფიქრობს ჭორფლიანი და მოუსვენარი ბიჭუნა კუთხეში.

ექვსჯერ რვა — ორმოცდარვა, ხუთჯერ ხუთი — ოცდახუთი!

თეთრი მასწავლებელი დგას კლასის წინაშე და ტირის, თუმცა მის ცრემლებს ვერავინ ხედავს. მან, უბრალოდ, სულში იცის ტირილი, თან ისე, რომ ცრემლი თვალს არ ადგება...

პირველ მერხზე მჯდომ პატარა ღიპუცას საყელოზე მელანი გადაუსხამს.

„მე დღეს ალბათ მოვკვდები? — კვნესის გასივებული ხარაბუზა მეორე კუთხიდან. „მოვკვდები იმიტომ, რომ დღეს ნაყინი არ მიჭამია... თან ხომ ძალიან მარტოსული ვარ...“

თეთრი მასწავლებელი იმეორებს წესს. და უცებ ოფლიანდება...

„სიმართლე ითქვას, მე ხომ... — უკვე ასე ფიქრობს, — იმპერატორი ვარ!.. ჩემი გვირგვინი — ჩემივე ნაზი და მგრძნობიარე ფიქრებია, ხოლო ძვირფასი ქვები კი — ჩემივე სიყვარული ჩემდამი!“

„კბენაა საჭირო, კბენა! — ასკვნის ჭორფლიანი ბიჭუნა, — მაგრამ იქნებ ანა ანატოლიევნამ ჩემი ფიქრები უკვე იცის?“

გაკვეთილი გრძელდება.

მისტიკოსი

ეს ეზო მოსკოვის შემოგარენის უვიწროვეს, მწვანეხეებიან ქუჩაზე მდებარეობს და პაწაწინა, ყველაფრისგან მოწყვეტილ ქალაქს ჩამოჰგავს. იშვიათად თუ ჩაიხრიგინებს აქ, ღმერთმა უწყის საიდან გამომტყვრალი, მტვრიანი და გრუხუნა სატვირთო ავტომანქანა. საკუთრივ ეზოს კუთხეში, დანით უმოწყალოდ დასერილი რუხი ნეკერჩხლის ქვეშ, თავი შეუფარებია მყუდრო, მაგრამ თან მობინძურო ალაგს ხის გადაბრეცილი მაგიდითა და ჭუჭყიანი სკამებით.

ზაფხულის გრილ საღამოობით, როდესაც ორსართულიანი ეზოს სახლთა ჩამოქცეული სხვენებიდან გაუთავებელი სიმღერისა და კატათა ჯღნავილის ხმა ისმის, ამ ალაგისკენ ტრადიციულად მიემართება პაშა — ჯანღონიანი, 40 წლის, ჩამოგრძელებული ქვედა ტუჩის მსგავსი დონდლო ღიპის მქონე მამაკაცი.

სწორედ აქ, ხალხს რომ შეყრის, პაშა დინჯად და დეტალურად იწყებს თავისი გრძელი და გემრიელი ისტორიების მოყოლას საიქიო ცხოვრების შესახებ, თუ როგორ მოინახულა იმქვეყნიურობა.

მოსასმენად მეზობელი ქუჩებიდანაც კი მოდიან. ასეთებს თან მოაქვთ საჭმლიანი ლანგრები, ცხვირსახოცები და პაშას გარშემო, პირდაპირ მწვანე ბალახზე ირთხამენ ფეხს. ერთი დიდმკერდა ქალი ერთი წლის თოთო შვილთან ერთად უერთდება მსმენელს, და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს გამუდმებით სძინავს, ქალი მას სახით მუდამ მთხრობლისკენ ატრიალებს ხოლმე.

პაშა თხრობას, როგორც წესი, ნახევრადშიშველი, მხოლოდ ფარღალალა საძილე მაისურსა და ფართო შარვალში გამოწყობილი იწყებს — ასე რომ, ყველა ხედავს მის ბანჯგვლიან, თმახშირ მკერდს, და თან კი პაშას შარვლის ჯიბიდან ყოველთვის მოუჩანს ხოლმე შებოლილი თევზის კუდი.

მისი გულმხურვალე თაყვანისმცემლები — ორი-სამი ინვალიდი, პიონერის ჰალსტუხიანი, ერთი გალეული დედაბერი და დაბნეული, თუმცა კი დაკვირვებული მუშაკაცი არიან. სხვებისგან განსხვავებით, ისინი წრეზე რკალად სხედან პაშას გარშემო.

ვიღაც თავშენახული და რაციონალური შესახედაობის სათვალიანი ბერიკაცი ამ დროს ქაღალდის ჭუჭყიან ნაგლეჯებზე რაღაცას ისტერიულად და გამალებით წერს.

და ამ დროს, პაშას ლეგენდარული მონოლოგის დაწყებამდე, უახლოეს სახლის ფანჯარაში ჩნდება მოღლილი და გამხდარი ლიდოჩკას ფიგურა. ის ადგილობრივი ეზოელი ბოზანდარა და ამავდროულად პაშას მიღმიერი ისტორიების უპირველესი თაყვანისმცემელია. მას უცნაური, ტალახის თუ შარდის შხეფებით მოსვრილი კაბა მოსავს, აქვს დაღლილი, ცაში უფლისმაძიებელი მზერა და გზისპირა, მტვრიანი და მიმჭკნარი გვირილებისგან შეკრული გვირგვინი ადევს თავზე.

პაშა მძიმედ ატრიალებს ფიქრებით დამძიმებულ თავს და ტუჩების ცმაცუნით იხმობს თავისთან. 19 წლის ლიდოჩკა აღტაცებით გამორბის პაშასკენ.

ადგილობრივი, მოღუშული და გაქსუებული ქალები უკვე მიეჩვივნენ ლიდოჩკას, და მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მათ ქმრებთან ნებივრობს, მაინც ღრმა სულიერებით უყვართ ის. უყვართ იმიტომ, რომ კარგად უწყიან — ქმრები მათ მაინც უღალატებენ, საკუთარ ჩრდილთანაც კი დაწვებიან ცოლების ჯინაზე, როგორც ის მაღალი და ყურპანტურა მეზობელი მეორე სართულიდან, და რომ არა ლიდოჩკა, მეზობლის ქალებს უსრულ და ბინდბუნდიან საღამოობით აღარაფერზე ექნებათ სალაპარაკო... მით უმეტეს, რომ გარდა პაშას მიღმიერი ამბებისა, ერთადერთი სულისმოსათქმელი მათთვის სწორედ ლიდოჩკასა და მის ამურულ თავგადასავლებზე სახემოღრეცილი ჭორაობაა. ასეთ ჭორაობას, როგორც წესი, ის ქალი იწყებს, ვისი ქმარიც იმხანად ლიდოჩკასთან ერთად დაძვრება, და ეს ცოლიც დაწვრილებით, თანმიმდევრულად და აღტაცებით ტლიკინებს, თუ რა ფული დაახარჯა მისმა ქმარმა ლიდკას, რამდენი ქვაბი და ლურსმანი აჩუქა და ასე შემდეგ...

ეს ძალიან სახალისო მოსასმენია, ამიტომაც ქალებისთვის ლიდოჩკა ყოველმხრივ მისაღები პიროვნებაა.

ლიდოჩკა სკამებს შორის იკვლევს გზას და პაშას ფერხთით, მიწაზე, ჩვეულებისამებრ ცისკენ მზერააწვდილი წვება. მეძავობის გარდა მის საყვარელ გართობას ცაში შორეული ღრუბლების ცქერა წარმოადგენს.

შემდგომ პაშა იწყებს ლაპარაკს ჩახვეულებით — თავიდან მორიდებით, პირზე სანახევროდ ხელისგულაფარებული, მერე კი, თანდათან, სულ უფრო უმატებს და უმატებს ხმას:

— ესე იგი, ეს მოხდა ზუსტად წინა პარასკევის წინა დღეს!.. მე სრულიად შეცდომით აღმოვჩნდი იმქვეყნად!.. და მერე, როდესაც იქ აღიარეს ეს შეცდომა — ამოვყვინთე ისევ უკან!..

ამ მომენტში პაშა ფრთხილად იღებს ჯიბიდან შებოლილ თევზს და მის ყურადღებით მოყნოსვა-შესწავლას იწყებს.

— მინდა, გითხრათ, რომ იმქვეყნიურობა ძალიან საინტერესოა!.. საიქიო სამყარო თავად საოცრებაა! — განაგრძობს თან პაშა, — იქ ყველაფერი ისე კი არაა, როგორც ჩვენთან! სულ თავიდან — შემეშინდასავითაც! ვიღაც გონებასუსტი არსებასავით ვწიოდი და არ ვიცოდი, სხვა რა მექნა!.. იქ ისაა ცუდი, რომ საითკენაც არ უნდა წაეთრე, ყველგან თხრილივით უფსკრულია გარშემო! თან იმხელაა, აი, როგორც, სიტყვაზე, ირმის ნახტომი! საიდანაც არ უნდა მიუდგე, სულ კიდეზე იმყოფები, მაგრამ მერე და მერე კი მივეჩვიე. ქალებს რაც შეეხება, გოგოებს ვგულისხმობ — არა და არა!.. იმიტომ, რომ ვერაფრით ვერაფერს უზამ!.. ყველანი თითქოსდა ჰაერ-ოვნები არიან, თუმცა სიყვარული ვისიც გენებოს — თავისუფლად შეგიძლია! ეს იმიტომ, რომ იქ ძირითადად საუბრების გამო უყვართ ერთმანეთი. თუკი ვინმე ვინმეზეა შეყვარებული, სხედან მთელი დღე ერთად და ერთმანეთში ათას სისულელეზე ყბედობენ... აი, ესაა მთელი იმქვეყნიური სიყვარული!.. ზოგიერთი იქაური ამბობს, რომ იქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვენკენ!..

ამ მომენტში, პაშას გარშემო მყოფი დედაკაცები და დედაბრები ერთხმად იწყევლებიან.

— საშინელებაა! — იმეორებს პიონერის ჰალსტუხიანი დედაბერი.

— თუკი ვინმე ძალიან შეტოპავს სიყვარულში, — ცოცხლდება პაშა, — ასეთებისთვის არსებობს ხუფი! ის მოსიყვარულე მზერიდან განიკვირტება და ყველას საერთო სივრცეში აქცევს... მაგრამ იქ მაინც ყველა შორი-შორსაა!.. უკვე სულიერად!.. სხვა ხუფებისგან შორს!

უცებ პაშას მზერა ცხოველური სევდით ევსება, და ის ნაჩქარევად იწყებს გამხმარი თევზის კბეჩას.

— რა გჭირს, პაშა? — მორიდებით ეკითხებიან.

— მეგობარი დავკარგე მე იქ! მხოლოდ სიზმარშიღა მეცხადება ხოლმე!.. ყველაფერი კი ასე იყო: გადავწყვიტე, სადაც მოხვდი, უპირველესად, მამილო მომეძებნა დედილოსთან ერთად!.. ბაბუაც! მაგრამ ეგრე სადაა? ხალხია — ულევი! ვერ დაითვლი, იმდენი არიან! ვერც მიხვდებით, გარშემო ნათელია თუ ბნელია!.. მთვარე, მზე და ვარსკვლავები არსად ჩანან... მხოლოდ ეს საყოველთაო თხრილივით უფსკრული იქცევს ყურადღებას! ცხადია, მოვიწყინე, და თავის ჩამოხრჩობაზეც კი გამეფიქრა... ბორიალობ, ბორიალობ, სულ ხალხში ხარ თითქოს, და თან კი მაინც განზე იმყოფები!.. აი, როგორც თევზებშია!.. და ამ დროს შემომეფეთა ერთი მსუქანი კაი კაცი! ენტიმი ერქვა! ბაბილონელი აღმოჩნდა... პროფესიით — მექისე! ხუთი ათასი წლის წინ მომკვდარა! რაღაც ზედმეტად ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა... სიხარულისგან ადგილზე აკუნტრუშდა კიდეც! გავედით განზე და ზემოთ და დავიწყეთ აქეთურ-იქითურის მოყოლა! მომიყვა — როგორ მოკვდა... თურმე — დალაქის ხელით! საშინლად ცუდად ალესილი ნაჯახი ჰქონია დალაქს და იმით მოუღო ამას ბოლო...

ეზოს სულ უფრო იპყრობს სიჩუმე, როგორც იმ საერთო კრებაზე, სადაც საზოგადოებაში უმკაცრესი მოქცევის წესები უნდა დადგინდეს, და ასე გრძელდება მთელ საათს. საათნახევარსაც. ხანდახან რომელიმე გამხმარი დედაბერი თუ დაიფრენს ვინმე გაუზრდელ ბიჭუნას განზე.

და ბოლოს, პაშა ამთავრებს.

პირველი ფეხზე ლიდოჩკა დგება. მისი მზერა ცრემლითაა დაბინდული. ის თავზე გვირგვინს ისწორებს და პაშას ხელს ჰკიდებს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც ლიდოჩკა უფასოდ ეძლევა — პაშაა, და ცრემლები ლიდოჩკას თვალებზე, ეს ის პაწაწინა ბროლებია, რომლებითაც გადის ვიწრო გზა პაშასა და სხვა მაღალი რანგის არსებების გულებისკენ.

ბოლოს სიმშვიდე ისადგურებს. ლიდოჩკა იღებს გიტარას, ჯდება მოღრეცილ მაგიდაზე და მღერის „ბლატნოი“ სიმღერებს. მერე შემოღამება იწყება.

პირველები ლიდოჩკა და პაშა მიდიან. მიაბიჯებენ ერთმანეთს ჩახვეულები — დონდლო-ღიპიანი მამაკაცი და გამხდარი, თუმცა კი, წარმოსადეგი გოგო დალაქავებულ კაბაში.

მეზობლის ქალები და დედაბრები მათ მზერას აყოლებენ და ეჩვენებათ, რომ ლიდას გვირგვინის გვირილებიდან უსათნოესი, იდუმალი ნათება მოედინება.

— წმინდანია! — ამბობენ ისინი ლიდაზე.

ლიდოჩკას უყვარს პაშა და მისი მონათხრობი ისტორიები. მართალია, მან ერთხელ გაქურდასავით კიდეც პაშა (თან გაიყოლა რა პაშასთვის ძვირფასი, ბაბუის დანატოვარი, ძველისძველი, უშნო ჭიქა, რომლის ღირებულებაც თითქმის არაფერს უტოლდებოდა), მაგრამ ლიდოჩკას ძალიან უნდოდა ახალი ფეხსაცმლის ყიდვა, რაზეც კაპიკები აკლდებოდა.

ყველა ხედავს, როგორ უჩინარდებიან ისინი კორპუსის მუქად პირდაღებულ სარდაფში, და ასე ქრებიან ერთი ხის ორი ფოთოლივით ერთმანეთზე მიტმასნილები...

ბოლოს იშლებიან სხვებიც...

თარგმნა ბესო ხვედელიძემ

თემო ჭახნაკია

მადათოვის თემა ქართულ პოეზიაში

ᲕᲘᲓᲠᲔ ვისაუბრებ „მადათოვზე“ და მის შესახებ მოვიტანთ ნიმუშებს ქართული პოეზიიდან, მცირე ისტორიული ექსკურსი უნდა გავაკეთო მე-19 საუკუნის ტიფლისში.

„მადათოვი“ ძველ თბილისში ოდესღაც არსებული პატარა კუნძულის გამქრალი ტოპონიმია. უკავშირდება ყარაბაღელი სომეხი გენერლის გვარს. 1830-იანი წლებიდან მის საკუთრებაში არსებობდა კუნძული მდინარე მტკვარზე — დღეს ამ ტერიტორიას „დედა ენის ბაღი“ ჰქვია. 100 წელი იარსება „მადათოვმა“. კუნძულზე 1925 წელს ხელოვნური ტბა გაუკეთებიათ, მასთან ახლოს ყოფილა სამიკიტნო, რომლის კედლები ფიროსმანს თოვლისფერი ფარშევანგებით მოუხატავს, სწორედ ეს ფაქტი გახდა ინსპირაციის წყარო 1920 წელს დაბეჭდილი გალაკტიონის ცნობილი 8/7-მარცვლიანი ლექსის „შავი პელიკანი“. აღნიშნული ლექსიდან მოვიყვან ფრაგმენტს:

გადაფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს,
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.
ასე მიდის ეს ზამთარი
სიზმარივით მდევარი,
ასე რეკავს საზანდარი —
უქმი, შემაქცევარი...

შემდეგ ბერიამ „მადათოვს“ სახელი შეუცვალა და „მშრალი ხიდის“ ქვეშ გამავალი მტკვრის შენაკადის კალაპოტიც შეავსეს, სადაც დღეს ასფალტიანი გზა გადის იუსტიციის სახლის მიმართულებით. ასე გაქრა თბილისში ყველაზე პოეტური კუნძული „მადათოვი“.

გალაკტიონის მახვილ მზერასა და მუსიკალურ ყურთასმენას შეუძლებელია გამორჩენოდა „მადათოვის“, როგორც ბოჰემური ადგილის და მისი, როგორც პოეტური ჟღერადობის მქონე სიტყვის ფაქტი. ამის დასტურია დედაქალაქისადმი მიძღვნილი მისი ლექსი „ტფილისი“, რომელიც 1920 წელს ამავე სახელწოდების მქონე ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვირეული ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა. მოვიყვან ფრაგმენტს აღნიშნული ლექსიდან:

მთა არსენალის და მთა სავანე.
სიონი ჩემი ნათელს დამათოვს,
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას,
ათოვს ხიდებს და ათოვს მადათოვს...

მან პირველმა სწორედ ამ ალიტერაციულ და შიდარითმებიან სტროფში აითვისა ორიგინალური რითმა: „დამათოვს — მადათოვს“. არ გამოვრიცხავ, რომ აღნიშნული რითმა მისი თაობის სხვა პოეტებსაც ჰქონდეთ გამეორებული.

გალაკტიონი „მადათოვს“ კიდევ ერთ პატარა სიუჟეტურ ლექსში ახსენებს, რომელიც სავარაუდოდ 1922 წელს დაწერა. ლექსის შინაარსიდან ვიგებთ, რომ პოეტი თეატრში იმყოფებოდა და ლოჟაში მეგობართან ერთად მჯდარი ვიღაც მედეას სიმღერის ხმამ და იქაურმა აურამ მოხიბლა. ბოლო სტროფს შემოგთავაზებთ ნაგულისხმები ლექსიდან:

თეატრის შემდეგ ვიყავით ორი,
ეტლმა მადათოვს გაგვანაპირა,
სახეში გვცემდა ნიავის ტბორი
და წისქვილებში იბრძოდა მტკვარი.

აუცილებლად გაგვახსენდება ტერენტი გრანელის 4-სტროფიანი სევდიანი ლექსი „მე მივდიოდი, ქალი მღეროდა“, სადაც პოეტი შეღამებისას შინისკენ მიმავალი, მტკვრის პირას გავლას იხსენებს და გვიხატავს მადათოვის ღამეულ პეიზაჟს, სადაც თბილისურ ლანდშაფტთან მელანქოლიური განწყობილებაა შეზავებული. მოვიყვან ტერენტის ლექსის პირველ სტროფს, რომელიც ბოლო ნაწილშიც აქვს გადატანილი:

მე მივდიოდი, ქალი მღეროდა
და სიცოცხლეზე უფრო ვნაღვლობდი.
მთვარე ზეციდან
მტკვარს უცქეროდა,
როცა მადათოვს მივუახლოვდი...

ტოპონიმი „მადათოვი“ ნახსენები აქვს მირზა გელოვანსაც გალაკტიონისადმი 1940-იან წლებში მიძღვნილ ლექსში:

ციოდა ყველა გაფრენილ ისარს
ნაუცბათევი სიკვდილი ახლდა.
ახლა გახედე მთაწმინდას,
ისანს,
ან მადათოვი იცანი ახლა...

შემდეგი თაობის პოეტებიდან ზემოაღნიშნული სარითმო წყვილი ფიქსირდება ნომადი ბართაიას მიერ 1966 წელს დაწერილ 8-მარცვლიან ლექსში:

ისე ჩუმად მოვა ნისლი,
როგორც თოვლი მადათოვს
და თვალები ნოვალისის
შენს ნაწნავებს გადათოვს.

ნუკრი ბერეთელმა 2010 წელს ლიტერატურულ პორტალზე „ურაკპარაკი“ გამოაქვეყნა პოეტური ნაწარმოები, რომლის სათაურია „მთასწავალა ლექსი“, სადაც პირველ სტროფში გამეორებულია ზემოაღნიშნული ცნობილი სარითმო წყვილი:

უფრო და უფრო იშვიათად,
ძნელად მიხსენებ,
როგორც კალაპოტარეული
მტკვარი მადათოვს.
ბარისახოსთან წამომადგა
თვალზე სისველე,
ამაღამ ალბათ ხახაბოს და
ხახმატს გადავთოვ.

რაულ ჩილაჩავას 2021 წელს გამოქვეყნებულ ლექსშიც ვხვდებით აღნიშნულ ტოპონიმს და რითმას, სადაც რითმების დიდოსტატმა მისი ომონიმურ-მაჯამური ბუნებაც გამოკვეთა „მადა თოვს-მადათოვს“ და მეტი ღირსება შემატა ხსენებულ სარითმო ერთეულს. წავიკითხოთ მიძღვნის მონაკვეთი რაულ ჩილაჩავას ლექსიდან:

თოვლი
ბათუ დანელიას მონოლოგი

დროა პურის ჭამის,
მადა წვიმს, მადა თოვს,
საცაა, ხელახლა გადათოვს მადათოვს.
მწერენ ბერლინიდან,
ბერნიდან, ფსკოვიდან,
ნუთუ მეგობარო, თბილისშიც მოვიდა
თოვლი და ვარკეთილს სითეთრე ეწვია
და ზამთრის პეანებს უგალობს მზეწვია.

გაგა ნახუცრიშვილს აქვს ლირიკულ-სატრფიალო თემაზე დაწერილი ლექსი „დაკარგული მოტივი“, რომელშიც ვკითხულობთ:

ცარიელზე ცარიელი ველები,
ველარ გხედავ,
როგორც გამქრალ მადათოვს,
მომაწოდე დათოშილი ხელები,
მეც მცივა და
მითხარ, როგორ გაგათბო!..

2020 წელს ჟურნალ „ელექტროლიტში“ გამოქვეყნებულ ნატა ვარადაშვილის ფიროსმანისადმი მიძღვნილ ვერლიბრშიც ვპოულობთ „მადათოვს“:

ნიკალა, შენ აპატიოსნებ თბილისს,
რომელიც
მთაწმინდისკენ მიეშურება,
ამ მეძავების ტაშის თანმხლებით —
გადათოვს მადათოვს,
ხაროობს თამამშევის ქალი
ჭლექიანი სოფო
თოვლის მოსვლით, ხაროობს.
ტიკჭორა ქალაქი მტკვრის ფსკერზე
დაეძებს მოკლულ მეძავებს,
საწყალი ფიროსმანი კი
ქალთევზების სულს ჩიტებით რთავსო.“



რაც შეეხება ბათუ დანელიას ცნობილ ლექსს, „მთაწმინდის წერილი მეტეხს“, ინტერნეტში აქტიურად გავრცელდა 2015 წლიდან, ხოლო დაწერილია 1990-იან წლებში. რატომ აიტაცა ბათუ დანელიას ეს მაღალმხატვრული ლექსი ჩვენმა პოეტურმა თუ არაპოეტურმა საზოგადოებამ, რა მაგიას ატარებს ის, რა არის მისი ხიბლის საიდუმლო? ვეცდები, არგუმენტირებულად ავხსნა.

ვფიქრობ, ამის სამი მთავარი მიზეზი არსებობს — პირველი: თემა, საყოველთაოდ ცნობილი და მშობლიური, თბილისური მოტივები ქართული ურბანული პოეზიიდან: „მთაწმინდა“, „მეტეხი“, „მტკვარი“, „ტატო“, „თოვლი“, „მადათოვი“.

მეორე: ლექსის მცირე ზომა, ის სულ რაღაც 14 სტრიქონისგან შედგება, რომელთაგანაც დამოუკიდებელი მხოლოდ 8 ტაეპია.

მესამე: მუსიკალურობა, ბგერწერა, ფორმა, ლექსი არის 9-მარცვლიანი საზომის 3/3/3 ვარიაციით დაწერილი, სადაც რამდენიმე სტრიქონი და ნახევარსტრიქონი რეფრენივით მეორდება ხოლმე, რაც ემოციურ განწყობას ამძაფრებს. ამასთანავე რითმული სქემა აგებულია ცნობილ სარითმო წყვილზე: „მადათოვს-გადათოვს“, მთელი ლექსი, თავიდან ბოლომდე, ორი ტიპის მოსაზღვრე დაქტილური რითმებითაა გაწყობილი:

მადათოვს-გადადოს-სათათეს-გადათოვს-გზატატოს-ადათობს-მკათათვეს-წვათათვის-ცხრადათვის. — ალიტერაციული რითმების ნამდვილი ფეიერვერკია, სადაც თანხმოვან „თ“-ს ბგერა დომინანტურად მოისმის, რაც თ-ოვლის განწყობით, ლექსს უნიკალურ მელოდიურობას სძენს.

ლექსის სათაური გაპიროვნებაა.

„მთაწმინდა“, რომელიც ისტორიულ „მეტეხს“ ზევიდან დაჰყურებს, მტკვრის მიდამოებთან ერთად, ლექს-წერილს უგზავნის მას. სიუჟეტურად ზამთრისპირია, ანდაც ზამთარი, ზამთრის განწყობა და თოვლის მოლოდინი ჩნდება, ბარათაშვილის ეპოქაა. როდესაც მადათოვი თოვლით გადათეთრდება, ძველმა თბილისმა ქსოვა და კერვა უნდა გადადოს და დაირაზმოს, რათა მტკვრის ნაპირისკენ მომავალ ახალგაზრდა პოეტს, ტატოს, ცხოვრების ფუჭობასა და ამაოებაზე მოფიქრალს (ალუზია „ფიქრნი მტკვრის პირას“), თვალი ადევნოს, მობუტბუტე მტკვრის ტალღებს რომ არ შეერიოს სასოწარკვეთილი და ნაღვლიანი, ვისთვისაც დარდი და ურვა კაცის ბუნებისთვის დამახასიათებელი წესი და ადათია.

„მერანის“ გულდამწვარ ავტორს უთხარი, გადასძახე, რომ ცხრა დათვის გამძლეობა გამოიჩინოს და ივნისსა და ივლისს, მზიან ცას, გამოდარებას მოთმინებით დაელოდოსო.

ზოგადად, თოვლის თემატიკა გამორჩეულია, უანალოგოა ბათუ დანელიას პოეზიაში. მან თოვლს ძეგლი დაუდგა და გალაკტიონისა და ოთარ ჭილაძის შემდეგ სხვა სიმაღლეზე აიყვანა თოვლის ესთეტიკა. ტყუილად არ ჰქვია, მის ახალ პოეტურ კრებულს „თოვლის ტენორი“. ლიტმცოდნეების ყურადღებას უნდა იქცევდეს ბათუ დანელიას თოვლის ციკლის ორიგინალური პოეტური ნაწარმოებები.

წავიკითხოთ ბათუ დანელიას მონორაიმი „მთაწმინდის წერილი მეტეხს“:

როდესაც გადათოვს მადათოვს,
თბილისმა სხვა საქმე გადადოს,
შეეშვას სათითე-სათათეს —
როგორც კი მადათოვს გადათოვს.
მტკვრისაკენ არ მისცე გზა ტატოს,
ვისთვისაც ვარამი ადათობს...
უთხარი, ფიქრები გადადოს...
ელოდოს თიბათვეს, მკათათვეს
და, გულში დაგროვილ წვათათვის,
დაზოგოს გაძლება ცხრადათვის...
არ მისცე, არ მისცე გზა ტატოს —
უთხარი, დარდები გადადოს,
როდესაც გადათოვს მადათოვს!
როდესაც მადათოვს გადათოვს!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004